DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Tushabramishvili, D. / თუშაბრამიშვილი, დ. / Тушабрамишвили, Д.
- Title: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები ტომი VIII / Археологические Експедиции государственного музея грузии том VIII
- Publication Date: 1986
- Publisher: Georgian National Museum, Georgian Academy Of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_d2afb2c243

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

არქეოლოგიური ექსპედიციები

VIII

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
Государственный Музей Грузии им. С. Н. Джанашиа



АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ЭКСПЕДИЦИИ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

VIII

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1986

IVE
2841

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები

VIII

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1986

კრებული შეიცავს საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ
1980—1981 წლებში ჩატარებული საველე მუშაობის ანგარიშებს.

**Сборник содержит отчеты полевых работ,
проведенных археологическими экспедициями
Музея Грузии в 1980—1981 гг.**

რედაქტორი ა. ჯავახიშვილი
Редактор А. И. Джавахишвили

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატები ქ. ჯავახიშვილი; რ. დოლაბერიძე

ს $\frac{10602}{М607(06)-86}$ 226-83

©გამომცემლობა „მეცნიერება", 1986

11/86

დ. თუშაბრამიშვილი, გ. ჯავახიშვილი, ნ. თუშაბრამიშვილი

ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1980—1981 წლებში წარმოებული სამუშაოების შედეგები

ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიცია[1] 1980—1981 წწ. ძირითადად მუშაობდა ორთვალა კლდის მღვიმეში[2], ამავე დროს, 1980 წ. გათხრებს აწარმოებდა ორთვალა კლდის მახლობლად მდებარე ჭერულიჲ ეხში (გ. ჯავახიშვილი), ხოლო 1981 წ. ძუძუანის მღვიმეში (თ. მეშველიანი) და შვალიეთის მღვიმეში (დ. თუშაბრამიშვილი). გარდა ამისა, ორივე სეზონში ექსპედიციამ ჩაატარა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები ჭიათურის და საჩხერის რაიონების ტერიტორიაზე.

ორთვალა კლდის მღვიმეში 1980 წ. გაითხარა C — C 6-10 კვადრატები მე-4 პალეოლითური ფენის შუა ჰორიზონტამდე. 1979 წ. დარჩენილი მე-5-6 ფენები A — A 11 — 14 კვადრატების ფარგლებში კლდოვან იატაკამდე და B — B 11-14 კვადრატები მე-5 პალეოლითურ ფენამდე. 1981 წ. გაითხარა C — C 6-10 კვადრატები კლდოვან იატაკამდე და B — B 11-14 კვადრატები მე-6 პალეოლითური ფენის (მე-7 ლითოლოგიური ფენა) შუა ჰორიზონტამდე (იხ. მღვიმის გეგმა, სურ. 1 და C — C 11-14 კვადრატების დასაწყისის განივი ჭრილი. (იხ. სურ. 2)

1980 წ. გათხრებმა რამდენიმე განსხვავებული სურათი მოგვცა; C — 8 და C — 9 კვადრატების ფარგლებში, მღვიმის სიღრმისაკენ, გაჩნდა თხელი ნაკერალი შრე, რომელიც ოდნავაა დამწვარი. მცირე დარბაზში C — C 6-10 კვადრატებიდან შეიცვალა ფენების კულტურული შემადგენლობა: მე-2 და მე-3 ლითოლოგიური ფენები შეიცავენ მეზოლითური თუ ზედაპალეოლითური ხანის კაჟის ინვენტარს და არა მუსტიეურს, როგორც ეს წინა წლებში გვეგონა[3]. საქმე იმაშია, რომ მღვიმის კლდოვანი ჭერის გარეთ (წვეთოვანი ხაზიდან), A-B კვადრატებში და მის წინ მდებარე ფართობზე, მე-2 და მე-3 ლითოლოგიურ ფენებში დიდი რაოდენობით ჩნდებოდა მუსტიეური ხანის ნაკეთობანი, ზედაპალეოლითური იერის მცირეოდენ ნივთებთან ერთად. როგორც ჩანს, მე-3 ლითოლოგიური ფენის და მე-4 ლითოლოგიური ფენის მასალები ერთმანეთში აირია მღვიმის წვეთოვანი ხაზის წინ მდებარე ფერდობზე, რამაც გამო-

---

[1] საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ: დ. თუშაბრამიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), თ. მეშველიანი (ხელმძღვანელის მოადგილე), გ. ჯავახიშვილი (რაზმის უფროსი), უმც. მეცნ. თანამშრომლები: ლ. ფანცხავა, მ. კეცხოველი, ზ. ქიქოძე (1981 წ.), უფრ. ლაბორანტი ქ. დვალი (1980 წ.), არქიტექტორი თ. დარახველიძე (მოწვევით), ა. ტყემალაძე (ავტომანქანის მძღოლი ჭიათურის ასგ-დან).

[2] ორთვალა კლდის მღვიმის მდებარეობისა და წინა წლებში იქ წარმოებული სამუშაოების შესახებ იხილე: დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ყვირილისა და ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ 1974—1975 წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგები. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, თბილისი, 1977; მისივე: ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1978—1979 წწ. ჩატარებული სამუშაოების ანგარიში. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VII, თბილისი, 1980.

[3] დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. დასახელებული შრომები.

იწვია ჩვენი შეცდომა.

1981 წ. d-d 6-10 და C — C 11-14 კვადრატების დასაწყისში გაკეთებულ განივ ჭრილში ფიქსირებულია რვა ლითოლოგიური ფენა, რომელთა თანამიმდევრობა ზევიდან ქვევით და შედგენილობა ასეთია:



სურ. 1. ორთვალა კლდე. მღვიმის გეგმა. M — 1:50.



სურ. 2. ორთვალა კლდე. C—C 11—14 კვადრატების დასაწყისის განივი ჭრილი. 1981 წ. M—1 : 10 3. მოყავისფრო თიხნარი, ღორღის და საშუალო ზომის კირქვის ნატეხების ჩანართებით; 4. მუქი მოყავისფრო თიხნარი, ღორღის შემავსებლით, 5. ღორღნარი შეუვსებელი; 5ა. მუქი მოყავისფრო თიხნარი, ბრექჩიად ქცეული; 6. ნაკერალი შავად შეფერილი ფენა; 7. შავად შეფერილი თიხნარი, ოდნავ გადამწვარი, ზედა ჰორიზონტებში ბრექჩიად ქცეული.

I დასტა

2) ფენა, მოყვითალო თიხნარი, ნაცროვანი, ღორღის მინარევით, მე-6, მე-7 კვადრატების ფარგლებში კირქვის მსხვილი ნატეხების ჩანართებით. ვრცელდება მხოლოდ A — 10 კვადრატების შუა ნაწილამდე, ხოლო შემდეგ ქრება, მეზოლითური თუ ზედაპალეოლითური ხანის მასალის შემცველი[4].

3) ფენა მოყავისფრო თიხნარი, ღორღის და საშუალო ზომის კირქვის ნატეხების ჩანართებით. მეზოლითური თუ ზედაპალეოლითური ხანის მასალის შემცველი. აღნიშნულ ფენას C — C 11-14 კვადრატების დასაწყისში თავზე არაფერი არ ადევს.

II დასტა

4) მუქი მოყავისფრო-მოწითალო თიხნარი; ღორღისა და დიდი ლოდების ჩანართებით, შემკვრივებული. შეიცავს მუსტიეური ხანის ნაშთებს.

5) ა ფენა მუქი მოყავისფრო ღორღნარი, შეუვსებელი.

5) მუქი მოყავისფრო თიხნარი, ღორღის ჩანართებით, ბრექჩიად ქცეული, ალაგ-ალაგ კირქვის ბრტყელი ნატეხებით. შეიცავს მუსტიეური ხანის ნაშთებს.

III დასტა

5) ნაკერალი, შავად შეფერილი ფენა, კირქვიერი წვრილი ღორღის და საშუალო ზომის ნატეხების ჩანართებით. მუსტიეური ხანის მასალის შემცველი. ქვედა ჰორიზონტში ბრექჩიად ქცეული.

7) შავად შეფერილი თიხნარი, ოდნავ გადამწვარი. საშუალო ზომის კირქვის ნატეხების და ღორღის ჩანართებით,ზედა ჰორიზონტში ბრექჩიად ქცეული, შეიცავს მუსტიეური ხანის ნაშთებს (სურ. 3).

ფენების საერთო სიმძლავრე C — 12 და C — 13 კვადრატების საზღვარზე სამი მეტრია.

I — III კულტურული ფენები გაითხარა მხოლოდ 1980 წელს, რის გამოც ამ ფენებიდან მომდინარე მასალების საერთო რაოდენობა შედარებით მცირეა.

1980 წ. I კულტურულ ფენაში (მე-2 ლითოლოგიური ფენა) სულ აღმოჩნდა 324 ც. ქვის ნივთი, მათ შორის: ნუკლეუსები — 3 ც., ანამტვრევები 22 ც., ანატკეცები — 202 ც., ერთი ცალი ლევალუაზური ანატკეცი, წვრილი და ქერცლისებური ანატკეცები — 54 ც., ლამელები — 10 ც., მიკროლამელები — 20 ც., ბოლოკიდურა საფხეკი, მუსტიეური წვეტანა, 4 ც. სახოკი და 2 ც. დანა ბუნებრივი ზურგით.

II კულტურულ ფენაში სულ 300 ნივთია მოპოვებული, აქედან 6 ც. სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსია, 15 ც. ანამტვრევი, 67 ანატკეცი, ერთი ცალი ლევალუაზური ანატკეცი, 164 ც. წვრილი და ქერცლისებური ანატკეცია, 19 ც. ლამელა, 20 ც. მიკროლამელა. იარაღებიდან 2 ც. კიდურა საფხეკია, ერთი მუსტიეური სახოკი, ერთი მუსტიეური წვეტანა და 4 ც. საჭრისი.

როგორც ვხედავთ, ორივე ფენაში საკმაო რაოდენობითაა მუსტიეური ხანის ქვის ნაკეთობა, რაც გამოწვეულია ქვედა და ზედა ფენების ურთიერთარევით. მუსტიეური ფენა ჩაჭრილია და უშუალოდ მასზეა დასახლებული გვიანი ხანის მონადირეთა მცირე ჯგუფი. ზოგიერთი ნუკლეუსის მოყვანილობა, ატკეცის ტექნიკა და მიკროლამელების სიუხვე გვაფიქრებინებს, რომ ორივე ფენის მასალები პალეოლითის დასასრულის

---

[4] ნომერი I მიცემული აქვს ჰუმუსოვან ფენას, რომელიც მხოლოდ მღვიმის წინა ფართობზეა წარმოდგენილი.

ან ადრეული მეზოლითური ხანისაა. შემდგომი გათხრები და ახალი მასალები დაა-ზუსტებენ ჩვენ წინასწარულ მოსაზრებას.

III ფენაში 1980 წ. სულ აღმოჩნდა 238 ნივთი. მათ შორის: 17 ც. ნუკლეუსი, 13 ც. ანამტვრევი, 84 ც. არალევალუაზური ანატკეცი, 10 ც. ლევალუაზური ანატკეცი, 68 წვრილი და ქერცლისებური ანატკეცი, 16 ც. ლამელა, ერთი საფხეკი, 13 სახოკი, 8 ც. წვეტანა, საპრისი, სათლელისებური იარაღი, დანები ბუნებრივი ზურგით (5 ც.). იარაღი (41 ც.) მთელი მასალის (ნუკლეუსების, ანამტვრევების და ქერცლისებური ანატკეცების 140 ც. გამოკლებით) 29.9% შეადგენს, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. აღნიშნული გარემოება შესაძლებელია გამოწვეული იყოს მეზოლითური (?) ადამიანის მღვიმეში სახლობით და ფენის ჩაპრა-დაზიანებით, რის შედეგადაც მუსტიეური მასალა ზედა ფენებში მოხვდა. იარაღებს შორის წამყვანი ადგილი სხვადასხვა



სურ.3. ორთვალა კლდე. d—d 6—10 კვადრატების დასაწყისის განივი ჭრილი, 1981 წ. M—1 : 10:
2. მოყვითალო თიხნარი, მსხვილი ლოდების ჩანართებით.
3. მოყავისფრო თიხნარი, ღორღის საშუალო ზომის კირქვის ნატეხების ჩანართებით;
3ა. ნაკერალი, ლინზა;
4. მოყავისფრო თიხნარი (მუქი მოწითალო) ღორღის შემავსებლით;
5. მუქი მოყავისფრო თიხნარი ღორღის ჩანართებით, ბრექჩიად ქცეული;
6. ნაკერალი, შავად შეფერილი ფენა;
7. შავად შეფერილი თიხნარი, ოდნავ გადამწვარი, ზედა ჰორიზონტში ბრექჩიად ქცეული;
8. ღია მოყავისფრო, მოყვითალო თიხნარი.

სახის სახოკებს (13 ც.) უკავიათ, რაც ყველა სახის იარაღების (ლევალუაზური ანატკეცების ჩათვლით) 30.17% შეადგენს.

IV კულტურული ფენა უფრო მდიდარია ნამთებით. 1980—1981 წლებში ფენაში სულ აღმოჩნდა ქვის 1512 ნივთი. ზოგადად ქვის მასალა ასეთი სახისაა: 50 ც. სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსი, 103 ც. ანამტვრევი, 414 ცალი არალევალუაზური ანატკეცი, 656 ც. წვრილი და ქერცლისებური ანატკეცი; 38 ც. ლევალუაზური ანატკეცი და 109 ც. ლამელა. იარაღები სულ 180 ცალია, რაც მთელი მასალის 24.7% შეადგენს. იარაღებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანია სახოკები (მარტივი ამოზნექილი, სწორი, კუთხის, კონვენგენტური და სხვა) — 66 ც., რაც ყველა სახის იარაღის 36.7% შეადგენს. დანარჩენი იარაღები მცირერიცხოვანია: წვეტანები — 22 ც. (12.2%), დანები ბუნებრივი ზურგით — 18 ც. (10%), ლევალუაზური ანატკეცები — 38 ც. (21.1%) და სხვა.

ორთვალა კლდის მღვიმეში მატერიალური კულტურის ნამთებით ყველაზე მდიდარი V კულტურული, ანუ ლითოლოგიურად მე-6 ფენა (შავად შეფერილი, წვრილი ღორღისა და კირქვის ბრტყელი ნატეხების ჩანართებიანი დამწვარი ფენა) აღმოჩნდა. 1980—1981 წლებში ფენაში სულ მოპოვებულია 6823 ც. ქვის ნივთი. წარმოების გადანაყარი (ნუკლეუსები სხვადასხვა ტიპის — 229 ც. ანამტვრევები — 638 ც. ანატკეცები წვრილი და ქერცლისებური — 2859 ც.) სულ 3726 ცალია და მთელი მასალის 54.2% შეადგენს. იარაღები სულ 892 ცალია და მთელი მასალის 29.1%-ია. იარაღებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი (294 ც.) სხვადასხვა ტიპის სახოკია, რაც ყველა სახის იარაღების 42.4%-ია: წვეტანები 98 ცალია (14.1%), დანები ბუნებრივი ზურგით (66 ც.) — 9.5%-ია და სხვა (სურ. 4).



სურ. 4. ორთვალა კლდე. მე-5 კულტურული ფენის ქვის ინვენტარი

VI კულტურულ ფენაში 2301 ქვის ნივთია. წარმოების გადანაყარი (960 ც.) მთელი მასალის 41.7% შეადგენს. იარაღები სულ 452 ცალია (33.6%). წამყვანი ადგილი აქაც სახოკებს უკავიათ (146 ც.). წვეტანები შედარებით მცირეა (35 ც.). მრავალრიცხოვანია სახვრეტები (23 ც.) ზედა ფენებთან შედარებით.

ორთვალა კლდის მღვიმეში მასალის რაოდენობრივი გავრცელების ზოგადი სურათი უფრო ნათლად ჩანს ცხრილ 1-ში.

სტატისტიკური გამოთვლა (თუმც არასრული) და მასალის ტიპოლოგიური შედგენილობა გვაჩვენებს, რომ ორთვალა კლდის მუსტიეური ფენების ქვის ინვენტარში გაბატონებულია არალევალუაზური ტექნიკა, სადაც ჭარბობს შედარებით მოკლე (საშუალო სიგრძე 5-6 სმ) და სქელი ანატკეცები. იარაღებს შორის ჭარბობს სახოკები, ძირითადად მარტივი, ამოზნექილი, აგრეთვე სწორი სამუშაო პირით. შედარებით მცირეა ჩაზნექილი ვარიანტი. სახოკებს შორის საკმაო რაოდენობითაა კუთხის და კონვენგენტური. იშვიათია განივი სახოკები, ხოლო ლიმასი ორი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი და ორივე მე-5 ფენიდანაა.

წვეტანების რიცხვი მე-4-მე-6 ფენებში სამჯერ და მეტად ნაკლებია სახოკებთან შედარებით. წვეტანებს შორის ჭარბობს მუსტიეური. ტიპიური ლევალუაზური წვეტანები ერთეული ცალებითაა წარმოდგენილი. იარაღების სამუშაო პირის გასაფორმებლად ძირითადად გამოყენებულია დამრეცი ან ციცაბო რეტუში. ზოგ შემთხვევაში საფეხურებიანი, ჩანატეხებით. ზოგიერთი იარაღი გაფორმებულია არათანაბარი, არაღრმა წყვეტილი რეტუშით.

ამგვარად, ზემოთ მოტანილი ციფრობრივი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ ორთვალა კლდის მღვიმე წარმოადგენს ნაბინავარს, სადაც ადგილზევე ხდებოდა ქვის როგორც პირველადი, ისე მეორადი დამუშავება, რომ ქვის გაპობაში გაბატონებულია არალევალუაზური ტექნიკა. იარაღებიდან წამყვანი ადგილი სხვადასხვა ტიპის სახოკებს უკავიათ, უპირატესად მარტივ ამოზნექილს. წვეტანები (მუსტიეური, ლევალუაზური) მცირერიცხოვანია. საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი დანები ბუნებრივი ზურგით. იარაღების ტიპოლოგიური შედგენილობიდან და მათი დამუშავების ტექნიკიდან ჩანს, რომ ორთვალა კლდის ქვის ინვენტარი ტიპიურ მუსტიეს განეკუთვნება.

ორთვალა კლდის ფაუნა წარმოდგენილია ბიზონის, კეთილშობილი ირმის, კავკასიური ჯიხვის, გარეული ღორის, მღვიმური დათვის და სხვა ცხოველების ფრაგმენტირებული ძვლებით.

რაც შეეხება ძეგლის ასაკს, იგი წინასწარულად შუა და გვიანი მუსტიეს ეპოქის ფარგლებში ექცევა.

მეორე ძეგლი, რომელიც გათხარა ყვირილის აუზის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1981 წ., ესაა შვალიეთის მღვიმე. გათხრითი სამუშაო განვახორციელეთ ძეგლის გადარჩენის მიზნით. ჯერ კიდევ 1980 წ. ექსპედიციამ მიიღო ცნობა შვალიეთის მღვიმის თვითნებური გათხრა-დაზიანების შესახებ. მაშინვე დავათვალიერეთ მღვიმე და გავაფრთხილეთ გამთხრელი, რათა აღგვეკვეთა ძეგლის შემდგომი დაზიანება, მაგრამ უშედეგოდ, 1981 წ. ძეგლი თითქმის ბოლომდე განადგურებული დაგვხვდა. აღნიშნულის შესახებ ვაცნობეთ სათანადო ორგანიზაციებს, ჩვენ კი შევუდექით გეგმით გაუთვალისწინებელ გათხრებს, რასაც 20 დღეზე მეტი მოვანდომეთ.

შვალიეთის მღვიმე მდებარეობს ჭიათურის რ-ნის სოფ. ითხვისის ტერიტორიაზე. მდინარე (ღელე) შვალიეთის[5] (მდ. ყვირილის მარცხენა შენაკადი) მარცხენა ნაპირზე.

---

[5] შვალიეთის ღელეს ითხვისის ღელესაც უნოდებენ.

ცხრილი I

ფენები	ნუკლეუსები	ანამტვრევები	ანატომიები ორა-ლევალულებზეული	ანატომიები წვრ. და ქერცლისებრ.	ანატომიები ლევალულებზეული	ლამელები	მიკროლამელები	საფხვიეები	სახოვები	წვეტანები	საჭრისები	საფლეთისებური იარაღები	სახვრეტები	დანები	ლიმასი	დანები რეტუშ. ზურგით	სხვა იარაღები	ს უ ლ
I მეზოლითური (?)	3	22	202	54	I	I0	24	I	4	I	-	-	-	2	-	-	-	324
II მეზოლითური (?)	6	I5	67	I64	I	I9	20	2	I	I	4	-	-	-	-	-	-	300
III მუსტიეური	I7	I3	84	68	I0	I6	-	I	I3	8	I	I	-	5	-	2	-	238
IV მუსტიეური	50	I03	4I4	656	38	I09	-	3	66	22	3	-	-	I8	-	I	29	I5I2
V მუსტიეური	229	638	I899	2859	I74	306	-	I5	294	98	I4	-	I0	66	2	4	2I5	6823
VI მუსტიეური	90	I8I	879	689	79	I40	I0	I	I46	35	4	-	23	I7	-	2	I45	244I
ს უ ლ																		II.638

ყვირილისა და ღელის შესაყართან, ღელის დონიდან 6-7 მ სიმაღლეზე. მღვიმე პირით ჩრდილო-აღმოსავლეთითაა მიმართული და მშრალია. თავის დროზე მღვიმე თითქმის ჭერამდე იყო ამოვსებული ნალექებით და ჩამოქცეული დიდი ლოდებით. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმმა (ხელმძღვანელი ლ. ნებიერიძე), დარკვეთის ეხში მუშაობისას (1968—1972 წწ.), შვალიეთის მღვიმეში დაიწყო საძიებო თხრილის გაჭრა, რომელიც კლდოვან იატაკამდის ვერ დაიყვანა — ხელი შეუშალა ჩამოქცეულმა დიდმა ლოდებმა. 1981 წ. მღვიმეში მუშაობის დაწყებისას ფენები თითქმის მთლიანად განადგურებული დაგვხვდა. გამოსატანი იყო მხოლოდ კირქვის დიდრონი ლოდები, ხოლო გასათხრელი — მღვიმის იატაკი, აგრეთვე სილრმეში და შესასვლელის მარცხენა მხარეს მცირე ფართობზე გადარჩენილი ფენები. მღვიმის გათხრაგაწმენდის შემდეგ ნაწილობრივ გაირკვა მისი კონფიგურაცია და ზომები: მღვიმის სიგრძე ჭერის კიდიდან („წვეთის ხაზიდან") ცენტრალური ღერძის გასწვრივ 6,10 მ-ია; სიგანე შესასვლელთან[6] — 3, 80, ხოლო სიმაღლე (კლდოვანი იატაკის გამოსავლენად გაკეთებულ შურფის ძირიდან, რომელიც ბოლომდე ვერ დავიყვანეთ) — 5 მეტრია (სურ. 5). ეხის შესასვლელიდან მარჯვენა კედელი საკმაოდ შვეულია და ოდნავ



სურ. 5. შვალიეთის მღვიმე. გრძივი ჭრილი ცენტრალური ღერძის გასწვრივ

შლადი, მარცხენა კედელს კი წარმოადგენს ნალექი ფენები, რომელსაც უშუალოდ ადევს თავზე ჩამოქცეული ჭერი. მღვიმისა და მისი მიდამოების ვიზუალური დათვალიერებისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მღვიმე და კირქვის მასივი, რომელშიც იგი იყო გამომუშავებული, მოწყდა ძირითად ქანს და დაბლა ჩამოცოცდა ისე, რომ მღვიმეში არსებული ფენების თანამიმდევრობა არ დაირღვა; მღვიმის მარცხენა კედელი და ნაწილობრივ ჭერი დაინგრა, რის გამოც მღვიმის ჩამოწოლილი თხელი ჭერი უშუალოდ დააწვა კულტურულ ფენებს და ეს უკანასკნელი გახდა მისი დამაკა-

[6] მღვიმის სიღრმისა და სიგანის ზომები პირობითია: მოცემულია ჭერისა და მარცხენა „კედლის" ნანგრევებამდე.

ვებელი—საყრდენი. სწორედ ამ გარემოებამ შეგვიშალა ხელი გაგვეგრძელებინა გათხრა, როგორც მღვიმის სიღრმისაკენ, ისე მის მარცხენა ნაწილში. არსებობს რეალური საშიშროება ჭერის ჩამოწოლისა.

გათხრების შედეგად გაირკვა, რომ მღვიმეში ექვსი ფენაა (შურფამდე), რომელთა თანამიმდევრობა ასეთია:

1) ღორღნარი, კირქვის საშუალო და მსხვილი ლოდების ჩანართებით, ძლიერ სუსტად შევსებული მოთეთრო-მონაცრისფრო მტვრადქცეული თიხნარით.

2) ღია მოყავისფრო ფხვიერი თიხნარი, საშუალო ზომის კირქვის ბრტყელი ნატეხების შემავსებლით. ალაგ-ალაგ გვხვდება კირქვის დიდი ნატეხებიც. შეიცავს ზედაპალეოლითური (?) ხანის მცირე მასალას.

3) მუქი მოყავისფრო წებოვანი თიხნარი, ღორღის და საშუალო ზომის კირქვის ნატეხების ჩანართებით. I მუსტიეური ფენა.

4) ღია მოყავისფრო თიხნარი, საშუალო ზომის კირქვის ნატეხების და ღორღის შემავსებლით. ძლიერ შემკვრივებული. II მუსტიეური ფენა.

5) ღორღნარი, კირქვიერი მოთეთრო-მოყავისფრო ქვიშით შევსებული, შლადი. სტერილური.



სურ. 6. შვალიეთის მღვიმე. e — I კვადრატების განივი და 4—7 კვადრატების გრძივი ჭრილი:
1. ღორღნარი, საშუალო და მსხვილი ლოდების ჩანართებით შევსებული მოთეთრო-მონაცრისფრო ფხვიერი თიხნარით;
2. ღია მოყავისფრო ფხვიერი თიხნარი, საშუალო ზომის კირქვის ნატეხების ჩანართებით. ალაგ-ალაგ გვხვდება კირქვის დიდი ზომის ლოდები. ზედაპალეოლითური (?);
3. მუქი მოყავისფრო წებოვანი თიხნარი, ღორღისა და საშუალო ზომის კირქვის ნატეხებით შემკვრივებული. I მუსტიეური ფენა;
4. ღია მოყავისფრო თიხნარი, საშუალო ზომის კირქვის ნატეხებით და ღორღის შემავსებლით. ძლიერ შემკვრივებული. II მუსტიეური ფენა;
5. ღორღნარი, მოთეთრო-მონაცრისფრო, კირქვიერი ქვიშით შევსებული. შლადი. სტერილური;
6. ღია მოყავისფრო-მონაცრისფრო თიხნარი, ღორღის შემავსებლით. შლადი. სტერილური.

6) ღია მოყავისფრო-მონაცრისფრო თიხნარი, ღორღის შემავსებლით. სტერილური. ფენა გრძელდება (სურ. 6).

მღვიმის შესასვლელთან გაკეთებულ შურფში კიდევ სამი ფენა შეინიშნება: ნიჟარების შეცემენტებული ქვარგვალები, მარგანეცის დამრგვალებული კენჭები და მდინარეული წარმოშობის ქვარგვალები. ყველა ფენაში აქა-იქ ჩართულია კირქვის საშუალო და დიდი ზომის ნატეხები. სამივე სტერილურია არქეოლოგიური თვალსაზრისით.

შვალიეთის მღვიმე უაღრესად ღარიბია არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალით. ჩვენი გათხრების დროს სულ ზედა, მეზოლითური თუ ზედაპალეოლითის დასასრულის, ფენაში აღმოჩნდა მოყავისფრო კაჟის ორი ლამელა (სურ. 7_{1-2}). ამავე ფენაში აღმოჩენილია ძვლის ნივთი, რომელსაც სიგრძეზე მოუყვება ღარი კაჟის მიკროიარაღების ჩასამაგრებლად (სურ. 7_3). ეს ნივთი მუსტიეური ფენებიდან მომდინა-



სურ. 7. შვალიეთის მღვიმე. მეზოლითური (?) და მუსტიეური ფენების მასალა.

რე რამდენიმე ანატკეცთან ერთად გადმოგვცა შვალიეთის მღვიმის „გამთხრელმა" სიმონ ხითარიშვილმა. მღვიმეში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უაღრესად მცირე რაოდენობითაა ქვის მასალა. ჩვენ მიერ მოპოვებულია 14 ნივთი, 8 ნივთი გადმოგვცა ს. ხითარიშვილმა. ამგვარად, მღვიმეში სულ აღმოჩნდა 22 ც. ქვის ნივთი. ქვის ნაწარმის უმრავლესობას შეადგენს ლევალუაზური ანატკეცები (სურ. 7, 8, 10—14), რომელთა ნაწილი რეტუშირებულია. იარაღებიდან აღსანიშნავია ამოზნექილი მარტივი სახოკი და ამოღარულ-დაკბილული ანატკეც-ლამელები.

შვალიეთის მღვიმის ფაუნას სწავლობს პალეონტოლოგი ა. ვეკუა. ს. ხითარიშვილის მიერ გადაცემული მასალები წარმოდგენილია კურდღლის, კვერნის, მგლის, მელიის, ტყის კატის, კეთილშობილი ირმის, ცხვრის (?), ძროხის (?) და გარეული ვირის (?) ფრაგმენტირებული ძვლებით. მონაცემები წინასწარულია და დაზუსტებას მოითხოვს, განსაკუთრებით სამი უკანასკნელი სახეობა. გარდა ამისა, გაურკვეველია რომელი ფენიდან მომდინარეობს ამა თუ იმ ცხოველის ძვლები. რაც შეეხება ჩვენ მიერ 1981 წ. მოპოვებულ ფაუნისტურ ნაშთებს, იგი ჯერჯერობით შესწავლილი არ არის.

მასალის სიმცირის გამო ძნელია კონკრეტული მსჯელობა ძეგლის ასაკზე, ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ იგი მუსტიეს ეპოქას, შესაძლებელია მის პირველ ნახევარს განეკუთვნება. მასალის სიმცირიდანვე გამომდინარეობს დასკვნა, რომ მღვიმე წარმოადგენდა პირველყოფილ მონადირეთა დროებით თავშესაფარს, ბანაკს და არა ნამოსახლარს.

შვალიეთის მღვიმეში მუშაობის პარალელურად ექსპედიციის ერთი რაზმი (ხელმძღვანელი თენგიზ მეშველიანი) სტრატიგრაფიის დაზუსტების მიზნით სამუშაოებს აწარმოებდა ზედაპალეოლითური ხანის მრავალფენიან ნამოსახლარ ძუძუანის მღვიმეში. ძველი განათხარი ფართობის[7] გასუფთავებას და ახალი განივი ჭრილის გაკეთებას ექსპედიციამ საკმაოდ დიდი დრო (25 დღეზე მეტი) მოანდომა, რაც ძეგლის მნიშვნელოვანი დაზიანებით იყო გამოწვეული (განათხარ ფართობზე სოფლის ბავშვებს წყალი ჰქონდათ მიგდებული და საცურაო აუზად გადაქცეული). ახლად გაკეთებული ჭრილიდან აღებულია ნიმუშები პალინოლოგიური ანალიზებისათვის.

1980 წ. ყვირილის აუზის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გააგრძელა გათხრითი დაზვერვები ჭერულის ხეობაში მდებარე „ჭერულის ეხში" (რაზმის უფროსი გ. ჯავახიშვილი). ეხი მდებარეობს გვარჯილას კლდის და ორთვალა კლდის მღვიმეებს შორის. ჭერულის ხეობის მარჯვენა ნაპირზე. 1979 წ. დაწყებული საძიებო თხრილი 1980



სურ. 8. ჭერულის ეხში მოპოვებული მასალა.

წელსაც ვერ დავიყვანეთ კლდოვან იატაკამდე. საძიებო თხრილში ჯერჯერობით ერთი — ენეოლით-ადრეული ბრინჯაოს ხანის (?) ფენაა ფიქსირებული. ფენაში აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოს მღვიმური ძეგლებისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმი სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის ჭურჭლების ნატეხების სახით, არქაული მოყვანილობის ხელსაფქვავები, გახეხილ-გაპრიალებული ქვის სატეხისებური იარაღი, სამაჯურის ფრაგმენტები, კაჟისგან დამზადებული საფხეკები, დანისებური ლამელები და სხვადასხვა ცხოველთა ფრაგმენტიოებული ძვლები (სურ. 8).

[7] ძუძუანის მღვიმის მდებარეობისა და მასში წარმოებული სამუშაოების შესახებ იხილეთ დ. თუშაბრამიშვილის ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციების 1966 — 1975 წლების მუშაობის შედეგები. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, I-V, თბ., 1969, 1971, 1974 წწ. 1975, 1977 წწ.

1980—1981 წლებში ექსპედიციამ ხელახლა მოიხილა ჭიათურის რ-ნის სოფ. კაცხის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლები: საქორია, სარბები და ორბალი I და II. მოპოვებულ ქვის ნაწარმს შორის აღსანიშნავია დისკოიდალური და ერთფუძიანი არალევალუაზური ნუკლეუსები მთელი სერიების სახით, აგრეთვე ტიპიური ლევალუაზური ნაწარმი. მრავლადაა სხვადასხვა ტიპის სახოკები, გაფორმებული მასიურ ანატკეცებზე, ლევალუაზური წვეტანები და კლექტონური ანატკეცები ანკოშით.

1980 წ. ექსპედიციამ დაზვერა ჭიათურის რ-ნის სოფ. ბერეთისას ტერიტორიაზე მდებარე მღვიმე „პირღია კლდე". მაგრამ იგი კულტურულ ფენებს არ შეიცავს, დაღმავალი და ნესტიანია. დავზვერეთ აგრეთვე სოფ. ვაჭევის (ჭიათურის რ-ნი) ვარხმელის ხეობის მღვიმეები და საჩხერის რ-ნის სოფ. სარეკის ტერიტორია პალეოლითური ხანის ძეგლების გამოვლენის მიზნით.

Д.М.ТУШАБРАМИШВИЛИ, Г.И.ДЖАВАХИШВИЛИ, Н.Д. ТУШАБРАМИШВИЛИ.

ОТЧЕТ РАБОТ КВИРИЛЬСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ЗА 1980—1981ГГ.

Резюме

В 1980—1981 гг. Квирильская экспедиция работала в основном в пещере «Ортвала-клде»; а также в гроте «Черулас эхи» (в 1980 г.) и в пещерах «Дзудзуана» и «Швалиети» (в 1981 г.). В «Ортвала-клде» раскопаны кв. СС 6—10 до скального основания и СС 11—14, до среднего горизонта 6-го палеолитического слоя (см. план и разрез, рис. 1 и 2), что позволило внести корректив в определение принадлежности 2-го и 3-го литологических слоев и отнести их к мезолиту — верхнему палеолиту, а не к мустье. В поперечном разрезе начала кв. кв. d.d. 6—10 и 11—14 зафиксировано 8 литологических слоев, из коих слои 2,3 содержат материалы мезолита — верхнего палеолита, а 4—7-мустье (рис. 3). Общая картина количественного распределения материала по слоям в «Ортвала-клде» дана в табл. 1. Из слоев наибольшим богатством выделяется 6-ой литологический — V культурный слой; в нем найдено 6823 каменных предмета, из коих 54,2% — отходы производства, 29,1% — орудия (рис. 4). Типологический состав орудий и техника их обработки показательны для типичного мустье. «Ортвала-клде» предварительно следует датировать в пределах среднего и позднего мустье.

Работы в сильно потревоженной пещере «Швалиети» (рис. 6) имели защитный характер и дали весьма скудный археологический и палеонтологический материал (рис. 7), позволяющий предположить, что этот памятник представлял собой временное убежище охотников в первой половине мустьерской эпохи. В пещере «Дзудзуана» работы ограничились расчисткой старого раскопа и обновлением поперечного разреза.

მ. მენაბდე, თ. კილურაძე

ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1980—1981 წლების მუშაობის შედეგები

(ტაბ. I—IV)

ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია საანგარიშო წლებში მარნეულის რაიონში მუშაობდა[1] — აგრძელებდა გათხრებს სოფ. სიონში და ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარ ხრამის დიდ გორაზე[2], აგრეთვე აწარმოებდა ზედაპირულ დაზვერვებს მდინარეების ხრამისა და დებედას ქვედა წელში.

ხრამის დიდ გორაზე ექსპედიციის მუშაობის მიზანი იყო სრული სტრატიგრაფიული სურათის მიღება და ძეგლის ქვედა საამშენებლო ჰორიზონტების შედარებით დიდ ფართობზე გამოვლენა. საანგარიშო წლებში აქ გავაგრძელეთ 1972—1973 წლებში დაწყებული HB კვადრატის[3] გათხრა, რათა ერთ დონეზე დაგვეყვანა მთელი გასათხრელი ფართობი. ვმუშაობდით აგრეთვე HC კვადრატის დასავლეთ ნაწილში.

ადრე გათხრილი ზედა ფენის ნაგებობების ნაშთების აღების შემდეგ გამოჩნდა, რომ HB კვადრატის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი მეოთხედი ნაცრიან ფენას ეკავა, სადაც ქვედა ჰორიზონტების ნაგებობების კვალი არ ჩანდა. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ HB კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში არსებული № 17 ნაგებობის ქვეშ მდებარე ნაცრიან ფენაში ღრმად ჩაჭრილი, ფეოდალური პერიოდის ხაროს მახლობლად (რომლის მოხაზულობა ამ დროისათვის კიდევ შეინიშნებოდა) აღმოჩნდა სპილენძის ფირფიტოვანი ნივთის ფრაგმენტი. ნივთი მდებარეობდა 4,14 მ დონეზე, HB — 49 კვადრატში. აღმოჩენის ვითარების მიხედვით საეჭვო ხდება ამ ნივთის მიკუთვნება ადრესამიწათმოქმედო ფენისადმი, რადგანაც აღნიშნული ხაროს ძირი ჩადიოდა 4,50 მ დონემდე; თუმცა იგივე აღმოჩენის სიღრმის გათვალისწინებით შეაძლებელი იყო გვევარაუდა მისი მიკუთვნება ადრესამიწათმოქმედო პერიოდისადმი, რომ რამდენიმე ფაქტი არ ეწინააღმდეგებოდეს ამ უკანასკნელ მოსაზრებას. ჯერ ერ-

---

[1] ექსპედიცია 1980 წელს ველზე მუშაობდა 7 აგვისტოდან 6 ნოემბრამდე. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: თ. კილურაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), მ. მენაბდე (უფრ. მეცნიერ-თანამშრომელი), ლ. ჟორჟიკაშვილი (უმცრ. მეცნ. თანამშრომელი), ბ. ბენაშვილი (მოწვეული უმცრ. მეცნიერ-თანამშრომელი), რ. გზირიშვილი (მოწვეული ლაბორანტი) და ბ. ინაშვილი (მოწვეული არქიტექტორი). 1981 წელს ექსპედიცია ველზე მუშაობდა 1 აგვისტოდან 25 ოქტომბრამდე. მონაწილეობდნენ: თ. კილურაძე (ექსპედ. ხელმძღვანელი), მ. მენაბდე, გ. ჯავახიშვილი (უფრ. მეცნიერ-თანამშრომლები), რ. გზირიშვილი (მოწვეული უმცრ. მეცნ. თანამშრომელი), ს. ნუცუბიძე (მოწვეული ლაბორანტი) და მ. დილბარიანი (მოწვეული არქიტექტორი). ექსპედიციას მომსახურებას უწევდა მარნეულის აკ — 2664-ის მანქანა (მძღოლი გ. მარქაროვი).

[2] წინა წლებში ჩატარებულ სამუშაოთა შესახებ იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, IV—VII.

[3] აქაც და შემდეგაც ტექსტში HB კვადრატად იგულისხმება ამ კვადრატის ის ნაწილი, რომელიც 1973 წელს ითხრებოდა. იხ. ლ. ღლონტი, ა. ჯავახიშვილი, თ. კილურაძე, ქვემო ქართლის ....,საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. IV, თბ., 1975.

3. საქ. სახ. მუზეუმის არქ. ექსპედიციები, VIII

თი, იქვე მახლობლად HB — 50 კვადრატში, 4,40 მ დონეზე აღმოჩნდა ჰემატიტის ლახტისთავის ფრაგმენტი — სიგრძივ გახეთქილი ნახევარი. სავარაუდოა, რომ იგი შომდინარეობდეს ადრებრინჯაოს ხანის განადგურებული სამარხიდან. აქ ამ პერიოდის რაღაც სამარხის არსებობაზე მიუთითებს შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი ჭურჭლის ფრაგმენტების აღმოჩენა HB კვადრატის მთელ აღმოსავლეთ ნახევარში, სხვადასხვა სიღრმეზე, ხშირად — 4,40 — 4,50 მ დონეებზე. ოღონდ გაუგებარი რჩება, რას უნდა გამოეწვია ასე ღრმად (მიწის ზედაპირიდან 2,5 მ და უფრო მეტ სიღრმეზე) მდებარე, ალბათ კატაკომბური სამარხის (რადგანაც დასახელებული ნივთების დიდი ნაწილი ადრესამიწათმოქმედო ნაგებობების ქვეშ მდებარე ფენებშია ნაპოვნი) განადგურება. ფეოდალური დროის ხაროს კედლები თავიდანვე კარგად შემოიხაზა და ძირამდე გაიწმინდა, ისე რომ ყველა დასახელებული ნივთი ხაროს კედელს გარეთაა ნაპოვნი. ერთადერთი რაც შეიძლება ვივარაუდოთ — სამარხის დანგრევის შემდეგ მისი ნაშთები რბილ, ნაცრიან ფენაში დიდ ფართობზე გაიფანტა მღრღნელების მოქმედების შედეგად. ამდენად, ლითონის ნივთის მიკუთვნება ამავე სამარხისადმი უფრო დასაშვებია, ვიდრე მისი მიკუთვნება ადრესამიწათმოქმედო ფენისადმი.

ნაცროვანი ფენის აღების შემდეგ დაახლოებით 4,30 — 4,50 მ დონეზე გამოჩნდა ქვედა დონის ნაგებობათა ნაშთები. HC და HB კვადრატების მიჯნაზე, ჩრდილოეთ ნა-



სურ. 1. ხრამის დიდი გორა. 1980—1981 წწ. გათხრილი ფართობის გენგეგმა.

წილში, 1979 წელს გამოჩენილი № 76 კედლის გაგრძელებაზე გაძოიკვეთა მასზე მიდგმული და ძასთან დაკავშირებული № 81 კედელი, რომელიც მდებარეობდა HB — 38, 39, 30, 48, 49, 40, 58, 59, 50 კვადრატებში და მცირედ შედიოდა HC — 41 კვადრატში (სურ. 1, ტაბ. I). ამ კედელს სამ ადგილას კარგად გამოყვანილი პილონი ჰქონდა, ორი „კუთხეებში", ერთი კი ცენტრალურ ნაწილში — შესასვლელი კარის ცალ მხარეს. ეს კედელი მეორე მხრივ უკავშირდება № 85 ნაგებობის მცირე კე-

დელს, რომელიც ძირითადად გაუთხრელ ფართობში ექცევა (სურ. 1, ტაბ. I). № 81 კედელი გაიწმინდა 4,50 — 5,30 მ დონეებს (ნიშნულებს) შორის. № 85 კედელი 4,45 მ-დან ასევე — 5,30 მ დონემდე ჩადის. სავარაუდოა, რომ № 81 კედელი ზღუ-დავს „ეზოს“ № 76 და № 85 ნაგებობებს შორის, მსგავსად № 41 კედლისა.

№ 81 კედლის სისქეა საშუალოდ 24 სმ. ნაგებობის (თუ ეზოს) სიგრძეა 4,50 მ, სი-ვანე — 3,06 მ. № 81 კედელს დასავლეთის მხრიდან მიდგმული ჰქონდა ნალისებური ჰოყვანილობის მინაშენი (სურ. 1, ტაბ. I).

№81 სათავსოს ქვეშ, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში — 5,30 — 5,76 მ დო-ნეებზე გამოჩნდა ქვედა საამშენებლო ჰორიზონტის რაღაც კედლის ფრაგმენტი. ასევე კედლის სავარაუდო ფრაგმენტი იხაზება ამავე სათავსოს SW ნაწილში დაახ-ლოებით — 5,60 მ დონეზე.

№ 85 კედელს დასავლეთი მხრიდან ედგმის № 87 ნაგებობა (HB — 35, 36, 37 46, 47 კვადრატებში), რომლის დიდი ნაწილიც შედის გაუთხრელ ფართობში. ამ ნა-გებობის უდ. დიამეტრია 3,8 მ, კედლის უდ. სისქეა 28 სმ. მისი დონეებია — 4,30 — 5,02 მ.

ამ კედლებისაგან დასავლეთით მდებარეობს დიდი ეზოს მომზღუდავი კედელი — № 83, რომლის „დიამეტრი“ 5 მეტრს უდრის (HB - 34, 35, 45, 55, 64, 65 კვადრა-ტებში). ეს კედელი შერჩენილი იყო — 4,10 მ სიმაღლეზე, ძირი ჩადიოდა 4,70 მ დონემდე. ეს კედელი სამხრეთი ბოლოთი უკავშირდება № 23 ნაგებობას, ჩრდილოე-თი ბოლო კი შედის ჯერჯერობით გაუთხრელ ფართობში.

№ 83 კედელი მოკლე, თითქმის სწორხაზოვანი ტიხრით უკავშირდება HB — 66, 67 კვადრატებში მდებარე № 88 ნაგებობას (დონე — 3,65 — 4,30 მ). ეს ნაგებობა დასავლეთი მხრიდან ასევე სწორხაზოვანი ტიხრით იყო დაკავშირებული № 23 ნაგე-ბობის ერთ-ერთ ზედა დონესთან. № 88 ნაგებობა მორკალული ტიხრით დაკავშირე-ბული იყო აგრეთვე № 8 ნაგებობასთან. № 8 ნაგებობა ასეთივე მორკალული ტიხრით უკავშირდებოდა № 7 ნაგებობის ზედა დონეს.

№ 88 კედელს სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან ებჯინებოდა № 92 კედელი, რომე-ლიც მდებარეობდა 3,90 — 4,40 მ დონეზე. ამ კედელთან იყო დაკავშირებული მეორე კედლის (№ 93) ფრაგმენტი, რომელიც ზუსტად იმავე დონეზე მდებარეობდა HB — 87,88 კვადრატებში.

№ 88 სათავსოსა და მასთან დაკავშირებული კედლების — ტიხრების აღების შემ-დეგ გამოჩნდა ძათ ქვეშ მდებარე № 91 ნაგებობა, რომელიც № 88 ნაგებობის ქვეშ მდებარე მიწურისა თუ ორმოს მიერ იყო გადაჭრილი. № 91 ნაგებობა მდებარეობს HB — 76, 77 კვადრატებში. მისი ზედაპირი ყველაზე მაღლა შერჩენილი იყო — 4,0 მ-ზე, ძირი კი ჩადიოდა — 5,20 მ-მდე. ამ ნაგებობას ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან მოდგმული ჰქონდა მასიური მორკალული კედელი № 96 (HB — 55, 65, 75, 76 კვად-რატებში, — 4,58 — 5,08 მ დონეებზე), რომელიც შედიოდა № 83 კედლის ქვეშ და ჩრდილოეთი ბოლოთი უკავშირდებოდა ჯერ ბოლომდე გაუთხრელ № 100 კედელს (HB — 54, 55 კვადრატებში, — 4,70 — 5,16 მ დონეებზე). მოზრდილი ორმოსა თუ მიწურის მიერ იყო გადაჭრილი № 91 ნაგებობის ჩრდილოეთი ნაწილის გარდა, აგრეთ-ვე № 96 კედელთან დაკავშირებული რაღაც კედელი. ეს „მიწური“ მდებარეობდა HB — 55, 56, 57, 65, 66, 67 კვადრატებში, მისი ძირი ჩადიოდა — 5,68 მ დონემდე. „მიწურის“ შევსებაში მხოლოდ ადრესამიწათმოქმედო ხანის მასალა ჩნდებოდა. მი-სი მიკუთვნება ადრეული ფენისადმი ეჭვს არ უნდა იწვევდეს — მის თავზე ადრესა-მიწათმოქმედო ხანის რამდენიმე კედელი გადადიოდა.

№ 91 ნაგებობას ორგან ჰქონდა შესასვლელი; პირველი, უფრო ადრეული — აღ-მოსავლეთის მხრიდან, — ზევითკენ შევიწროებული, ქვევით გაგანიერებული თა-

ღისებური შესაძრომია. „შესასვლელის" უდიდესი სიგანე 60 სმ-ია, სიმაღლე — 51 სმ. შესასვლელის ძირი მდებარეობს — 5,20 მეტრ დონეზე, ე.ი. ნაგებობის ძირის დონეზე. ამ შესასვლელის გაუქმების შემდეგ იმავე შენობაში უფრო მაღალ დონეზე მეორე შესასვლელი გაუჭრიათ, ოღონდ სამხრეთის მხრიდან. ეს შესასვლელი სწორკუთხედის მოყვანილობისაა. ქვედა ნაწილში ოდნავ მომრგვალებული კუთხეებით. მისი სიგანე 70 სმ-ზე ცოტა მეტია. ამ შესასვლელის ძირის დონეა 4,86 მ (იხ. ტაბ. II).

№ 91 ნაგებობა მოკლე ტიხრით უკავშირდება მისგან დასავლეთით, HB-75 კვადრატში მდებარე მცირე ზომის (დიამეტრი 1,15 მ) წრიულ ნაგებობას — № 95-ს. დონეებია — 4,26 — 5,30 მ. ეს უკანასკნელი O-W ხაზზე მიმართული ორი პატარა ტიხრით უკავშირდება № 23 ნაგებობას. № 23 ნაგებობა საკმაოდ ღრმად ჩადიოდა. მისი ძირი მდებარეობს 5,28 მ დონეზე. პირი კი — 3,67 მ-ზე (და უფრო მაღლაც იყო შერჩენილი). ისე რომ, ამ ნაგებობის შერჩენილი სიმაღლე 1,5 მ-ზე მეტია. იგი, როგორც ჩანს, რამდენიმე საამშენებლო (სამი თუ არა, ორი — აშკარად) პერიოდში არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ამ ნაგებობას ერთ-ერთი შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან ჰქონია.

№ 91 ნაგებობა მოზრდილი მორკალული კედლის (№ 94) საშუალებით უკავშირდება № 3 ნაგებობის სულ ქვედა დონეს (№ 94 კედელს შუა ნაწილში კარგად გამოყვანილი პილონი აქვს). № 3 ნაგებობა დაკავშირებულია № 7 ნაგებობასთან (ქვედა დონე); ეს უკანასკნელი კი ასევე მოზრდილი, მორკალული ტიხრით უერთდება № 91 ნაგებობას; ისე, რომ იკვრება ერთიანი კომპლექსი — წრიული მოხაზულობის დიდი ეზო, რომელშიც ჩართულია № 3, № 7 და № 91 ნაგებობები. № 91 ნაგებობის სხვადასხვა დონის ორივე შესასვლელი ეზოს მხარეს იყო მიმართული.

განახლებისა და გადაშენების, ან ერთიდაიგივე ადგილას დაახლოებით ერთი ზომის ნაგებობების სხვადასხვა ჰორიზონტებში მშენებლობა საკმაოდ ხშირად გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით კარგად ჩანდა ეს № 7 ნაგებობის მაგალითზე, სადაც სამი გადაშენების კვალი შეინიშნებოდა — უფრო სწორად, სამი სხვადასხვა შენობა იყო დაშენებული ერთმანეთზე. მათი დონეებია: 1. 3,96 — 4,18 მ, 2. 4,08 — 4,36, 3. 4,36 — 5,35 მ.

№ 3 და № 91 ნაგებობების დამაკავშირებელ № 94 კედელს ჩრდილოეთის მხრიდან მოზრდილი, № 82 კედელი ებჯინება (HB — 58, 59, 50 კვადრატებში — 4,10 — 4,90 მ დონეზე მდგარი), რომელთა ურთიერთდამოკიდებულება ჯერჯერობით ნათელი არ არის.

№ 7 და № 91 კედლების შემაერთებელ კედელს დასავლეთიდან ემიჯნებოდა რაღაც კედლის ფრაგმენტი, რომელიც № 8 ნაგებობაზე დაბლა მდებარეობდა და № 103 ნაგებობის თავზე გადადიოდა. № 103 ნაგებობა № 7 და № 91 ნაგებობების შემაერთებელი ტიხრის ქვეშ შედიოდა. იგი მდებარეობს HB — 85, 86, 95, 96 კვადრატებში — 5,10 — 5,77 მ დონეზე. ამ ნაგებობის დიამეტრია 1,5 მ. მისგან სამხრეთ-დასავლეთით, HB — 04, 05, 94, 95 კვადრატებში გაითხარა № 105 ნაგებობა, რომელიც შერჩენილი იყო 5,39 — 5,70 მ დონეებზე. მისი მცირე ნაწილია გაუთხრელი, რომელიც ექცევა № 99 ნაგებობის ქვეშ. არც ეს უკანასკნელია ბოლომდე გათხრილი. № 99 ნაგებობის დონეებია — 4,67 — 4,97 მ; მასა და № 105 ნაგებობას შორის მდებარეობდა 30 სმ-ზე მეტი სისქის ნაცრიანი ფენა. № 103 და № 105 ნაგებობების დონეზე, მათგან ჩრდილოეთით, HB — 76, 85, 86 კვადრატებში გამოიკვეთა რაღაც კედლის (№ 104) ფრაგმენტი.

HB კვადრატის SO კუთხეში, HB — 00 კვადრატში გაითხარა მცირე ზომის წრიული შენობა — № 89. იგი შერჩენილი იყო 4,30 — 4,87 მ დონეზე. ამ ნაგებობის

აღების შემდეგ, საკმაოდ ღრმად, გამოიკვეთა ერთი წრიული ნაგებობა (№ 101) და მასთან დაკავშირებული მორკალული კედელი (№ 102). მათი ზედაპირი მოდის 5,33 მ დონეზე, ძირი კი ჩადის — 5,78 მ დონეზე. ეს № 101 ნაგებობა და მასთან დაკავშირებული ტიხარი, № 103 და № 105 ნაგებობების მსგავსად, ხრამის დიდ გორაზე გათხრილი ერთ-ერთი ყველაზე ადრეული შენობებია. მათზე უფრო ღრმად ჯერჯერობით მხოლოდ ორი ნაგებობის — № 71-ის (HC — 91, 92 კვადრატებში) და № 97-ის (HB — 69, 79, 70 კვ-ებში) ძირი ჩადის — 6,30 მ დონემდე, თუმცა ეს შენობები მათზე მაღალზეა გადარჩენილი, შესაბამისად — 4,89 და 4,92 მ დონეებზე.

№ 71 ნაგებობის თავზე მდებარეობდა № 66 ნაგებობა, რომელიც მდებარეობს HC — 01, 02, 91, 92 კვადრატებში — 3,98 — 4,85/5,00 მ დონეებზე. № 66 ნაგებობის შიდა დიამეტრია 1,5 მეტრი. ამ ნაგებობას შესასვლელი გაჭრილი ჰქონდა NW მხრიდან. ეს ნაგებობა თითქოს დაკავშირებული ჩანს № 41 კედლის ქვედა დონესთან. № 41 კედელი ქვედა დონეზე გაგრძელდა NO მიმართულებით და შეუერთდა № 45 ნაგებობისა და მის ქვეშ მდებარე № 61 ნაგებობის კედლებს — ისე რომ, ქვედა დონეზე იგი ბევრად უფრო გრძელია და დიდ ფართობს ზღუდავს, ვიდრე ზედა დონეებზე იყო. № 41 კედლის ძირი ჩადის 4,65 მ დონემდე. მის ქვეშ შედის № 86 კედელი, რომელიც W ნაწილში — 4,38 დონემდეა შერჩენილი, ძირი კი ჩადის 4,92 მ დონემდე. ამ ნაგებობის ქვეშ შედის ზემოაღნიშნული № 97 კედელი.

HC კვადრატის ცენტრალურ ნაწილში ზედა დონეების რამდენიმე კედელი ავიღეთ. მცირედ ჩავღრმავდით № 41 კედლის „ეზოში". საანგარიშო წლებში გათხრილი 5 ე.წ. კერიდან, 4 სწორედ ამ ფართობზე იქნა გამოვლენილი. ორი მათგანი მდებარეობდა ეზოს SW ნაწილში. ორივე კერის შერჩენილი. პირი ერთ დონეზე — 4,30 მ-ზე მდებარეობდა. ერთი მათგანი, № 84 პირდაპირ კედელზე იყო მიდგმული. მისი დიამეტრია 45—48 სმ. ძირი ჩადის 4,60 მ დონეზე. ეს კერა მდებარეობდა № 80 კერის ქვეშ, გამოჩნდა მისი ძირის გაწმენდისა და აღების შემდეგ. კერის კედლის სისქეა 2 სმ. ამ კერაში აღმოჩნდა ერთი საინტერესო ნივთი — ქვის კვერთხისთავის ნამზადი, რომელიც ფორმით ძეგლზე ფართოდ გავრცელებული ირმის რქის „ეროსებური" მოყვანილობის კვერთხისთავებს ემსგავსება — მასაც ორივე ბოლო მართი კუთხით აქვს წაკვეთილი, მთლიანად გახეხილი და მოგლუვებულია. სატარე ნახვრეტი ბოლომდე არ არის მიყვანილი — გახვრეტა ორი მხრიდანაა დაწყებული.

კერაში აღმოჩნდა ირმის რქის იარაღის ფრაგმენტები, აგრეთვე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, კაჟისა და ობსიდიანის ნაწარმი. მის გვერდით მდებარე № 85 კერა ფაქტიურად უმასალო გამოდგა — აქ ფხვიერ მიწაში ჩნდებოდა თიხის უფორმო გუნდები და ნახშირის ფრაგმენტები. ერთმანეთის გვერდით მდებარეობდა № 41 „ეზოს" NO ნაწილში გამოჩენილი ორი კერა. ერთ მათგანში — № 86-ში აღმოჩნდა ირმის რქის „ეროსებური" კვერთხისთავი და კაჟის ანატკეცები. მეორეში — № 87-ში ობსიდიანისა და კაჟის რამდენიმე ანატკეცი იყო მხოლოდ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ტიპის კერები ქვედა ჰორიზონტებში მეტად იშვიათია — 5,0 მ ნიშნულს ქვემოთ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კერა გამოვლინდა. იგი მდებარეობდა HC — 81, 82 კვადრატებში. შერჩენილი იყო კერის მხოლოდ ქვედა ნაწილი. კერის (რომელსაც მივეცით № 88) დიამეტრია 62 სმ; მისი ძირი მოდიოდა 5,30 მ დონეზე. კერაში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ობსიდიანის ლამელა ბითუმისებურ მასაში ჩასმული, საქონლის წვივის ძვალი, თევზის ხერხემლის მალები და კაჟის ორი ანატკეცი.

საანგარიშო წლებში ხრამის დიდ გორაზე უნდა დაგვედგინა თუ რა სიღრმეზე ვრცელდებოდა კულტურული ფენები — სად იწყებოდა გრუნტი, რადგანაც 1979 წლის გათხრების დროს HC კვადრატის SW ნაწილში გაჭრილი შურფი, მიუხედავად

იმისა, რომ საკვარაუდო გრუნტის დონეს თითქმის ორ მეტრზე ჩასცილდა, ყამირამდე დაყვანილი არ ყოფილა [4]. ამ მიზნით ერთი მხრივ გავაგანიერეთ და სილრმე მოვუმატეთ HB კვადრატში (86, 87, 88, 96, 97, 98 კვადრატებში) 1972 წელს გათხრილ საძიებო შურფს და მეორე მხრივ გავაგრძელეთ HC კვადრატის SW კუთხეში ჩაღრმავება.

HB კვადრატში გაჭრილ შურფში შემდეგი სურათი მივიღეთ: გრუნტი, უფრო ზუსტად სტერილური თიხის ფენა, ისევე, როგორც 1972 წელს დადგინდა, იწყება 5,85 მ დონეზე. ამ თიხის ფენაში ჩაჭრილია ორმო თუ მიწური (შურფის აღმოსავლეთ ნაწილში), რომლის მხოლოდ დასავლეთი ნაწილია ჯერჯერობით გამოჩენილი, დანარჩენი ნაწილი გაუთხრელია. შურფის ძირზე, რომელიც დღეისათვის 6,55მ დონეზეა დაყვანილი, ამ „მიწურისაგან" დასავლეთით გრუნტში ჩაჭრილია მასთან დაკავშირებული გრძელი ორმო. ამ ორმოს ძირი ქვებით იყო მოგებული. ამავე შურფის სამხრეთ კედელში გაიწმინდა გრუნტში ჩაჭრილი მცირე ზომის ცილინდრული ორმო — 28 სმ დიამეტრისა და 36 სმ სიმაღლის. ეს ორმო ნაცარ-ნახშირიანი მიწით იყო შევსებული.



ნახ. 2. ხრამის დიდი გორა. ჭრილები G—G, K—K და E—E.

[4] იხ. მ. მ ე ნ ა ბ დ ე, თ. კ ი ღ უ რ ა ძ ე, კ. გ ო ცა ძ ე. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1978 — 1979 წლების მუშაობის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VII თბ, 1980, გვ. 25.

HC კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გაჭრილ შურფში კულტურულ ნაშთებიანი ფენა 10,20 მ დონეზე ჩავიდა. როგორც ჩანს, გრუნტი (ყოველ შემთხვევაში სტერილური თიხის ფენა) აქაც საკმაოდ მაღლა მდებარეობს (დაახლოებით 6,5 მ დონეზე) და საქმე გვაქვს გრუნტში ჩაჭრილ დიდ ორმოსთან ან თხრილთან, რომელიც ძალიან ღრმად ჩადის თიხის ფენაში. სავარაუდო თხრილის ნაპირები ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება; ძირი მომრგვალებულია. თხრილს U-სებრი მოყვანილობა ჰქონია და თითქოს მიმართულია SO — NW ხაზზე. ეს თხრილი შევსებულია ნაცროვანი მიწით. თხრილის ზედა ნაწილში შეინიშნება მძლავრი დამწვარი ფენა. თხრილის შევსებაში გვხვდებოდა დიდი რაოდენობით ცხოველის ძვლები და ქვები. მცირერიცხოვანია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ობსიდიანი. ნაპოვნია რამდენიმე დამუშავებული ძვლის ნივთის ფრაგმენტიც. ქვებს შორის გვხვდებოდა ხელსაფქვავების ფრაგმენტები და სასრესი ქვები.

ჯერჯერობით დაბეჯითებით ვერაფერს ვერ ვიტყვით ამ თხრილებისა თუ ორმოების დანიშნულების შესახებ. მათ ზომებზე, ფორმა-მოყვანილობაზე, მიმართულებასა და დანიშნულებაზე პასუხი მომავალმა გათხრებმა უნდა გაგვცეს.

ხრამის დიდ გორაზე, ისევე როგორც წინა წლებში, საანგარიშო წლებშიც მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალაა აღმოჩენილი. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს შორის მრავლად გვხვდება რელიეფური ორნამენტით შემკული ნაწარმი. ხშირია ნუშისგულისებური და კონუსური დანაძერწები, V-სებრი და წრიული რელიეფები. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირ-გვერდის ერთი ფრაგმენტი — მთელი ყელი და მხრის ნაწილი, რომელიც თითქმის ცილინდრულყელიან პროფილირებულ მცირე ზომის ჭურჭელს ეკუთვნის. მას მხარზე შემოუყვება მახვილკუთხოვანი წვერით ზეაშვერილი რელიეფური დანაძერწები. თიხის ჭურჭლის უმეტესობა უხეშზედაპირიანია, მაგრამ გვხვდება გაპრიალებულზედაპირიანი, კარგად გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტებიც.

ძვლისა (თოხები, საპრიალებლები, სადგისები და სხვა) და ირმის რქის (თოხები, ცულები, კვერთხისთავები და სხვ.) მრავალრიცხოვანი ნაწარმიდან აღსანიშნავია რელიეფური სალტით შემკული რქის თოხი და კვერთხისთავი, ძვლის უხეშად დაკბილული სავარცხლისებური ნივთები — „საბეჭავები", დანისებური თუ კოვზისებური ნივთები, ბრწყინვალედ ნაკეთები ძვლის „ნემსები" და ძვლის ერთი მასიური ფიგურული ნივთი — თავგამოყვანილი, ქვედა ნაწილში შესქელებული, რომელიც შეიძლება სტილიზებულ ანთროპომორფულ ქანდაკებად წარმოადგენდეს.

მრავლად გვხვდება ნატეეცი ქვის ნაწარმი — ნუკლეუსები, ანატეეც-ანამტვრევები, ლამელები თუ მათზე ნაკეთები იარაღები — საჭრისები, საფხეკები, ხოწები, ბურღები, ნამგლის ჩასართები და სხვ.

ასევე მრავლადაა აღმოჩენილი ხელსაფქვავის ქვედა და ზედა ქვები, სანაყები და სხვა სამეურნეო დანიშნულების ქვები. შედარებით ნაკლებია გახეხილ-გაპრიალებული ქვის ნაწარმი.

სოფ. სიონში საანგარიშო წლებში გათხრებს ვაწარმოებდით ადგილ ფარეხებზე. აქაც გრძელდებოდა ადრე დაწყებული სამუშაოები — გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნისა და ადრესამიწათმოქმედო ნასოფლარის ტერიტორიის გათხრა[5]. ითხრებოდა A, B, Д, E კვადრატების მიჯნა. უნდა შევნიშნოთ, რომ გასათხრელ ფართობზე ბრინჯაოს ხანის სამარხებისა და ფეოდალური ხანის კულტურული ნაშთების მოქმედების შედეგად ადრესამიწათმოქმედო პერიოდის უძრავი ფენა არ შეგვხვედრია, თუ არ ჩავთვლთ B — 20 კვადრატში ერთი თითქმის მთელი თიხის დერგისებური ჭურჭლის აღ-

[5] წინა წლებში აქ ჩატარებულ სამუშაოთა შესახებ იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V და VI კრებულები; აგრეთვე მ. მ ე ნ ა ბ დ ე, თ. კ ი ღ უ რ ი ძ ე, სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1981.

მოჩენის ფაქტს, რაც პირველი შემთხვევაა ამ ძეგლზე. ისე კი ადრესამიწათმოქმედო კერამიკის ნატეხები და ნატკეცი ქვის ნაწარმი სხვადასხვა ინტენსივობით მთელ გათხრილ ფართობზე გვხვდებოდა. ნაწილობრივ გავწმინდეთ წინა წლებში გამოვლენილი ადრესამიწათმოქმედო ხანის № 2 კედელი და № 1 კედლის დასავლეთით მდებარე ქვების „გროვა", სადაც № 1 და № 2 კედლების ანალოგიური წყობის კედლის ფრაგმენტი გამოვლინდა.

საანგარიშო წლებში „ფარეხებზე" გაითხარა გვიანბრინჯაოს ხანის 9 ორმოსამარხი (№ № 12—20; სურ. 3).



სურ. 3. სიონი, „ფარეხები", გათხრილი ფართობის გეგმა.

ორმოსამარხი № 12 მდებარეობდა A — 09, 99 კვადრატებში, გადახურული ყოფილა მასიური მთლიანი ფილაქვით, რომელიც გათხრის დროისათვის ჩალეწილი იყო შუაგულისაკენ. დამტვრეული ქვების ქვეშ ისევ ბრტყელი ფილაქვები გამოჩნდა. ქვედა ქვებიც დამტვრეული იყო და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დაფერდებული.

სახურავის მიხედვით სამარხი N — S ხაზზე იყო დამხრობილი, მაგრამ ასიმეტრიული მოყვანილობის კუთხეებმომრგვალებული მოგრძო ორმო მცირედ გადახრილი იყო ამ ხაზიდან NNW-კენ; ამასთანავე, ორმო სახურავის გარეთ გადიოდა N-კენ.

ორმოს კედლები ძირითადად კარგად იწმინდებოდა. სამარხის სიგრძე — 1,05 მ, სიგანე — 0,78 მ, ხოლო სიღრმე — ქვის სახურავის ქვეშ — 0,9 მ იყო. მოზრდილი ადამიანი მარჯვენა გვერდზე იწვა მოხრილი კიდურებით, თავით N-კენ, ხელები სახესთან ჰქონია მიტანილი. შედარებით კარგად შენახული ჩონჩხი (არ ჩანდა მხოლოდ ფალანგები), ზურგით ორმოს კედელს ეყრდნობოდა; თავის ქალის W-ით თიხის 3 ჭურჭელი იდგა, 2 ჯამი და წელში გამოყვანილი კათხა, რომელსაც ყური ადრევე ჰქონია მოტეხილი. სახესთან იდო ბრინჯაოს მრგვალთავიანი საკინძი. მუხლებთან წაქცეული იყო თიხის მოზრდილი ჭურჭელი — სადღვებელი, რომელშიც პატარა კოჭობი იდგა.

ორმოსამარხი № 13 მდებარეობდა კვ. B — 17, 18-ში. იგი ძლიერ დაზიანებული, შეიძლება ითქვას, დანგრეული იყო. თავდაპირველად მასიური ფილაქვა გამოჩნდა, რომელიც ცალი კუთხით საკმაოდ მაღლა იყო ამოზიდული (ამ ქვის ზომები 0,99 X 0,78 მ). იქვე რამდენიმე მომცრო ზომის ქვა და ბლომად ღორღი ეყარა; მათი აღების შემდეგ ბრტყელი ქვები გამოჩნდა, რომლითაც თითქმის დაფარული იყო 2,10 X 1,20 მ ფართობი (N — S ხაზზე ორიენტირებული).

პრეპარაციამ დაგვანახა, რომ კუთხით ამოშვერილი დიდი ფილაქვა სახურავის ნაწილი უნდა ყოფილიყო, რომელიც ჩამტვრეულა და დიდი არეულობაც გამოუწვევია. ერთი და იგივე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები სხვადასხვა დონეებზე გვხვდებოდა. ასევე დამტვრეული და არეული იყო ადამიანის ჩონჩხიც, ძირითადად ჯამების ფრაგმენტები გვხვდებოდა. იმდენად არეული იყო სამარხი, რომ ვერც ჩონჩხის პოზა და ვერც ინვენტარის მდებარეობა ვერ დადგინდა.

ორმოსამარხი № 14 მდებარეობდა კვ. B — 31, 32-ში, ნაწილობრივ B — 41-შიც გადადიოდა. სახურავი ქვების პრეპარაციის და აღების შემდეგ გამოჩნდა N — S ხაზზე დამხრობილი სამარხი.

ოვალური მოყვანილობის ორმოს კედლები კარგად იხაზებოდა. მოზრდილი ადამიანი იწვა მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით N-კენ. სამარხის NW ნაწილში, მიცვალებულის სახის პირდაპირ, თიხის ჯამი იდგა. აქ გათხრილი სხვა სამარხებისაგან განსხვავებით, სამარხში დიდი რაოდენობით იყო ცხოველის ძვლები. ცხვრის თავის ქალა და სხვა ძვლები აღმოჩნდა სამარხის N ნაწილში, რომელიც ნაწილობრივ ადამიანის თავის ქალაზე და მის წინ მდებარე ჯამზე გადადიოდა. ასევე ცხოველის (ალბათ ცხვრის) ბეჭი და ლულოვანი ძვლები იყო ადამიანის ბარძაყისა და იდაყვის ძვლებს შორის, რომელთა ქვეშ ბრინჯაოს სატევარი და საკინძი აღმოჩნდა. მათგან W-ით კი, ორმოს ნაპირთან, ბრინჯაოს თხელფირფიტოვანი ძლიერ დაჟანგული მასრა იდო. ბრინჯაოს ნივთები ვიპოვნეთ მიცვალებულის ზურგს უკან, სადაც ჩონჩხზე უფრო ღრმად ძლიერ დაჟანგული და ფრაგმენტირებული ვიწრო სარტყელი გამოჩნდა და კიდევ უფრო ღრმად ასევე ძლიერ დაჟანგული და დაზიანებული (დაგრეხილი) შუბისპირი. ცხოველის კბილები და წვრილი ძვლები ეყარა SO ნაწილშიც, ადამიანის ტერფებთან, სადაც მოზრდილი ორყურა დერგი იყო წაქცეული; მისგან W-ით კი მოზრდილი პირმოყრილი ჭურჭელი იდგა. ბრინჯაოს გატეხილი პინცეტი აღმოჩნდა მაჯის ძვლის ქვეშ, ჯამის სიახლოვეს.

ორმოსამარხი N 15 კვ. A — 07,08-ში მდებარეობდა. ქვები ნაწილობრივ გადადიოდა A — 97,98 კვადრატებშიც. ეს სამარხი ბევრი ნიშნით გამოირჩევა „ფარეხებზე" გათხრილ დანარჩენი სამარხებიდან. ეს პირველი შემთხვევაა, როცა მიცვალებული მარცხენა გვერდზეა დასვენებული, ამასთანავე მის გვერდით, O მხრიდან, ბევრად უფრო მაღლა, დაკრძალული იყო სრულიად ჩვილი ბავშვი, რომელსაც ყელის არეში პასტის რამდენიმე მძივი და ბრინჯაოს 2 პატარა ხვია აღმოაჩნდა. ბავშვიც მარცხენა გვერდზე იწვა მოკრუნჩხულ პოზაში. დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება ძნელია სამარხის დაზიანების გამო; მაგრამ ვფიქრობთ, წყვილად სამარხთან უნდა გვქონდეს საქმე, სადაც დედა-შვილია დაკრძალული.

მოზრდილი ადამიანი იწვა ხელ-ფეხმოხრილი, თავით N-კენ. სახესთან აღმოჩნდა ერთმანეთში ჩადგმული თიხის ორი ჯამი, მათგან სამხრეთით შედარებით მომცრო ჯამი იდგა. კისრის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს საკინძი.

ორმოსამარხი N 16 მდებარეობდა ძირითადად B-40 კვადრატში, დამხრობილი იყო N-S ხაზზე (მცირე გადახრით). იგი წაგრძელებულ კუთხეებმომრგვალებულ ოთხკუთხედს წარმოადგენდა, რომელიც ჩრდილოეთისაკენ ოდნავ ვიწროვდებოდა. სამარხის ორმო საკმაოდ კარგად შემოიხაზა. მისი სიგრძე 125, სიგანე — 75, ხოლო სიღრმე დაახლოებით 70—80 სმ იყო. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ყოფილა

დასვენებული, თავით ჩრდილოეთისაკენ. ჩონჩხი ძალიან ცუდად იყო შენახული. თავის ქალის ფრაგმენტები სამარხის N ნაწილში აღმოჩნდა, ხოლო მენჯისა და ქვედა კიდურების ლულოვანი ძვლების ფრაგმენტები სამხრეთით. ხერხემლისა და ნეკნების ძვლების ნაშთსაც კი ვერ მივაკვლიეთ (ტაბ. III_1).

სამარხი საინტერესო ინვენტარს შეიცავდა. თიხის ხუთი ჭურჭლიდან ერთი გეომეტრიული ორნამენტით შემკული წელში გამოყვანილი ღრუჭუსლიანი მოზრდილი სასმისია, რომელიც თავის ქალადან SW-ით აღმოჩნდა. მის ქვეშ ბრინჯაოს სატევარი, საკინძი და პინცეტი ვიპოვეთ. სასმისის ორივე (N და S) მხრიდან თიხის ჭურჭლები — ლანგრისებური ჯამი და ქოთანი ელაგა. დანარჩენი 2 ჭურჭელი სამარხის S ბოლოში ეწყო — ორყურა დერგისებური ქილა (SO კუთხეში) და მეტად ორიგინალური კალათის ფორმის ჭურჭელი სახელურზე გველის რელიეფური გამოსახულებით (SW კუთხესთან).

თითქოს წყვილადი უნდა იყოს B-60 კვადრატში გათხრილი სამარხი, სადაც ერთმანეთის მახლობლად დაკრძალული ორი ჩონჩხი აღმოჩნდა, თუმცა არც ის ვარაუდია მთლად გამოსარიცხი, რომ აქ ორ დამოუკიდებელ სამარხთან გვქოხდეს საქმე. თავდაპირველად ძიკვლეული და გათხრილი იქნა მარცხენა გვერდზე მწოლარე მიცვალებული, რომელიც ძლიერ მოკრუნჩხულ პოზაში ესვენა თავით NO-სკენ. მუხლისა და იდაყვის ძვლები თითქმის ეხებოდა ერთმანეთს, ხელის მტევნები კი შედიოდა თიხის ჯამის ქვეშ, რომელიც თავის ქალასთან იდგა თხემის მხრიდან. მისგან დასავლეთით, თავის ქალას ირგვლივ, თიხის სამი ჭურჭელი იყო ჩაწყობილი — ჯერ მომცრო ჯამი, ხოლო შემდეგ ფრაგმენტირებული ჭურჭელი და მასზე დადგმული მცირე ზომის ჯამი. ნიკაპთან იდო ბრინჯაოს ლურსმნისებურთავიანი საკინძი. მუხლის ძვლებთან კიდევ ორი პატარა ჭურჭელი აღმოჩნდა — ფიალისებური ჯამი და გვერდწიბოიანი კოჭობი. მათგან აღმოსავლეთით, დონით რამდენადმე მაღლა თიხის მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტები გამოჩნდა, რომლის ძირთან SW მხრიდან იდო თიხის სამარილესებური ჭურჭელი. აქვე ახლოს აღმოჩნდა მეორე მიცვალებულის თავის ქალა, რომელიც მარჯვენა გვერდზე იყო დაკრძალული ძლიერ მოხრილი ფეხებით. ჩონჩხი უფრო ღრმად მდებარეობდა, ვიდრე სამარილე და ფრაგმენტირებული ჭურჭელი. ორივე ჩონჩხი პარალელურად იწვა, ოღონდ მეორეს თავის ქალა პირველი ჩონჩხის წვივის ძვლების გასწვრივ მდებარეობდა, ჩონჩხის ქვედა ნახევარი კი ბევრად სცილდებოდა პირველი ჩონჩხის ფარგლებს. სამარხის ორმო ზოგან კარგად იხაზებოდა, ჩონჩხებს შორის მიჯნაზე კი სრულებით არ იკვეთებოდა. პირველი ჩონჩხი ზრდადასრულებულ ადამიანს ეკუთვნოდა, მეორე კი — ბავშვს. ორივე დამხრობილი იყო თითქმის N-S ხაზზე, მცირეოდენი გადახრით NO-სკენ. ბავშვის ჩონჩხი რამდენადმე უფრო ღრმად ესვენა, ვიდრე მეორე გვამი და ინვენტარის ძირითადი ნაწილი, ხოლო ბავშვის თავთან მდებარე ფრაგმენტირებული ჭურჭელი და სამარილე მათზე უფრო მაღლა მდებარეობდა.

გადაჭრით მტკიცება აქ წყვილად, თუ დამოუკიდებელ სამარხებთან გვაქვს საქმე ძნელდება, იხევე, როგორც ზოგიერთი ნივთის მიკუთვნება ამა თუ იმ ჩონჩხისადმი (კერძოდ ბავშვის თავთან და მის W-ით მდებარე ჭურჭლებისა). ეს სამარხები ჩვენ N 17 და N 17_1-ით აღვნიშნეთ, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ მათ შორის გარკვეული კავშირურთიერთობა უნდა არსებობდეს (ტაბ. III_2).

ორივე ჩონჩხს, მათ თავთან მდებარე ჭურჭლებიანად თანაბარი სიგრძე აქვს, კერძოდ თითოეულს 110 სმ. სიგანე თანხვდომის ადგილას (ორივესი ერთად) — 125 სმ.

ორმოსამარხი N 18 B — 19 კვადრატში მდებარეობდა. იგი ოვალური მოხაზულობის ორმოს წარმოადგენდა, რომლის სიგრძე 150, სიგანე კი 75 სმ იყო. ორმოცა და, შესაბამისად მიცვალებულიც N-S ხაზზე იყო დამხრობილი. მოზარდი

ადამიანი მარჯვენა გვერდზე იყო დაკრძალული ძლიერ მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ (ტაბ. IV_1).

კერამიკა სამარხში თავის ქალასთან იყო ჩაწყობილი. ყურიანი დოქი კეფასთან, პატარა ჯამი — თხემთან, ხოლო მოზრდილი ჯამი ნაწილობრივ თავის ქალას ქვეშ შედიოდა. შედარებით მრავლად იყო ბრინჯაოს ნივთები. სახესთან, ჯამის გვერდზე დაკეცილი სარტყელი იდო, ძლიერ პატინირებული (სიგანე დაახლოებით 5 სმ.); იმავე ჯამის საპირისპირო მხარეს გრძელი კონუსური საკინძი იდო, მოღუნული (საკინძიც და სარტყელიც სპეციალურად დაზიანებულს ჰგავს); ორივე ფეხზე, კანჭებზე, თითო რგოლი ჰქონდა წამოცმული; კისრის არეში სარდიონის მძივები იყო გაბნეული.

ორმოსამარხი N 19 მდებარეობდა B — 81 კვადრატში. მიცვალებული დაკრძალული იყო N-S მიმართულებით მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით, თავის ქალა კი საკმაოდ შორს იყო გადავარდნილი ჩონჩხისაგან; ასევე ცალი მკლავიც თითქოს მოცილებულია ჩონჩხს და გაშლილად დევს ორმოს W ნაპირთან. დანარჩენი ძვლები კისრიდან ფეხებამდე ბუნებრივი თანმიმდევრობით იყო განლაგებული.

სამარხში მხოლოდ სარდიონის მძივები აღმოჩნდა. მძივები ორ ნაწილად იდო, თან ისე მჭიდროდ ჩამწკრივებული, თითქოს ძაფზე იყო ასხმული. ერთი ასხმა კისრის ძვლებთან იდო, მეორე კი გადავარდნილ თავის ქალასთან. მძივები საკმაოდ დიდი ზომისაა; ერთი ნაწილი თითქმის თანაბარი ზომის მრგვალბრტყელი მოწითალო-მოვარდისფრო მძივებია; დანარჩენი კი უფრო მუქი ფერის დახეთქილი მძივებია. 1 ც. მოზრდილი მძივი ექვსწახნაგაა.

ორმოსამარხი N 20 მდებარეობდა B — 29 კვადრატში (მცირე ნაწილი გადიოდა B — 39 კვ-ში). ნაწვიმარზე მშვენივრად შემოიხაზა ზევიდან ოვალური მოყვანილობის ორმო, რომელიც ნაცრისფრად ჩანდა მუქ გრუნტში. გათხრების დროს ორმო უფრო გაფართოვდა და შიგ საკმაოდ არეული ვითარება დაგვხვდა. ორმო წაგრძელებული იყო N-S მიმართულებით (ტაბ. IV_2).

სამარხი აშკარად დაზიანებული იყო. ინვენტარს შორის ცალკე იდო თავის ქალა ქვედა ყბის გარეშე, რომელიც მარჯვენა მხარეზე იდო სახით ჩრდილოეთისაკენ. ამას გარდა, შუა სამარხში NW — SO მიმართულებით ადამიანის ბარძაყის ძვალი იდო, ისიც ნაკლული. ადამიანის დანარჩენი ძვლების კვალიც კი არ იყო. სამაგიეროდ მრავლად იყო ცხოველის ძვლები, რომლითაც სამარხის თითქმის მთელი ძირი იყო მოფენილი; მათზე ზევიდან კერამიკა იყო დაწყობილი. სამარხის N და S განაპირას თიხის თითო მთელი ჭურჭელი აღმოჩნდა, მათ შორის კი ფრაგმენტირებული ჯამი და ბადიისებური ჭურჭელი. სამარხის SO ნაწილში კერამიკის ალაგების შემდეგ გამოჩნდა ბრინჯაოს სატევარის წვერი (ნაკლული ჩაუტანებიათ). სამარხის ჩრდილო, კერამიკისაგან თავისუფალ ადგილას ბრინჯაოს ნივთები აღმოჩნდა — NW ნაწილში ბიკონუსურთავიანი საკინძი, ხოლო NO ნაწილში — პინცეტი და ბალთის ფრაგმენტები.

სამარხი ორმოს სიგრძე — 145, ხოლო სიგანე 90 სმ-ია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა სოფ. კასუმლოს მიდამოებში ჩატარებულმა დაზვერვებმა. აქ მივაკვლიეთ შულავერის კულტურის ერთ დაუზიანებელ ბორცვს და ორ განადგურებულ (მიწის პირთან გასწორებულ) ნამოსახლარს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია პირველყოფილი ხელოვნების უნიკალური ძეგლის „დამირ-გაიას“ აღმოჩენა, სადაც მუქი წითელი ოქრით შესრულებული კედლის მხატვრობაა დადასტურებული. ნახატები მცირე ზომისაა, შესრულებულია მეტად სტილიზებულად, სქემატურად. ნახატების დიდი ნაწილი წაშლილია, მაგრამ ზოგიერთი მათგანი საკმაოდ კარგადაა გადარჩენილი — სადაც ჩანს ირმის, თხის, გველის და სხვ. გამოსახულებანი. «დამირ-გაია» წარმოადგენს უზარმაზარი. ნახევარ-

სფერული მოყვანილობის კლდის ნაგლეჯს (6.5 × 3 მ), რომლის შიდა მხარეც გუმბათისებურად, ნახევარსფერულადაა გამოქარული. სწორედ შიდა მხარესაა შესრულებული კლდის მხატვრობის ეს ნიმუშები. ნახატები წინასწარულად ნეოლითბრინჯაოს ხანით უნდა დათარიღდეს.

М. В. МЕНАБДЕ, Т. В. КИГУРАДЗЕ

РЕЗУЛЬТАТЫ РАБОТ КВЕМО-КАРТЛИЙСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ (1980—1981 ГГ.)

Резюме

(Табл. *I—IV*)

Квемо-картлийская археологическая экспедиция в 1980—1981 гг. продолжала раскопки в с. Сиони и на раннеземледельческом поселении Храмис Диди-гора, а также проводила разведки в низовьях рек Храми и Дебеда.

На Храмис Диди-гора раскопки велись в основном в квадрате НВ. Здесь, после снятия построек, раскопанных в 1972—1973 гг., на уровне — 3,7—4,3 м были выявлены контуры помещений нижележащих строительных горизонтов.

В центральной части квадрата НВ удалось установить непосредственную связь между помещениями №№ 88,23,83,8 и 7, относящимися к двум уровням, ниже которых идет помещение № 91, соединенное с помещением № 3 и нижним уровнем помещения № 7. Таким образом, последние составляют единый комплекс с внутренним двориком. К этому же строительному горизонту относится и стена № 81, соединяющая помещения № 76 и № 85, выявленные в квадрате НС и в секторе NO квадрата НВ.

К более раннему строительному горизонту относятся помещения №№ 101,103,105, низ которых находится на отметках 5,70 — 5,78 м. К одновременному с ними или к более раннему горизонту должны принадлежать помещения № 71 и № 97, полы которых находятся на отметке 6,30 м.

В шурфе, заложенном в SW углу квадрата НС, слои с культурными отложениями доходят до отметки 10,20 м. По-видимому, здесь находится какое-то углубление, суживающееся к округлому дну, — или ров или же яма, — вырытое в стерильном глиняном слое с отметки 6,5 м или несколько выше.

Добыт обычный для данной культуры вещественный материал.

В с. Сиони за отчетный период раскопки велись в местечке Парехеби. Были раскопаны 9 грунтовых погребений (№№ 12—20) эпохи поздней бронзы. Из них № 15 и № 17 парные. Среди глиняного инвентаря особо следует выделить оригинальное ведерко с рельефным изображением змеи на ручке и кубок, поверхность которого, аналогично подобным триалетским кубкам, полностью покрыт клиновидным и резным геометрическим орнаментом. Металлический инвентарь представлен исключительно бронзовыми изделиями (кинжалы, наконечник копья, булавки, фрагменты узких поясов, бляха, пинцеты и т. д.).Встречаются также сердоликовые и пастовые бусы.

Важные результаты дали разведки в окрестностях с. Касумло, где выявлены одно неразрушенное и два разрушенных жилых холма Шулаверской культуры. Но самым значительным открытием следует считать находку уникального памятника первобытного искусства — Дамир-гая, представляющего собой скальную роспись: небольшие стилизованные, схематические изображения животных — козла, оленя, змеи и др., выполненные красной охрой. Роспись находится на внутренней, полусферической поверхности огромной скальной глыбы, размером 6,5 × 3 м, некогда оторвавшейся от гребня и скатившейся со склона высокой горы. Рисунки предварительно можно отнести к эпохе неолита-бронзы.

ო. ჯაფარიძე, გ. ავალიშვილი, ა. ფერეთელი

კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980—1981 წლების მუშაობის ანგარიში

(ტაბ. V)

1980 წლის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ო. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მუშაობას აგრძელებდა გარდაბნის რაიონში, სადაც წინა წლებში გამოვლინდა ძვ. წ. III ათასწლეულის ყორღანული სამარხები.

1980 წელს ექსპედიცია მუშაობდა შინდათხევში, მარტყოფიდან ახალსოფელში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს. გზიდან 100 მ დაშორებით, მარტყოფის აპარანის საყდრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კმ-ზე, გაითხარა ერთი ყორღანი (№3). ყორღანი დაზიანებული იყო. მასზე საურმე გზა გადიოდა. გადმოცემით, ყორღანიდან მშენებლობისათვის სხვადასხვა დროს ქვა უზიდიათ (სურ. 1). ყორღანის ზომებია: დიამეტრი O-W მიმართულებით — 30 მ, N-S მიმართულებით — 27 მ; შემორჩენილი სიმაღლე — 1.75 მ. ყორღანზე აღმოსავლეთის მხრიდან გაივლო 6 მეტრი სიგანის თხრილი, რომელიც შემდეგ ცენტრალურ ნაწილში გავაფართოვეთ (12 × 9.40 მ). დაახლოებით 30—40 სმ სიღრმემდე კორდოვანი ფენა გადიოდა. შემდეგ წამოვიდა ქვაყრილის თხელი ფენა, რომლის აღების შემდეგ გამოჩნდა თიხის ზვინული. ულევარის (№№ 1,2) ყორღანებისაგან განსხვავებით, სადაც ზვინულისათვის წითელი თიხაა გამოყენებული, აქ თიხა მოყვითალო ფერის იყო. თიხის ზვინულის დიამეტრი — 8 მ, ხოლო შემორჩენილი სისქე ცენტრალურ ნაწილში 0.70 მ აღწევდა. შესაძლოა, რომ ზვინულისათვის სამარხი ორმოდან ამოღებული თიხნარი მიწა იყოს გამოყენებული, მითუმეტეს, რომ აქაური ყამირი თითქმის ასეთივეა. ყორღანის ცენტრში აღმოსავლეთის ნაპირიდან 13.50 მ დაშორებით ქვითა და მიწით სავსე სამარხი ორმო აღმოჩნდა. ორმოს თავზე, სამხრეთ ნაწილში გამოჩნდა გადახურვის ძელების ნაკვალევი. ძელები ელაგა სიგრძივ და სამხრეთსა და ჩრდილოეთის მხარეს 0.50—0.60 მ სცილდებოდა ორმოს ფარგლებს. ორმოს ოთხივე მხარეს ჩანდა ერთმანეთზე გადადებული ძელები. ასევე, თვით ორმოს ოთხივე, განსაკუთრებით კი სამხრეთის კედელზე, კარგად ჩანდა ვერტიკალურად დაყენებული ძელების ნაკვალევი. როგორც ჩანს, ორმოში ჩადგმული იყო ძელებისაგან შეკრული ნაგებობა, რომლის გადახურვა დალპობის შემდეგ ორმოში მოექცა (ტაბ. V_1).

სამარხი ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ზედაპირიდან 1.80 მ, ხოლო ორმოს თავიდან 0.80 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ჩაშვებული სამარხი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ის კამერის გადახურვის ძელებზე იყო გამართული. როგორც ჩანს, სამარხის მოწყობის დროს ორმოში ჩადგმული ნაგებობის გადახურვა ჯერ კიდევ მყარად მდგარა. გადახურვის ჩაწოლის შემდეგ სამარხს დეფორმაცია

განუცდია. იგი დაქანებული იყო სამხრეთისაკენ და მისი ინვესტარი სხვადასხვა დონეზე იდო. მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით დასავლეთისაკენ. ძლიერი მოკუნტულობის გამო ჩონჩხს სიგრძეზე სულ 0,60 მ ეჭირა. თავის ქალა დაშლილი იყო; კბილების მიხედვით ჩანს, რომ მიცვალებული შუა ხნისა უნდა ყოფილიყო. სამარხის ზომებია — 1,70 × 0,85 მ, მიმართული იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.



სურ. 1. მარტყოფი. შინდათხევი, ყორღანი № 3. გეგმა და ჭრილი

მიცვალებულის თავის ქალასთან აღმოჩნდა ოქროს ხვია. ქვედა კიდურებთან იდო ბრინჯაოს ისრისპირი და პატარა სასმისი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, თავის ქალიდან 0,98 მ დაშორებით, ნაპოვნი იქნა ბრინჯაოს ბრტყელ-ყუნწიანი და ქედიანი დისკო, ალბათ, „კვერთხის თავი"; მის გვერდით — თიხის შავი ჭურჭელი (სურ. 2). ორივე ნივთი ჩონჩხზე 0,40 მ მაღლა იდო. სამარხის აყრის შემდეგ აღმოჩნდა ხის ნაშთი.

ძირითადი სამარხის — ორმოს ზომები ასეთია: ზედაპირთან, სიგრძე-სამხრეთი კედლისა — 3,70 მ, აღმოსავლეთი კედლისა — 3,50 მ, დასავლეთი კედლის — 3,20 მ, ჩრდილოეთი კედლისა — 4,0 მ; ორმოს ძირზე — სამხრეთი კედლისა — 3,50 მ, აღმოსავლეთისა — 2,96 მ, დასავლეთისა — 2,65 მ, ჩრდილოეთისა — 3,80 მ; ორმოს სიღრმე ყორღანის თავიდან — 4,10 მ. სამარხი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, ოდნავ ჩრდილოეთისაკენ გადახრით ხის კამერის ვერტიკალური ძელები პირდაპირ ორმოს ძირზე იდგა, გამაგრების გარეშე.

ორმოს ცენტრალურ ნაწილში, იატაკის ძელებზე დაკრძალული იყო ორი

მიცვალებული. იატაკის ძელები დასავლეთის კედლიდან 0,80 მ დაშორებით იყო, ჩრდილოეთის კედლიდან — 0,60 მ, სამხრეთის კედლიდან — 0,80 მ, ხოლო აღმოსავლეთის კედლიდან 0,40 მ დაშორებით. ორმოს ძირზე დაგებული ხის ძელებისაგან შედგენილი მოედნის ზომები იყო 2,85. × 1,57 მ.



სურ. 2. მარტყოფი. ყორღანი № 3, ჩაშვებული სამარხის ინვენტარი.

ხის მოედნის კიდეებზე კარგად ჩანდა ღარისებრი ღრმულები, რომლებშიც შეიმჩნეოდა ხის ნაშთი. ეს ღრმულები ხის ეტლის თვლების ნაკვალევია. ღრმულების ზომებია (დაახლოებით): სიგრძე — 1,20 მ, სიღრმე — 0,30 მ.

როგორც აღვნიშნეთ, ხის მოედანზე ორი მიცვალებული ესვენა, ერთი მოედნის

დასავლეთ ნაწილში. ფეხებმოკეცილი. მარცხენა მხარეზე იდო. თავის ქალა ადგილიდან დაძრული და ჩონჩხიდან ჩრდილოეთით 0.40 მ გადაგორებული აღმოჩნდა. მიცვალებული შუახნის, საკმაოდ ახოვანი (1.90 მ მეტი სიმაღლის). ძვალმსხვილი მამაკაცი უნდა ყოფილიყო. ჩონჩხი დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, თავით დასავლეთით და ეპირა ფართობი 1.55 × 0.60 მ (სურ. 3).



სურ. 3. შინდათხევი. ყორღანი № 3. ძირითადი სამარხი.

მიცვალებულის თავის ქალასთან აღმოჩნდა გიშრის რგოლი, მენჯის ძვალთან — ოქროს მასიური ხვია და ბრინჯაოს კასრისებრი მძივი. მუხლებთან, სამარხის ცენტრალურ ნაწილში თხელკედლიანი, ნაკაწრი ორნამენტით შემკული სასმისი. ფეხებთან კი სარდიონის სამკუთხა მოყვანილობის ბრტყელი საკიდები და ორი მძივი აღმოჩნდა.

მეორე ჩონჩხი იდო მოედნის აღმოსავლეთ ნაწილში, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, თავით სამხრეთით. მისი თავის ქალა პირველი მიცვალებულის ფეხებთან იყო. იგი იწვა მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი ფეხებით, და ეკავა ფართობი 1.0 × 0.60 მ. მიცვალებული ქალი უნდა ყოფილიყო. თავის ქალას ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს ოთხი ხვია, სახის წინ, 0,10 მ დაშორებით — თიხის ბრტყელი ლანგარი. ლანგარში სარდიონის სამი ბრტყელი სამკუთხა მძივსაკიდი იდო. ორი ასეთივე საკიდი იდო მიცვალებულის მუცლის არეში. აქვე იყო ბრინჯაოს მოგრძო სადგისი და ბრინჯაოს ისრის პირი. ფეხებთან, ხის მოედნის კიდეზე იდო ბრინჯაოს სატეხი, მის აღმოსავლეთით, 0,10 მ დაშორებით — ბრინჯაოს ცული. აქვე იყო ბრინჯაოს ბრტყელი, ფოთლის მსგავსი „შტანდარტი". ორმოს ჩრდილოაღმოსავლეთ კუთხეში, ხის მოედნის გარეთ, გვერდი-გვერდ იდგა ორი დერგი, მათ გვერდით — ერთი ჭურჭელი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კიდევ

ᲠᲠᲘ (ტაბ. V_2, სურ. 4.5).

როგორც ჩანს, სამარხში დაკრძალული იყო ცოლ-ქმარი. მიცვალებულები დაკრძალულია ერთდროულად და შესაძლოა ქმარს ცოლი თან ჩაატანეს. იგი მის ფეხებთანაა დასაფლავებული.

აღსანიშნავია, რომ სამარხში საქონლის არცერთი ძვალი არ აღმოჩნდა. ეს მეტად იშვიათი შემთხვევაა, რადგან ამ დროს ყორღანებში ჩვეულებრივ გვხვდება როგორც



სურ. 4. მარტყოფი. ყორღანი № 3. ძირითადი სამარხის ინვენტარი

მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის ძვლები. რითი იყო ეს გამოწვეული, ძნელი სათქმელია. შეიძლება სამარხი ეკუთვნოდა მეომარს, რომელიც მეურნეობრივი საქმიანობით ნაკლებად იყო დაკავებული.

ძნელია, აგრეთვე, თქმა, თუ რა დამოკიდებულებაშია ჩაშვებული სამარხი ძირითადთან. ჩაშვებული სამარხი, თიხის ჭურჭლის მიხედვით, ბედენური კულტურის დროინდელი უნდა იყოს. ძირითადი სამარხი, შესაძლოა, რამდენადმე უფრო ადრეულია, თუმცა მათ შორის დროის მხრივ დიდი სხვაობა არ ჩანს. ამ სამარხში



სურ. 5. შინდათხევი. ყორღანი № 3, ძირითადი სამარხის ინვენტარი

აღმოჩენილი ცული და სატეხი ახლო დგას გ. გობეჯიშვილის მიერ თეთრიწყაროსთან გათხრილ ყორღანში აღმოჩენილ ამგვარსავე იარაღებთან. მარტყოფის № 3 ყორღანი, ალბათ, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებს მიეკუთვნება. იგი მარტყოფის №№ 1,2 ყორღანებზე რამდენადმე უფრო ახალგაზრდა უნდა იყოს

და შესაძლოა ბედენური კულტურის ხანისაა.

1981 წელს კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაიწყო მარტყოფიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე „გრაკლიანთგორის" შესწავლა.

„გრაკლიანთგორა" (ყორღანი №4) მდებარეობს მარტყოფიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5 კილომეტრის დაშორებით, ხოლო აპარანის საყდრიდან ჩრდილოეთით, 1 კილომეტრის დაშორებით. „გრაკლიანთგორა" წარმოადგენს სამგორის ყორღანების ტიპის გორას, რომლის სიმაღლე 12 მეტრს, ხოლო დიამეტრი აღმოსავლეთიდან დასავლეთით 100 მეტრს უდრის. ყორღანის შემორჩენილი მოცულობა 11700 მ უნდა იყოს. როგორც ჩანს, გორა ბევრად მაღალი უნდა ყოფილიყო. მისი თხემი ძლიერ დაზიანებულია და, ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, აქედან გატანილი ქვა დიდი რაიდენობით გამოუყენებიათ სახლების მშენებლობის დროს. იმის გამო, რომ გორაზე გავლებულია სამხედრო სასწავლო თხრილები და ორმოები, მისი თხემის შესწავლას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ გადავწყვიტეთ ყორღანის თავი მოგვეხსნა ბულდოზერის საშუალებით. აღმოსავლეთიდან დასავლეთით ყორღანის მთელ სიგრძეზე თხრილი (აღმოსავლეთიდან 16 მ სიგანის, ცენტრში 15 მ სიგანის, ხოლო დასავლეთის მხარეს 20 მ სიგანისა). ზედა ფენებში არეული იყო ქვა და მიწა, შემდეგ 0,5 მეტრის სიღრმიდან დაიწყო მოწითალო, ძლიერ დატკეპნილი თიხის ფენა. თიხნარი ჯერჯერობით 3 მ სისქისაა და, როგორც ჩანს, კიდევ უნდა გრძელდებოდეს სიღრმეში. თიხნარი ფენა არსად დარღვეული და დაზიანებული არ ჩანს.

1982 წელს ექსპედიცია მუშაობას გააგრძელებს „გრაკლიანთგორაზე".

О. ДЖАПАРИДЗЕ, Г. АВАЛИШВИЛИ, А. ЦЕРЕТЕЛИ

ОТЧЕТ РАБОТЫ КАХЕТСКОЙ (МАРТКОПСКОЙ) АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ЗА 1980—1981 ГГ.

Резюме

(таб. *V*)

В 1980—1981 годах объединенная археологическая экспедиция Тбилисского госуниверситета и Гос. музея Грузии продолжала изучение курганных погребений в окрестностях с. Марткопи.

В полевом сезоне 1980 года экспедиция раскопала курган № 3 в местечке Шиндатхеви. В нём в яме был возведен деревянный сруб, над которым оказалось впускное погребение. Погребальный инвентарь: золотая подвеска, бронзовый наконечник стрелы, три глиняных сосуда и часть бронзового «штандарта». В основном погребении находились двое погребенных: костяк мужщины располагался в центре, у его ног была погребена женщина. Погребальный инвентарь состоял из глиняных сосудов, бронзового тесла, вислообушного топора, бус из сердолика, золотой и бронзовых подвесок, гагатового кольца и др. Между впускным и основным погребениями не должно быть большой разницы во времени. Как видно, они относятся к алазано-беденской культуре и предварительно датируются серединой второй половины *III* тысячелетия до н. э.

В 1981 году экспедиция начала раскопки большого кургана — «Гракли-антгора», расположенного к северо-востоку от Марткопи (высота кургана — 12 м, диаметр — 100 м). По центру кургана с востока на запад была проведена траншея 15—20 метров ширины до 5 метров глубины, частично с помощью «бульдозера», и курган был подготовлен для раскопок на 1982 год.

ლ. ღლონტი, ბ. ნემსაძე, ა. ჯავახიშვილი

ქარელის რაიონში, ბერიკლდეებზე, 1979—1981 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში (ტაბ. VI—IX)

როგორც ცნობილია, საქართველოს მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ი. გაგოშიძის ხელმძღვანელობით ჩაატარა აეროფოტოდაზვერვები ქარელის რ-ში, დედოფლის მინდორსა და მის მიდამოებში, რის შედეგადაც მიაკვლია აქამდე უცნობ არაერთ არქეოლოგიურ ობიექტს, მათ შორის — მცირე ნასოფლარსა და ყორღანულ სამაროვანს მდ. ფრონეს შესართავთან[1]. ექსპედიციამ 1979 წელს აქ გათხარა 3 ყორღანი, ხოლო ნასოფლარის შესასწავლად იმავე წელს შედგა პატარა საექსპედიციო ჯგუფი ლ. ღლონტის, მ. კეცხოველის, გ. ნემსაძის, მძღოლის ს. ილიჯევის შემადგენლობით და ა. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით[2]; მას აქეთ ჯგუფმა ნასოფლარზე იმუშავა სამი სეზონის განმავლობაში.

ნასოფლარი, რომელსაც მის მახლობლად მდებარე ერთი ადგილ△ს სახელის მიხედვით პირობით ვუწოდეთ ბერიკლდეები, მდებარეობს ქარელის რაიონში, ზუსტად იქ, სადაც მტკვარს ჩრდილოეთიდან ერთვის მდ. ფრონე (სურ. 1). მას უჭირავს მტკვრისა და ფრონეს მარცხენა ნაპირებს შორის მოქცეული, დასავლეთით კონცხივით წაწეული უსახელო პატარა ქედის თხემი, რომელიც მტკვრის მარცხენა მაღალი სანაპირო ველის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. კონცხის სიმაღლე მტკვრის დონიდან 30-ოდე მ იქნება, სიგრძე — 200-ოდე მ, ხოლო სიგანე — 30—35 მ; მისი სამხრეთი ნაპირი ფლატეა, ჩრდილოეთისა წარმოადგენს დაახლოებით 45° დახრილ ბალახიან ფერდობს, რომელიც გადადის ეროზიის შედეგად წარმოშობილ ფართო და ღრმა ხევში. დასავლეთისკენ კონცხი თანდათანობით ეშვება ფრონეს ნაპირებამდე, აღმოსავლეთით კი, როგორც ვთქვით, გადადის მტკვრის სანაპირო ველში, სადაც დღეს გაშენებულია ბებნისის საბჭოთა მეურნეობის ხეხილის ბაღები და სანერგეები; სწორედ ამ მხრიდან აკრავს ნასოფლარს ყორღანული სამაროვანი. კონცხის თხემზე ნასოფლარს ამჟამად უჭირავს 4 000-მდე კვ. მ ფართობი. მას აქვს 100—120 მ სიგრძის, 30-ოდე მ სიგანისა და 3—5 მ სიმაღლის თითქმის შეუმჩნეველი შემაღლების სახე. მისი ზედაპირი დაფარულია მკვრივი ბალახით. ძეგლი ძლიერაა დაზიანებული: სამხრეთის მხარე, საიდანაც მას მტკვარი უტევს, მორღვეულია; აღმოსავლეთისა, სადაც სანერგე და ქარსაფარი ზოლია გაშენებული, გადაბრუნებულია საპლანტაჟე გუთნით; დასავლეთისა კი გადარეცხილ-გადაქარულია; გარდა ამისა, კულტურული ფენები, განსაკუთრებით NO ნაწილში, დახრულია მელის სოროებით, რომლიდანაც ამოყრილია ნაცრიანი თიხნარი მიწა. ზედაპირულად მიმოფანტული მასალა არ

---

[1] Ю.М. Гагошидзе, К.В. Шишкин, Результаты аэрофоторазведки археологических памятников Дедоплис Миндори. საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VII, თბილისი, 1980, გვ.79—81.

[2] მადლობას მოვახსენებთ ი. გაგოშიძეს, რომელმაც შემოგვთავაზა მის მიერ მიკვლეული ამ ძეგლის შესწავლა. 1981 წელს ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის კათედრის თანამშრომელი გ. ჯავახიშვილი.

არის მრავალრიცხოვანი — აიკრიფა არქაული იერის მჭონე მუქი, მოშავო-მოყავისფრო კრიალაზედაპირიანი კერამიკის ორიოდე ფრაგმენტი და ობსიდიანის ანამტვრევი, დამსკდარ-გაწითლებული რიყის ქვები და კენჭი, თიხის ბათქაშის წიდადქცეული — გადამდნარი ნატეხები. ცხადი გახდა, რომ აქ შენობის ნაშთები იყო მოსალოდნელი.



სურ. 1. ბერიკლდეები, სიტუაციური რუკა.

ნასოფლარი და მისი მიდამო დაიყო 20 და 2 მეტრიან კვადრატებად. საძიებო თხრილისათვის შეირჩა მოგრძო — 4 X 20 მ — ფართობი დაახლოებით კონცხის შუა ადგილიდან მის ჩრდილოეთ ნაპირამდე, რომელიც მოექცა ჩვენი ბადის CE კვადრატში. 1979 წელს თხრილი დაყვანილ იქნა გრუნტამდე — საშუალოდ 2—2.5 მ სიღრმემდე მიწის ზედაპირიდან, რამაც მოგვცა ძეგლის სრული ჭრილი. თუმცა ფენები მრავალ ადგილას დარღვეული აღმოჩნდა სოროებითა და მოზრდილი ხაროებით, რომლებიც გრუნტამდეც კი ეშვებოდა, მაინც მოხერხდა ძეგლის სტრატიგრაფიაში გარკვევა: 50—20 სმ სისქის ჰუმუსის ფენის ქვეშ, რომელიც ნაპირისაკენ თანდათან თხელდება და ფერდობზე თითქმის სრულიად ქრება, დევს დაახლოებით 1 მეტრამდე სისქის ნაძრავი, ქვა-ღორღიანი და ნაცრიანი კულტურული ფენა. ფენა შეიცავს მოზრდილსა და საშუალო ზომის რიყის ქვას, თიხის ბათქაშის დამწვარ ფრაგმენტებს, მცირეოდენ კერამიკულ და ძვლოვან მასალას. მოზრდილი რიყის ქვები გავრცელებულია უმთავრესად ზემოხსენებული ფენის ქვედა ნაწილში და ძირზე, ე.ი. დაახლოებით, + 45 — ± 0 სმ დონეთა შორის. ზოგან, მაგალითად, თხრილის S ნაწილში, რიყის ქვები თითქოს წესიერ რიგად ეწყო, მაგრამ იმდენად ფხვიერ მიწაში, რომ კედლის ნაშთად მათი მიჩნევა საძნელოა. ამავე დონეზე ალაგ-ალაგ შეინიშნებოდა რიყის ქვებით მოკირწყლული პატარა ფართობები, ქვებით შემოფარგლული ერთი გაწითლებულ-გადამწვარი სწორკუთხა მოედანი — კი კერას ჰგავდა. ნასოფლარის ნაპირის გასწვრივ, + 37 — ± 0 სმ დონეთა შორის გაიწმინდა მოზრდილი რიყის ქვებისა და თირის კვადრებისაგან ტალახზე დაწყობილი კედლის დამწვარი ნაშთი (ტაბ. VI,); მისი სიგანე აქ 1 მ აღწევდა.

± 0 — 10 სმ დონიდან ზემოაღწერილი ფენის ქვეშ თხრილის მთელ ფართობზე გავრცელებულია მოთეთრო-მოყვითალო თიხის სქელი ფენა, როგორც ჩანს წარმო-

შობილი ალიზის ნაგებობათა ნგრევის შედეგად. ალიზის აგურების ნატეხებს შორის ალაგ-ალაგ დარჩენილი იყო ნაცრითა და დაფხვნილი ნახშირით ამოვსებული სიცარიელეები; მოხერხდა რამდენიმე მთლიანი ალიზის გაწმენდა. თხრილის ბოლოსთან, CE — 99,90,09,00 კვადრატებში, 70 სმ დონეზე გამოჩნდა ალიზის კედლის წყობის ნაშთი (ტაბ.VI$_2$), მიმართული OSO — WNW ხაზზე. გადარჩენილი იყო სიგრძივ დალაგებული მოზრდილი (48 X 23 X 10 სმ) ალიზების 3 რიგი, დაწყობილი მოყვითალო თიხის მკვრივ ხსნარზე. ალიზების 3 რიგიდან ერთი — ჩრდილოეთი ნაპირისა — ორ ფენად იდო, ორი — ერთ ფენად. კედლის სიგანე 75 სმ აღწევდა. სამწუხაროდ, კედელი ორივე მხრიდან გადაჭრილი აღმოჩნდა მოზრდილი ხაროებით, რომლებიც ჩაჭრილია ზედა ფენიდან; ხაროები ამოვსებული იყო ალიზის ნამტვრევებითა და კედლის მოზრდილი ბლოკებით. კედლის გადარჩენილი ნაწყვეტის სიგრძე 2 მ არ აღემატებოდა, ხოლო ძირი ჩადიოდა 80—90 სმ დონეზე და იდო 10-მდე სმ სიმძლავრის თიხატკეპნილ ფენაში; რამდენადაც ამის დადგენის საშუალებას იძლევა ხაროებისა და სოროებისაგან დაზიანებულ ადგილებზე დაკვირვება, ხსენებული ფენა თხრილის მთელ ფართობზე უნდა იყოს გავრცელებული. ზევიდან, ალიზის ნანგრევის ქვეშ, მას ადევს 20-ოდე სმ სისქის ნაცარნარევი, ხრეშისებური შრე. ქვემოდან კი — მოყვითალო თიხნარი, რომლის ქვეშ, — 125—150 სმ დონეზე, ჩნდება ამ ადგილებში მტკვრის მარცხენა ნაპირისათვის დამახასიათებელი კონგლომერატი.

თხრილის N ბოლოში, ე.ი. ნასოფლარის ნაპირთან, ქვის დამწვარი კედლის ქვეშ აღმოჩნდა ალიზის კედლის ნაშთი. გამოირკვა, რომ ქვის კედელი არამარტო დაშენებული იყო ალიზის კედელზე, არამედ ნაწილობრივ ჩაჭრილი იყო მასში. ალიზის კედელი საკმაოდ მძლავრი ყოფილა, მისი სიგანე აქ 3 მ აღწევს, ხოლო ძირი ჩადის დაახლოებით—100 სმ დონეზე. მაშასადამე უსწორდება თხრილის N ბოლოსთან გამოჩენილი ალიზის კედელს. უეჭველია, რომ ნასოფლარის N ნაპირთან გამოჩენილი ეს ფართო კედელი სოფლის გალავნის ნაშთია. მას აშკარად ეტყობა ხანძრის კვალი, მაგრამ ჯერჯერობით გაურკვეველია — ალიზის გალავანიც ხანძარში დაიღუპა, თუ ცეცხლის კვალი მასზე დაშენებული ქვის ზღუდის დაწვის შედეგია (ტაბ. VI$_3$).

ნასოფლარის ქვის და მის ქვეშ მდებარე ალიზის გალავანი განსაკუთრებით დაზიანებული იყო ორ ადგილას. CE — 18,19,28,29 კვადრატების შეხვედრის ადგილას ამოღებული აღმოჩნდა გაურკვეველი მოხაზულობის მოგრძო ორმო, რომელიც ჩაჭრილი იყო როგორც ქვის, ისე ალიზის წყობაში ± 0 სმ დონემდე. ორმოში მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით, მოკრუნჩხულ მდგომარეობაში ესვენა მოზრდილი ადამიანის ჩონჩხი (ტაბ. VII$_1$). ზურგს უკან, წელის არეში მას ედგა ერთი ცალყურა ნახევარსფერული და ძირბრტყელი, მუქ ყავისფრად, თითქმის შავად გამომწვარი თიხის ჯამი. ამ № 1 სამარხის აღმოსავლეთით, ოთხიოდე მეტრში ამოღებული იყო კიდევ ერთი, დაახლოებით სწორკუთხა ორმო, რომელიც ქვისა და ალიზის ზღუდეში № 1 სამარხთან შედარებით უფრო ღრმად — 40 სმ-ზე იჭრებოდა; მასში გვერდიგვერდ მჭიდროდ იყო ჩალაგებული თიხის 7 ჭურჭელი — 2 უყურო ქილა, კვერცხისებური ტანითა და ცილინდრული დაბალი ყელით, და 5 ნახევარსფერული ისეთივე ჯამი, როგორც № 1 სამარხისა, მხოლოდ 3 ყურიანი და 2 უყურო (ტაბ. VII$_2$). ორმო უშუალოდ ეჭცეოდა ჩვენი თხრილის აღმოსავლეთ კედელთან და შესაძლოა შედის კიდეც მასში; ის ან კენოტაფია, ან სამარხის ნაწილი, პირობით, № 2. CE — 88,89 კვადრატების საზღვარზე ალიზის ნანგრევებში ჩაშვებული აღმოჩნდა კიდევ ერთი № 3 სამარხი. ეს ადგილი ძლიერ იყო დათხრილი მელიის სოროებით, ამიტომ გაურკვეველი დარჩა, რა დონიდან იყო ჩაშვებული სამარხის ორმო; მისი ნიშანი გამოჩნდა—80 სმ-ზე. ძირი ჩავიდა — 125 სმ-ზე. ორმოს მოხაზულობა მკაფიოდ არ ჩანდა. მის ძირზე გვერდიგვერდ

იდგა 4 მოზრდილი ჭურჭელი — წითლად გამომწვარი 2 პირფართო ქილა, 1 შავად გამომწვარი კვერცხისებურტანიანი ქილა, მხარეზე თანაზომიერად განაწილებული რელიეფური სამი რგოლითა და სამი კოპით, და 1 შავად გამომწვარი ორყურა ქილა, შემკული გაკრიალებით შესრულებული ვერტიკალური თევზიფხური შევრონებით (ტაბ. VII_3). მათ მახლობლად, ჩრდილოეთით აღმოჩნდა ცხვრის თითქმის მთელი ჩონჩხი და მოზრდილი ადამიანის ხერხემლის 2 მალა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით უწესრიგოდ იყო შეჯგუფული ადამიანის ჩონჩხის სხვა ნაწილები — მენჯის ნახევარი, კუდუსუნის ძვალი, ბარძაყის ძვალი, წვივის ძვალი და გულისკოვზი; მეორე წვივის ძვალი აღმოჩნდა დაახლოებით 2 მ მანძილზე სამხრეთ-დასავლეთით — 25 სმ დონეზე, მელიის სოროში. სამარხი დააზიანა ან ამ სორომ, რომელსაც მრავალი განშტოება აქვს და თითქმის გრუნტამდე ჩადის, ან აქვე ჩაშვებულმა უსახურმა ორმომ, უფრო კი — ორივემ ერთად. მცირეწლოვანი ბავშვის თავის ქალის ნაშთები აღმოჩნდა CE — 56 კვადრატში, დარღვეულ ფენაში.

საძიებო თხრილის მონაცემების მიხედვით ბერიკლდეების ნასოფლარზე გამოიყოფა 3 ფენა: 1 ქვედა — ალაზის ზღუდისა და შენობის კედლის ნაშთებით; 2 ზედა — ქვის ზღუდისა და რიყის ქვის — ხისკარკასიანი თიხალესილი ნაგებობების ნაშთებით და 3. ამ ფენებში ჩაშვებული სამარხები. მასალის მიხედვით შენობების შემცველი ზედა და ქვედა ფენა ერთიმეორისაგან არ განსხვავდება; მის ძირითად ნაწილს შეადგენს კერამიკა. კერამიკული მასალაში შედარებით მცირე რაოდენობითაა, მაგრამ ერთბაშადვე იქცევს ყურადღებას „ბედენური" და „ხოვლური" ტიპის თხელკედლიანი, შავკრიალა ზედაპირიანი და ნაცრისფერსარჩულიანი მცირე ზომის ცალყურა ან ორყურა ჭოთნები, ტოლჩები და სასმისები. სადა ან შემკული რელიეფური, ჭდეული, ხან — კი ნაკაწრი შევრონებისა და სხვა სახეების სარტყლებით, მსხვილი კოპებით ან ფოსოებით; ამ ტიპის ჭურჭელს აქვს მხარსა და მუცელზე მიბმული ორგვარი ყურები — რკალისებური, მრგვალგანიკვეთიანი, და მეტად თავისებური, მომაღლო, კუთხოვანი ან წაწვეტებული მხრიანი. დიდი რაოდენობითაა შედარებით ტლანქი, სქელკედლიანი, უმთავრესად მსხვილი და საშუალო ზომის ჭურჭელი — უყურო, ცალყურა ან ორყურა — პირფართო, უყელო ან დაბალყელიანი დერგები, ქილები, ტოლჩები და კათხები; დამახასიათებელია პირსა და მხარზე ან გვერდზე მიბმული რკალისებური ყურები, ან მრგვალგანიკვეთიანი, ან ძალიან ფართო, ბრტყელი ლენტისებური, ზოგჯერ შემკული კონუსური კოპითა და რელიეფური ან ჩაღარული გრძივი ზოლით. ამ ჭურჭლის ნაწილი შემკულია კოპისებური ან ბრტყელი შვერილებით, რელიეფური ან ჩაღარული მარტივი გეომეტრიული სახეებით; ზოგიერთი ჭურჭლის კორპუსი დაფარულია სხვადასხვა მხარეს უსისტემოდ მიმართული სავარცხლისკვალისებური ზოლებით, რომლებიც მკვეთრ კონტრასტს ქმნიან ჭურჭლის ყელპირისა და მხრის მოგლუვებულ-კრიალა ზედაპირთან. ზემოხსენებული ჭურჭლის უდიდესი უმრავლესობა ბაცი ვარდისფერი, მოყვითალო — რუხი შეფერილობისაა; მაგრამ უეჭველია, რომ თავდაპირველად ისინიც შავად ან მოყავისფრო-რუხად იყო გამომწვარი და ეს შეფერილობა ძლიერ ხანძარში დაწვის შედეგია. ამას მოწმობს შავკრიალა სქელკედლიანი ჭურჭლების მხოლოდ ნაწილობრივ გავარდისფერებული ფრაგმენტები, შავი და ვარდისფერი ნატეხების ერთად აღმოჩენა, ხანძრისაგან გადადუღებული — წიდადქცეული ჭურჭელი და მრავალი სხვა; არის აგრეთვე „ბედენური" ჭურჭლის მთლიანად ან ნაწილობრივ გაწითლებული ნატეხებიც (სურ. 2).

უკვე ვთქვით, რომ შავკრიალა, ფაქიზი და შედარებით სქელკედლიანი, ტლანქი ჭურჭლის ფრაგმენტები ერთად ჩნდება ნასოფლარის ორივე ფენის ყველა დონეზე, ზედაპირიდან (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) გრუნტამდე; თუმცა ნასოფლარის ფენები ძალიანაა დაზიანებული, ამ ფაქტს უთუოდ აქვს გარკვეული მნიშვნელობა მათი თანადროულობის დასადგენად. ჭურჭლის ტექნოლოგიური და მორფოლოგიური



სურ. 2. ბერიკლდეები. გათხრილი ფართობის გეგმა და ჭრილები 1. ალიზის წყობა და ნანგრევი. 2. დამწვარი ბათქაში. 3. ნაცრიანი ფენა. 4. ნახშირიანი ფენა.5. ქვაღორღი.

განსხვავებების მიუხედავად, მათი თანადროულობა მტკიცდება არამარტო სტრატიგრაფიული მონაცემებით, არამედ შესადარებელი მასალებითაც. შავკრიალა კერამიკის აქაური სახეობის კუთვნილება ადრეული ბრინჯაოს ხანის „ბედენური" და „ხოვლური" ეტაპისადმი, ე.ი. ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრისადმი, უეჭველია; ამავე დროს მორფოლოგიურად ის თითქოს უფრო იწევს ხოვლის, ქვემო შულავერისა და მარტყოფის ყორღნების მასალებისაკენ, ვიდრე საკუთრივ ბედენისაკენ. სხვა თუ არაფერი, სწორედ ხოვლისა და ქვემო შულავერის მე-4 და მე-5 ყორღანებშია აღმოჩენილი შვერილმხრიანი ყურის მქონე ჭურჭელი.

ბერიკლდეების კერამიკული მასალის შინაგანი სინქრონიზაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მარტყოფის მე-3 ყორღნის ძირითად სამარხში ტიპიურ ბედენურ ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა ორი ორყურა ქოთანი, რომელთა კორპუსი შემკულია სავარცხლის ნაკვალევისებური ზოლებით, მსგავსად ბერიკლდეების ასეთივე ჭურჭლებისა[3].

ბერიკლდეების მეორე სახის „ტლანქი" კერამიკა რამდენადმე უცხოდ გამოიყურება: მისი დამზადების ტექნოლოგია, ფორმები, შემკულობა დღემდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი არაერთი თავისებურებით გამოირჩევა — ვფიქრობთ, რომ ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ბედენისა და ხოვლის ეტაპი ცნობილი იყო მხოლოდ სამარხეული ძეგლებით, რომლებიც არ შეიცავენ მასობრივ საყოფაცხოვრებო კერამიკას. ეს გარემოება აძლიერებს ინტერესს ნასოფლარის, კერძოდ მისი კერამიკული მასალის მიმართ.

ნასოფლარის ორივე ფენის თანადროულობასა და ადრეულობაზე მეტყველებს მცირერიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი არაკერამიკული მასალა, აგრეთვე აღმოჩენილი სულ სხვადასხვა დონეზე: ობსიდიანის სწორქუსლიანი, ფოთლისებური ისრისპირი; კაჟის მოგრძო, დაკბილული ნამგლის ჩასართები; წვრილფეხა საქონლის ეპიფიზზე დამზადებული არქაული იერის სახვრეტები და მახათი (ტაბ. IX_1); სადაფის მრგვალბრტყელი, შუაში გახვრეტილი მძივი; ხელსაფქვავის „ნავისებური" კურანტები, რიყის ქვის ხელჩაქუჩები და სახვრეტები. მათი უახლოესი პარალელები მრავლად მოიპოვება სამხრეთ კავკასიის ადრეული ბრინჯაოს ხანის ნებისმიერ ძეგლზე.

ამრიგად, შეიძლება თითქმის საბოლოოდ დადგენილად ჩაითვალოს, რომ ბერიკლდეების ნასოფლარის ორივე ფენა ერთი ხანისაა, განეკუთვნება ადრეული ბრინჯაოს მიწურულ, ე.წ. ბედენურ ეტაპს და უნდა შეესატყვისებოდეს სოფლის არსებობის ორ საამშენებლო პერიოდს. რამდენი ხანი იარსება სოფელმა, რამდენი ხნით არის დაცილებული საამშენებლო ფენები და არის თუ არა მათ მასალაში რაიმე შესამჩნევი სხვაობა, ამის თქმა მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა გაითხრება მეტნაკლებად სრულად დაცული საცხოვრებელი შენობები. ერთი რამ კი დღესვეა ცნობილი — სოფელმა შეწყვიტა არსებობა ადრეული ბრინჯაოს ხანის მიწურულ ან ადრედან შუა ბრინჯაოზე გარდამავალ ხანაშივე; ამას მოწმობს საამშენებლო ფენებში ჩაჭრილი ორი სამარხი და ერთი სამარხის ნაშთი, თუ კენოტაფი, რომლებიც შეიცავდნენ შუა ბრინჯაოს ხანის ტიპიურ კერამიკას — წაბლისფრად გამომწვარ ცალყურა და უყურო ნახევარსფერულ, ძირბრტყელ ჯამებსა და კვერცხისებურტანიან, ყელიან ქილებს. სამარხების კერამიკაში შედარებით მოგვიანო იერით გამოირჩევა მესამე სამარხის ჭურჭელი — რელიეფური რგოლებითა და კოპებით შემკული შავკრიალა ქილა, შავადვე გამომწვარი ორყურა ქილა, ნაპრიალები გეომეტრიული სახეებით, და ვარდისფრად გამომწვარი პირფართო, უყურო ორი ქილა (ტაბ. $IX_{2\ 4}$), რომელსაც

[3] იხილე აქვე, გვ. 40, 41 ტაბ. V_2, სურ. 4, 5.

უახლოესი პარალელი ბ. კუფტინის მიერ ცხინვალის სატყეო კომბინატის ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალებში და უზერლიკ-თეფეს ნამოსახლარზე მოეძებნება.[1]

1980 და 1981 წლებში გრძელდებოდა CE კვადრატის შესწავლა. მის NW ნაწილში, ნასოფლარის ნაპირის გასწვრივ 14 მ მანძილზე გაშიშვლდა ქვის გალავნის გაგრძელება — დანგრეული, დამწვარი, ნაწილობრივ დაცურებული მის ქვეშ მდებარე ალიზის ზღუდისა და ხევის ფერდობზე. სამხრეთით, ძირითადად ± 0 დონემდე, გავრცელებული ნახანძრალი ფენა აქაც ძლიერ იყო დაზიანებული. მკრთალი და ფრაგმენტული ნაშთების გარდა შენობათაგან აღარაფერი იყო გადარჩენილი.

შენობის ნარჩენები უნდა იყოს CE — 07, 18 და 87 კვადრატში + 40 — ± 0 დონეებს შორის, ნაცარ-ნახშირიან, ბათქაშიან ფხვიერ მიწაში უსისტემოდ დაგროვილი რიყის ქვები, მათში ჩაჭედილი თიხის ჭურჭლით. CE-87 კვადრატში გამოვლენილი სარის რადენიმე ნაალაგევი, საფიქრებელია, ხის კარკასიანი თიხალესილი შენობის კუთხის ნაწყვეტი (ტაბ. VIII$_1$). აგრეთვე — ნაცრის სქელი ფენით დაფარული დაახლოებით სწორკუთხა ფართობი CE — 36,37,46,47,56,57 კვადრატების ფარგლებში. ნაცრის ქვეშ, რომელშიც ბლომად იყო სიმხურვალისაგან დამსკდარი რიყის ქვები და გადამწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ალაგ-ალაგ გადარჩენილი იყო იატაკის ნაწყვეტები — ცეცხლისაგან გათეთრებულ-გამურული თიხის თხელი ნალესობა. კედლის რაიმე კვალის დაჭერა აქ, სამწუხაროდ, არ მოხერხდა. სწორკუთხა შენობის ნაშთების მიგნების იმედს თითქოს იძლევა CE-73—75, 83—85, 93—95 კვადრატების ფარგლებში მოქცეული ფართობი. მას N და W მხრიდან მკაფიოდ, ხოლო S-დან მკრთალად ფარგლავს დანახშირებული წვრილი ძელებისა და გამურული მიწის, სხვადასხვა ფერად დამწვარი თიხის ნალესობის თხელი ფენებისა და ორიოდე რიყის ქვის შემცველი სწორხაზოვანი ფართო ზოლები, რაც ხის კარკასიანი თიხალესილი კედლის კვალს მოგვაგონებს; ეს ფართობი ჯერჯერობით მხოლოდ + 15 სმ დონეზეა დაყვანილი.

ნაგებობათა ყველაზე უტყუარი კვალი გამოჩნდა ორ ადგილას — CE-77 კვადრატში და CE-42—44, 51—54 კვადრატებში. CE-77 კვადრატში, უკვე + 50 სმ დონეზე გამოჩენილი ნახანძრალი ნანგრევების — ძელისა და წნელის ანაბეჭდიანი თიხის ნალესობის დამწვარ-გადადუღებული მოზრდილი ნატეხებისა და დახეთქილი რიყის ქვების მოზრდილი გროვის ქვეშ, + 25 — ± 0 სმ დონეებს შორის გაიწმინდა თიხალესილი სწორკუთხა ბაქნის ნაშთი — SO კუთხე (ტაბ. VIII$_2$). ბაქანი, ზომით დაახლოებით 1 x 1 მ, სიმაღლით 30 სმ, მოლესილი ყოფილა 5-მდე სმ სისქის მკვრივი ხსნარით, თიხის ხსნარზევე დაწყობილ რიყის ქვებსა და ქვიშაქვის მოზრდილ ნატეხებზე. კედლების ნალესობა რბილად, მომრგვალებით გადადიოდა ბაქნის ზედაპირზე, რომელიც ან მრავალფენიანი იყო, ან რამდენიმეჯერ ყოფილა განახლებული; ყოველ შემთხვევაში, ნანგრევების ქვეშ გადარჩენილი იყო ნალესობის 3 ფენის ნაშთები, თითოეული სისქით, საშუალოდ, 3—4 სმ. ჩანს, რომ თავის დროზე ნალესობა მოგლუვებულ-მოპრიალებული ყოფილა და მხოლოდ შემდეგ, ხანძარში მიუღია მოწითალო — მუქი ყავისფერი და დაფარულა ბზარების წმინდა და ხშირი ქსელით. უეჭველია, რომ ბაქანი საკულტო დანიშნულებისა იქნებოდა და სამსხვერპლოს ნაწილს წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ის ძლიერ იყო დაზიანებული — ოთხივე მხრიდან მოქცეული იყო მელის სოროებს შორის და ამიტომ მისი შესატყვისი იატაკი, ან თუნდაც დონე არ ჩანდა; უკვალოდ გამქრალია კედლებიც, თუმცა ძელისა და წნელის ანაბეჭდიანი თიხის გადამდნარი ბათქაშის ნატეხების არსებობა მოწმობს, რომ ბაქანი გადახურული იყო, ე.ი. იდგა რაღაცნაირ ნაგებობაში.

---

[1]. იხ. საქართველოს მუზეუმის კოლექცია № 28—61; К.Х. Кушнарева, Поселение эпохи бронзы на холме Узерлик-тепе около Агдама, Материалы исследования по археологии СССР. №67, ს.397, რის. 10.

ამასვე მოწმობს ქვისა და ალიზის ზღუდის მახლობლად. CE-42—44, 52—54 კვადრატებში გამოვლენილი ნაგებობის ნაშთები. ეს ფართობიც ზემოაღწერილის მსგავსად დაფარული იყო ძელებისა და წნელების ანაბეჭდიანი თიხის ნალესობის გადამწვარ-გადადუღებული ნატეხებით, რომლებიც მიწის ზედაპირზეც კი ჩანდა. დამსხვრეულ-დაფხვნილი გროვის ქვეშ, CE-44,54 კვადრატების საზღვარზე შემოიხაზა 25—30-ოდე სმ სიმაღლის ბაქნის ნაშთი, რომლის გარშემო, უმთავრესად NW მხრიდან, მიმოფანტული იყო მკვრივი თიხისაგან მოლესილი, ხანძარში გამომწვარი მოგრძო, ოდნავ მორკალული ლილვების ნატეხები; მათი უმრავლესობა სხვადასხვა მიმართულებითა და სხვადასხვა დონეზე უწესრიგოდ ეყარა, ზოგი კი სხვადასხვა მხარეს მიმართულ რკალებს ქმნიდა (ტაბ. VIII_3).

ბაქნის ნაშთი წარმოადგენს თიხის ხსნარზე დაწყობილი რიყის ქვისა და საგანგებოდ შერჩეული მრგვალბრტყელი კენჭისაგან შექმნილ მომაღლო მოედანს, დაახლოებით 100 x 130 სმ, რომელიც თიხისავე ხსნარით უნდა ყოფილიყო შელესილი. დასავლეთის მხრიდან შერჩენილი იყო გვერდის, ნაპირისა და ზედაპირის ნალესობის მცირე ნაწილი. ამავე მხრიდან მის წინ ეყარა დასავლეთით მიმართული თიხის ლილვების ფრაგმენტები, რომლებიც რაღაცის ნაპირის — გადამრგვალებული ბორტის ფრაგმენტებია. მათი უმრავლესობა ადგილზე არ იდო და ამიტომაც ალაგდა; in situ დარჩა ასეთი ბორტის რამდენიმე მორკალული ნაწყვეტი. საფიქრებელია, რომ ბორტით შემოფარგლული იქნებოდა საკულტო მოედნები ან ბაქნები; მათ უმეტესობას უკანა მხრიდან რიყის ქვების ანაბეჭდი ეტყობა, მხოლოდ ორიოდეს გააჩნია დაწახნაგებული ძელის ნაკვალევი. ბაქნის NW კუთხესთან ნანგრევების ქვეშ მოხერხდა თიხალესილი იატაკის პატარა დამწვარი ნაწყვეტის გაწმენდა; სამხრეთ-დასავლეთიდან ის დაბალი ბორტით ყოფილა შემოფარგლული, ხოლო უშუალოდ ბაქნის კუთხესთან მასში ამოღებული იყო 30-ოდე სმ დიამეტრისა და ასეთივე სიღრმის მრგვალი ორმო, რიყის ქვებით გარშემოვლებული კედლებით, — მსხვილი ხის ბოძის ნაალაგევი. თიხის მორკალული ბორტების ნატეხებს შორის, CE-43 კვადრატში იატაკზე in situ აღმოჩნდა პატარა სადა ორყურა ქილა, შეწყვილებული ორი კოპით გვერდებზე. ჩანს, ქილა თავდაპირველად შავად იყო გამომწვარი და ხანძარში მიიღო ბაცი ვარდისფერი — მოყვითალო შეფერილობა; ის სანახევროდ იყო გავსილი კარბონიზებული მარცვლეულით.

ზემოაღწერილი ნანგრევების გარდა ბაქნისა და ნაბოძარის ირგვლივ ნაგებობის, კერძოდ კედლების კვალი არ აღმოჩნდა და კვლავ გაურკვეველი დარჩა — რა მასალისა და კონსტრუქციის შენობები იყო ბერიკლდეების ზედა საამშენებლო ფენაში. როგორც ვიცით, ზედა საამშენებლო ფენაში ალიზის ხმარების ნიშნები ჯერჯერობით არ არის; რიყის ქვის შედარებით სიმცირე საეჭვოდ ხდის მის გამოყენებასაც კედლებისათვის და, რადგან ძელებისა და წნელის ანაბეჭდიანი თიხის ნატეხებიც უფრო გადახურვის — ბანის ნაშთებსა ჰგავს, ისღა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კედლები ხის, ან ხით მსუბუქად არმირებული თიხისა იყო. ამ ვარაუდის სისწორის საბუთად შეიძლებოდა მიგვეჩნია სარ-ლასტით არმირებული კედლის — კუთხის — კვალის გამოჩენა CE — 97 კვადრატში, მაგრამ ეს კვალი იმდენად მკრთალი და სუსტია, რომ მასზე დაყრდნობა, ჯერჯერობით, არ იქნებოდა მართებული. მეორე მხრივ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადრებრინჯაოს ხანის წინა საფეხურზე შიდა ქართლში, მტკვარ-არაქსის კულტურის ნასოფლარებზე ძირითადად ასეთი კონსტრუქციის საცხოვრებელი შენობებია დადასტურებული.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდგომი მუშაობა ნათელს მოფენს როგორც ამ საკითხს, ისე „ბედენური" კულტურის დასახლების ჯერ კიდევ უცნობ სხვა მრავალ თავისებურებას.

Л. И. ГЛОНТИ, Г. М. НЕМСАДЗЕ, А. И. ДЖАВАХИШВИЛИ

ОТЧЕТ РАБОТ, ПРОВЕДЕННЫХ В МЕСТ. БЕРИКЛДЕЕБИ Р-НА КАРЕЛИ В 1979—1981 ГГ.

Резюме

(Табл. *VI—IX*)

В 1979 г Шидакартлийская археологическая экспедиция (Ю. М. Гагошидзе) в процессе аэрофоторазведки открыла у впадения р. Проне в Куру, на ее левом берегу, курганное поле и следы небольшого селища (рис.I). В результате работ, проведенных небольшой группой сотрудников Музея, удалось установить, что здесь сохранились остатки укрепленного оградой поселения, переходного от ранней к средней бронзе периода (рис. 2, табл. VI), в которое впущены грунтовые захоронения среднебронзовой эпохи (табл. IX 2—6). Пока что выявлены сильно разрушенные, погибшие при пожаре остатки двух строительных горизонтов — нижнего, с сырцовыми оградой и другими строениями, и верхного с каменной оградой и строениями (табл. VIII), характеризующихся, однако, одинаковым вещественным материалом (рис. 3, табл. IX_1). В нем выделяется тонкостенная, чернолощенная керамика т.н. беденского типа, которая доселе была известна лишь погребальными памятниками. Таким образом, в настоящее время Бериклдееби — первое селище «беденского» времени в Грузии.

ე. გოგაძე, ც. დავლიანიძე, ლ. ფანცხავა, რ. რამიშვილი

ნოსირი-მუხურჩის ექსპედიციის 1980—1981 წწ. მუშაობის შედეგები

(ტაბ. X—XIII)

საანგარიშო წლებში ნოსირი-მუხურჩის ექსპედიცია ძირითად საველე სამუშაოებს აწარმოებდა გეგეჭკორის რ-ნის სოფ. მუხურჩის მიდამოებში[1].

1980 წელს მუშაობა გაგრძელდა ნამოსახლარ ბორცვ „კეკელურ ზუგაზე" (ტაბ. X_1), ხოლო დიდი ხნის ინტერვალის (1975 წ.) შემდეგ განახლდა გათხრები ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარზე „კეკელური ზუგას" მახლობლად.

წინა წელს „კეკელურ ზუგაზე" ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ სექტორში, შემაღლებულ ნაწილზე ძირითადად მოხსნილ იქნა ზედა კულტურული ფენა, რომელიც ყვითელ თიხაზვინულზე იდო. ნოსირის ბორცვის მაგალითზე სავარაუდოდ მივიჩნიეთ, რომ ეს თიხნარი შეიძლებოდა ყოფილიყო სქელი თიხაზვინული, რომელიც უშუალოდ დევს გრუნტზე ან მასზე მოწყობილ ხის საყრდენ კონსტრუქციაზე. მაგრამ, როგორც საანგარიშო წლის გათხრებმა გვიჩვენა, ეს ვარაუდი არ გამართლდა. ამ წელს გადაწყდა ბორცვის აღნიშნული (NW) სექტორის შემაღლებულ ნაწილში ქვედა დონეების სტრატიგრაფიული გამოკვლევა მთლიანი ვერტიკალური ჭრილით. ამიტომ პირველ რიგში საჭიროდ მივიჩნიეთ O—W ტრანშეის გაგრძელება აღმოსავლეთ მხარეს, ბორცვის ცენტრამდე (O—W) ჭრილის გაყოლებით და ამ ნაწილში მისი დაღრმავება გრუნტამდე (სურ. 1, 1, ტაბ. XI_1). გასულ წელს NW სექტორის აღნიშნულ ნაწილში ეს ზოლი მცირედ იყო ჩაღრმავებული. გადაწყდა აგრეთვე ანალოგიური წესით N—S ტრანშეის გავლება ნაწილობრივ უკვე არსებული N—S ძირითადი ჭრილის გაყოლებით (სურ. 1, 2), რაც მიზნად ისახავდა კულტურულ დაფენებათა სტრატიგრაფიის გარკვევას ბორცვის ჩრდილოეთ ნაწილში N—S ღერძის ხაზის მიხედვით; O—W და N—S ტრანშეები ბოლოებით ერთმანეთს არ უერთდებოდნენ. თუმცა O—W ტრანშეის აღმოსავლეთ ბოლო ბორცვის ცენტრამდე მიდიოდა (მისი SO კუთხე უახლოვდებოდა ცენტრის წერტილს), მაგრამ N—S ტრანშეის სამხრეთი ბოლო ცენტრს არ აღწევდა, იგი დაახლოებით HH 70 კვ-მდე მიდიოდა. ასე რომ ბორცვის ცენტრალურ ნაწილში ამ ტრანშეებს შორის დატოვებული იყო გაუთხრელი ადგილი (ზედაპირული ფენის მოხსნის შემდეგ), — კვადრატები HH 70, 80 — რომე-

[1] 1980 წელს ექსპედიციამ ველზე იმუშავა 7 აგვისტოდან 3 ნოემბრამდე, ხოლო 1981 წელს 28 აგვისტოდან 31 ოქტომბრამდე. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ სსმ მეცნიერ-თანამშრომლები: ე. გოგაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ც. დავლიანიძე (უმცრ. მეცნ. თანამშრომელი), ლ. ფანცხავა (ხელმძღვანელის მოადგილე 1981 წელს), რ. რამიშვილი (უმცრ. მეცნ. თანამშრომელი).მოწვეულ პირთაგან მონაწილეობდნენ: მ. ზასეკაია (სამუშაოთა მწარმოებლისა და პრეპარატორის მ/ა, 1980 წ.), ს. რუნიხინი (ფოტოგრაფი მოწვევით, 1980), ნ. ფოჩხუა (მხატვარ-არქიტექტორის მ/ა/), ნ. ვარაზაშვილი (ტოპოგრაფის მ/ა, 1981 წ.). ქ. ცხაკაიას ასმ-დან დაქირავებული ავტომანქანის მძღოლებად მუშაობდნენ მ. დუდუჩავა (1980 წ.) და ვ. გუგუნავა (1981 წ.).

ლიც ბორცვის მხრიდან ერთადერთ ჩასასვლელს წარმოადგენდა განათხარ (NW სექ-ტორის) ფართობში (ტაბ. X.$_2$).

ბორცვის სულ ქვედა დონეებზე კულტურული ფენის არსებობის პირველი ნიშ-ნები ჩვენ N—S თხრილში შევამჩნიეთ. აქ, ტრანშეის სამხრეთი კედლის ახლოს (კვ. HH $_{00}$) სქელი თიხნარის ფენაში, საკმაოდ ღრმად, ზედაპირიდან 3 მ-ზე იზოლირე-ბულად აღმოჩნდა მცირე რაოდენობის კერამიკის ფრაგმენტები: ეს ფრაგმენტები საკმაოდ სახოვანი და მეტყველი არაა, მაგრამ რამდენადმე დამახასიათებელი ჩანს აგრეთვე ამავე ბორცვის ზედა კულტურული ფენისათვის (დაახლოებით ნოსირის ბორცვის II და ნაწილობრივ III კულტურული ფენის სინქრონული ფენა), რომელიც აღნიშნულ სექტორში ძირითადად ჩვენ უკვე მოვხსენით. O—W ტრანშეის აღმოსავ-ლეთ ნაწილში კი მკაფიოდ გამოვლინდა ზემოდან II კულტურული ფენის შრეები[2], რომლებიც ტრანშეის აღნიშნულ ნაწილში სიმძლავრით არ გამოირჩეოდა (საშუალოდ 0.2—0.3მ სიმძლავრის თიხანარევ მოშავო მიწის ფენებად) და გამოყოფილი იყო საკ-მაოდ სქელი სტერილური თიხნარით. ეს შრეები ბორცვის ცენტრის მახლობლად მდებარე გარკვეული მონაკვეთის შემდეგ მკვეთრად ეშვებოდა (დახრილი იყო) სიღრ-მისკენ და ზოგან ძალზე თხელდებოდა დასავლეთის მიმართულებით, სადაც სხვადას-ხვაგვარად უერთებოდა ერთმანეთს (სურ. 1, 2). აღნიშნული ფენიდან (უმთავრესად ზედა შრეებიდან) ამოვიდა გარკვეული რაოდენობის კერამიკა (ტაბ. XII, 18—24), რომელიც უფრო არქაული ჩანს, ვიდრე ზედა ფენისა. მაგ., ასეთია ნახევარსფერული მომცრო ყურები და პირმოყრილი პირდაჩვრეტილი ჭურჭლის ფრაგმენტები. აღმოჩნ-და აგრეთვე ხელსაფქვავის ქვის ნატეხი, მრგვალი ბრტყელი ქვები, მცირე ზომის სანა-ყი ქვები, ცხოველის ძვლები და სხვ.

O—W ტრანშეის აღმოსავლეთი თავი, რომელიც ბორცვის ცენტრალურ ნაწილ-ში, მისი უდიდესი შემაღლების ადგილას ხვდება, დავაღრმავეთ დაახლოებით 3 მ-მდე ბორცვის თავიდან, ანუ თითქმის ნულის დონიდან, მაგრამ ტრანშეის ძირი დასავლე-თისაკენ დახრილი იყო და მის შუა ნაწილში სიღრმე (ნულიდან) 4მ აღწევდა. ამ სიღრ-მეზე ისევ ჩნდებოდა კულტურული ნაშთები. HH 06, 07 და 08 კვადრატებში ჭრილებ-ზე კარგად გამოიყო მოშავო-მოყავისფრო თიხის ფენა მოცისფრო თიხის ჩანართე-ბით, რომელიც კულტურული ნაშთების შემცველი აღმოჩნდა. ამგვარი თიხნარი N—S ტრანშეაშიც გარკვეულ დონეზე კულტურული ნაშთების შემცველი იყო, უფ-რო ქვევით კი იგი გრუნტისეულ თიხად მივიჩნიეთ, ისე როგორც წინა წლის გათხრე-ბისას O—W თხრილის W ნაწილში (GH 00—09 კვადრატებში). HH 07 კვადრატში ეს ფენა ამკარად შეიცავდა ბათქაშისა და ნახშირის ნაშთებს, რაც ადასტურებდა მის ნახანძრალობას. აღმოსავლეთ მხარეს ეს ფენა თითქოს ტოტდებოდა, თუმცა მცირე წყვეტილის შემდეგ უფრო ლოგიკური ჩანდა, რომ HH 07 კვ-ში გამოვლენილი ძი-რა — ზემოდან III ფენის გაგრძელებას წარმოადგენს HH 09, 00 კვ-ში ჰორიზონტა-ლურად გამოვლენილი (ასევე მოშავო თიხიანი ფენა), რომლიდანაც კერამიკა ამოვიდა. :საერთოდ კი ჭრილებზე მიღებული სტრატიგრაფიული გამოსახულების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე ეს ფენა (და აღნიშნული ზედა შრეები) HH 07 კვ-ში ერთდებოდა ან უახლოვდებოდა ერთმანეთს. ძირა ფენა HH 06, 07, 08 კვ-ში, ეტიკეტების მიხედვით, ჩვენ პირობითად აღნიშნული გვაქვს როგორც III და აგრეთვე როგორც III—IV კულტურული ფენა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გარკვეული დასკვნა მაინც არ ვამოდის. საბოლოო

---

[2] „კეკელური ზუგას". ფენათა ნუმერაციას ჩვენ ჯერჯერობით ზემოდან დაწყებული თანმიმდევრობით აღვნიშნავთ, რადგან ბორცვის ზედა დონეებზე უფრო მკაფიო სტრატიგრაფიული სურათი გვაქვს, ვიდრე ძირზე, სადაც ზოგან თითქოს ცალ-ცალკე დაფენებათა ნიშნები გვაქვს, ზოგან კი ერთიანი კულტურული ჰორიზონტი სტრუქტურულად ან სხვა რაიმე გარეგნული ნიშნით დანაწევრებული არ არის.

სურათი ჩვენ ძალზე რთული გვეჩვენება და მიგვაჩნია, რომ მომავალი დაზუსტებები აუცილებელია. ტრანშეების ცენტრისკენ მდებარე ნაწილის ძირი გრუნტამდე სრულად დაყვანილი არ ჩანს.





სურ. 1. „კაკალური ხუგა". I—IV კულტურული ფენების სტრუქტურული შედგენილობა ვერტიკალურ ჭრილებზე. I. O—W ტრანშეის სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილის მიხედვით: 1 — ბათქაშნარევი და ნახშირნარევი მიწა; 2 — მოყავისფრო ბათქაშნარევი მიწა; 3 — მოშავო, თიხანარევი მიწა; 4 — მოყავისფრო მოყვითალო მიწა; 5 — ყვითელი თიხა. 2. N—S ტრანშეის აღმოსავლეთი კედლის მიხედვით: 1 — მოყავისფრო კორდოვანი მიწა; 2 — ბათქაშნარევი და ნახშირნარევი ნახანძრალი ფენა; 3 — მოშავო-მოყავისფრო თიხა; 4 — ნახშირნარევი შავი შრეები; 5 — მოყავისფრო თიხა; 6 — მოშავო-მოყავისფრო თიხა; 7 — მონაცრისფრო თიხა.

მეორე მხრივ, ამავე მიზნით ჩვენ დავიწყეთ O—W ტრანშეის ჩრდილოეთი მხარეს მდებარე ზოლის დაღრმავება. თუმცა ტრანშეის ჩრდილო-ვერტიკალური ჭრილი სრული სახით აღარ იყო შემორჩენილი (წინა წელს მთელ სექტორზე ფართობის დადაბლების შედეგად), მაგრამ აღნიშნულ ზოლში გათხრების საწარმოებლად შეიძლებოდა ორიენტირება ამ ჭრილის მიხედვით. ზოლის დადაბლების აუცილებლობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ამის შედეგად იქმნებოდა O—W ტრანშეის დაღრმავებული აღმოსავლეთი ნაწილიდან მიწის ამოსაყრელი და აქედან მის გასაზიდად ურიკების მისადგომი ფართობი.

O—W ტრანშეის გასწვრივ (მიმდებარე) ზოლზე გაითხარა თითქმის მთელი შემაღლებული ფართობი HH 93—94 კვადრატებიდან დაწყებული HH 90-მდე ჩათვლით. მაგრამ უფრო ინტენსიურად გათხრები ჩატარდა ამ ზოლის უფრო შემაღლებულ აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც პირველ რიგში მოითხოვდა დადაბლებას O—W

ტრანშეის დაღრმავებასთან დაკავშირებით. გათხრის ფართობი მაღლე გავაფართოვეთ უფრო ჩრდილოეთითაც (კვ.HH 86, 87, 88, 77, 78 და სხვ.). აქ შესწავლილ იქნა II კულტურული ფენა. ამ ზოლის აღმოსავლეთ ბოლოზე (HH 89—80, 99—90 კვ-ბი) გაიწმინდა ნახშირიანი შრის ზედაპირი (ტაბ. X,₂), რომელიც II კულტურულ ფენას ეკუთვნის და ამ ფენის ყველაზე მაღალ დონეზე (ცენტრთან ახლოს) მდებარე ნაწილს წარმოადგენს. საშუალოდ 2—4 სმ სისქის ეს შრე ჭრილში წარმოადგენდა ერთგვაროვან კომპაქტურ მასას. ზედაპირი კი ერთგვარად უსწორმასწორო იყო, შეიცავდა დანახშირებული ხის მცირე ნაწილაკებს. ყოველივე ამის გამო ჩვენ ეს შრე მივიჩნიეთ მცენარეული საფენის ნაშთად, ე.ი. იატაკის ზედაპირად. და, რამდენადაც მასზე უმეტესად გადამწვარი კერამიკა აღმოჩნდა, შეიძლება ხანძრის შედეგად იყოს დანახშირებული.

რაც შეეხება O—W ტრანშეის შუა და დასავლეთ ნაწილს, აქ გათხრები ვაწარმოეთ მონაკვეთზე, რომელიც მოდის კვადრატებზე HH 03-დან 07-მდე. აქ მასალა (კერამიკა და ძვალი) ძირითადად ამოვიდა 2,7—2,9მ სიღრმეზე ზედაპირიდან, საკმაოდ სქელი (0,5 და მეტი სისქის) მოყავისფრო (აქა-იქ სხვადასხვა შეფერილობის) თიხნარიანი ფენიდან, რომელიც დევს II კულტურული ფენის ქვეშ (მოშავო ფენა). თუ რამდენად დამოუკიდებელი სტრატიგრაფიული ხასიათი აქვს ამ თიხნარიან ფენას, ჩვენ ჯერ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით. მაგრამ შეიძლება, რომ კულტურული ნაშთები აქ ზედა (II) ფენიდან იყოს მოხვედრილი, თუმცა ეს უკანასკნელი ჭრილებზე (განსაკუთრებით ფენის ძირი) მკაფიო გამოკვეთილობისა იყო. აღნიშნული თიხის ფენა მნიშვნელოვანი რაოდენობის მასალას შეიცავდა (გადამწვარი კერამიკა, სქელი ბათქაში, ცხოველის ძვლები, ხელსაფქვავის ქვა და სხვა სახის ქვის ნივთები).

N—S ტრანშეის ჩრდილოეთ კედელზე (ჭრილზე) კარგად იყო გამოსახული ზედა (I) კულტურული ფენა (ნახანძრალი), რომელიც თითქოს ტერასულად განლაგებული „ბუდეების" (ჩაღრმავებების) სახით გამოიყოფოდა (სურ. 1, 2). ამავე ჭრილზე ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყო ზემოდან II კულტურული ფენა, რომელიც მოშავო ზოლის სახით გადმოდიოდა O—W ტრანშეის აღმოსავლეთ ჭრილიდან და აქ (N—S თხრილის აღმოსავლეთ ჭრილზე) გამოსახული „ბუდეების" ძირზე გადიოდა, ზედაპირიდან დაახლოებით 1—1,3 მ სიღრმეზე. მის ქვემოთ მოყვითალო ან მოყვითალო-მოყავისფრო თიხნარის სქელი ფენა მოდიოდა, რომლის შიგნით 2—2,2/2,3 მ სიღრმეზე გამოყოფილი იყო მოშავო შრე, მცირე უსახური კერამიკის შემცველობით. ეს შრე ჩვენ პირობითად აღვნიშნეთ როგორც III კულტურული ფენა. მის ქვემოთ თიხნარში (ზედაპირიდან 2,7—3 მ სიღრმეზე), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები. ამ თიხნარში უფრო ჩრდილო მხარესაც (დასავლეთის ჭრილთან, აპარელის გაკეთების დროს) აღმოჩნდა კერამიკის ცალკეული ფრაგმენტები. ისინი მეტწილად უსახურია, მაგრამ ნოსირის II ფენაზე უფრო არქაულად არ გამოიყურებოდა. აღნიშნული მოყვითალო თიხნარის ქვეშ N—S ტრანშეაში 3,5—4მ სიღრმეზე იდო მოშავო-მონაცრისფრო თიხა (ჩანს გრუნტისეული), რომელიც შედარებით მცირე მონაკვეთზე გავთხარეთ, რადგან უამინდობამ, დაწყლიანებამ და ჭრილების (ტრანშეის კედლების) ჩამოშვავების შედეგად მიწის დაგროვებამ აქაც არ მოგვცა მუშაობის დამაკმაყოფილებლად გაგრძელების საშუალება. ამ თიხნარის ქვეშ (მცირე შურფისებურ განათხარში) გამოვლინდა მოშავო-მოყავისფრო თიხის გრუნტი.

ამგვარად, აღნიშნული წლის გათხრების შედეგად „კეკელურ ზუგაზე" დადგინდა: 1. ძეგლის მრავალფენიანობა; 2. თავდაპირველი და მერმინდელი თიხაზვინულების ფენებრივი ხასიათი და შედარებით მცირე სიმძლავრე; 3. ყოველგვარი ძელური საყრდენის გარეშე ადრინდელი თიხაზვინულის არსებობა.

ზუგაზე ირკვევა კულტურული ფენების არსებობა ქვედა დონეებზე. მაგრამ საერთოდ რთული სურათი გვაქვს. გარდა იმისა, რომ გათხრით სამუშაოებს აძნელებდა

ხშირი უამინდობის შედეგად ღრმა თხრილების დაწყლიანება, თხრილების კედლების ჩამონგრევა, დატალახიანება და სხვა (ქვედა ფენები და ზოგჯერ განაპირა ზედა ფენები გარეშემო ნიადაგზე უფრო ღრმად დევს), ბორცვის სტრატიგრაფიულ შესწავლას ართულებს მისი სტრუქტურა და ფენათა განლაგების თავისებურებაც. ცენტრიდან რამდენადმე დაშორებით კულტურული ფენები ძალიან მკვეთრადაა დაქანებული, რაც ტრანშეის ძირის ჰორიზონტალური დადაბლების დროს, გარკვეულ ინტერვალებში მათი სუსტად გამოკვეთილობის თუ ურთიერთშეხების გამო, აძნელებს ფენების დაჭერასა და მათზე დაკვირვებას. ადვილი ხდება ფენების აღრევა, გაიგივება და ა.შ.

მიუხედავად მრავალფენიანობისა, ეს ძეგლი ექცევა შედარებით ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში, ვიდრე, მაგალითად, ნოსირის ბორცვი, და მით უმეტეს, ნოსირის მთლიანი ნამოსახლარი. ზუგას კულტურულ ფენათა ქრონოლოგიური საზღვრები კერამიკული მასალის მიხედვით (ტაბ. III; ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს ანტიკური თუ სხვა ხანის ცალკეული კერამიკული ფრაგმენტები, რომლებიც ზედა ფენაში ალბათ შემთხვევითაა მოხვედრილი) არ უნდა სცილდებოდეს ნოსირის ბორცვის II და III ფენების პერიოდს, ყოველ შემთხვევაში II ფენის დასასრულსა და III ფენის ძირითად პერიოდს მაინც (შესატყვისად, — ძვ. წ. II ათასწლ. შუა ხანა და მეორე ნახევრის დასაწყისი), თუმცა როგორც ზუგას ქვედა ფენების, ისე ზედა ფენის ზოგიერთი ნიმუში ზოგადად მოგვაგონებს ნოსირის 1 ფენის კერამიკას, რაც, ალბათ, ტრადიციის ხანგრძლივობით უნდა აიხსნას. ყველა ეს გარემოება საფუძველს იძლევა რამდენადმე ახლებურად განვიხილოთ კოლხეთის სათანადო ძეგლების შეფარდებითი და აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ „კეკელური ზუგას" ყველა ფენა მეტ-ნაკლებად ხანძრის კვალს ატარებს. ამ ფაქტმაც შეიძლება მომავალში გარკვეული სიცხადე შეიტანოს კოლხურ ძეგლებზე ხანძრის ხასიათის დადგენაში.

1980 წელს ექსპედიციამ გათხრები აწარმოა ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარზე „კეკელური ზუგას" მახლობლად, მის ჩრდილოეთ მხარეს. აქ არხის მარცხენა ნაპირას, ე.წ. პლანტაჟიანი ფართობის დასავლეთ ნაპირთან გაითხარა ორი ღრმა თხრილი (№№ 14 და 15), თითოეული დაახლოებით 2 × 2 მ ფართობზე, რომლებშიც გამოვლინდა კულტურული ფენის ნაშთები მცირე მოცულობით. კულტურული ფენა მრავალრიცხოვანი კერამიკის შემცველობით გამოვლინდა № 17 დიდ თხრილში, რომელიც ამავე ნასახლარზე დაიდო არხის მარჯვენა მხარეს საბჭოთა მეურნეობის სიმინდის ყანის ნაპირთან. გარკვეული ნიშნების მიხედვით აქ შეიძლება ვივარაუდოთ ორი კულტურული ფენა ან კულტურული ფენის ორი დონე. მაგრამ ისინი ქრონოლოგიურად ახლოს უნდა იყვნენ ერთმანეთთან, რადგან კერამიკული მასალები ორივე ამ დონიდან თითქმის არ იძლევა განსხვავებას. ამავე ადგილებში კიდევ რამდენიმე ადგილას გაითხარა ფართობი, ერთ-ერთ თხრილში (№ 16) საკმაო რაოდენობის კერამიკა გამოვლინდა.

ამავე წელს გათხრები ჩავატარეთ გეგეჭკორის რ-ნის სოფ. ზედა ნაკვაზაოში. აქ ექსპედიციამ გამოიკვლია დიდი რაოდენობის სარდიონის (სარდერის) მძივების შემთხვევით აღმოჩენის ადგილი, რასაც სამოდე წლის წინ ადგილი ჰქონია ადგილობრივი მკვიდრის გურამ ახალაიას საკარმიდამო ნაკვეთზე, ტრაქტორით მიწის მოხვნის დროს. ახლომახლო მოსახლეობას მოუკრებია ნახნავში გაფანტული მძივები. მათი ძებნა და ამისათვის მიწის ცხრილვა ყოველ გაზაფხულზე ხდებოდა საყანე ფართობის გადახვნისას. აღმოჩენის ადგილას (რომელიც მიგვითითა მოსახლეობამ) და მის მიდამოებში დავდეთ რამდენიმე თხრილი, მათ შორის მეზობელ საკარმიდამო ნაკვეთზეც, რომელიც გურამ ფირცხალავას ოჯახს ეკუთვნის. სამარხის არავითარი კვალი ამ მიდამოებში არ დადასტურდა, რაც ნათელს ხდის იმ ფაქტს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს მძივების ან სამკაულების განძთან. უფრო საფიქრებელია, რომ განძი მხოლოდ

მძივებისაგან შედგებოდა, რადგან არავის დაუსახელებია სხვა რაიმე ნივთი.

მოპოვებული მძივების მცირე რაოდენობა ექსპედიციას გადმოსცა მოსახლეობამ შემოწირულების სახით, ხოლო მეტი რაოდენობა ექსპედიციამ შეიძინა იმ თანხით, რომელიც მუზეუმმა საამისოდ გამოყო შემფასებელი კომისიის საშუალებით. მძივების საერთო რაოდენობაა 294 ცალი. ისინი სფერული და მომრგვალო ფორმისაა. შესანიშნავადაა დამუშავებული, მეტწილად მოზრდილი და საშუალო ზომისაა. ეკუთვნის მუხურჩის სამაროვნის ადრეული კომპლექსებისა და ნოსირის განძის მძივების ტიპს, რომლებიც წინარე ანტიკური ხანით თარიღდება ან ადრეანტიკური ხანის დასაწყისით (დაახლოებით ძვ. წ. *VIII-VI* სს).

დაზვერვითი სამუშაოები საანგარიშო წელს ექსპედიციამ აწარმოა აგრეთვე სოფ. მუხურჩის მიდამოებში, სადაც სოფლის განაპირას, ჩრდილოეთ მხარეს (ადგილი „ჭყონიას ტყე"), მიაკვლია და გამოავლინა ნამოსახლარი ბორცვი ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა პერიოდის მძლავრი ფენებით და, იქვე ახლოს — ადრეანტიკური (შეიძლება ნაწილობრივ წინარეანტიკური) ხანის ნამოსახლარის კულტურული ფენები.

* * *

1981 წელს ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ექსპედიცია ძირითად გათხრით სამუშაოებს აწარმოებდა ახალ ობიექტზე — ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარ ბორცვ „ნაჭვის ზუგაზე" (ტაბ. XI, 1), რომელიც მდებარეობს სოფ. მუხურჩის (გეგეჭკორის რ-ნი, ვედიდკარის სასოფლო საბჭო) დასავლეთით დაახლოებით 2 კმ-ზე (ექსპედიციის ბაზიდან 4 კმ-ზე), მუხურჩის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ფართობში. აღნიშნულ სეზონში ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება მოხერხდა ძირითადად გათვალისწინებულ ვადებში.

„ნაჭვის ზუგა" წარმოადგენს ხელოვნურ ბორცვს, ე.ი. თიხის ხელოვნური დაზვინვითა და სამოსახლოს ნაშთების დაფენებით წარმოქმნილ შემაღლებას, რომლის დმ უდრის 40 მ, ხოლო სიმაღლე ბორცვის გარეშემო ნიადაგის დონიდან — 4,5—5,0 მ-ს. ზედაპირის საერთო ფართობი 1500 მ-დეა.

გასათხრელად შერჩეულ იქნა ბორცვის ჩრდილო-დასავლეთი სექტორი, რომლის გათხრა, ბორცვის ზედაპირის მნიშვნელოვანი დაქანების გამო, დაიწყო ტრანშეების საშუალებით, რომელთა ძირს ტერასულ დახრილობას ვუნარჩუნებდით. ბორცვის ცენტრალურ ნაწილამდე გავლებულ იქნა 4 ასეთი ტრანშეა, საშუალოდ 2 მ სიგანისა — სამი ტრანშეა N—S დამხრობით, ხოლო ერთი — O—W დამხრობით. შემდეგ, გათხრების მსვლელობაში, ბორცვის ჩრდილოეთ პერიფერიულ ნაწილში ტრანშეები (შედარებით მცირე სიღრმისა) გავაერთიანეთ შუალედი ზოლების მოხსნით, რამაც საშუალება მოგვცა ეს ნაწილი შეგვესწავლა ჰორიზონტალურ პლანში. გაითხარა დაახლოებით ნახევარი ფართობი — 160-მდე კვ. მ. განათხარები (თხრილები) დავიდა სხვადასხვა სიღრმემდე. ყველაზე ღრმაა ჩრდილოეთიდან სამხრეთით დამხრობილი დიამეტრული ტრანშეა (N—S ტრანშეა), რომლის უდიდესი დაღრმავება ზედაპირიდან (შუა ნაწილში) 4 მ აღწევს. ამ ტრანშეამ ყველაზე სრულად გამოავლინა ბორცვის სტრუქტურა და სტრატიგრაფია მოცემულ სექტორში (სურ. 2, 1; ტაბ. XI, 2).

გაირკვა, რომ ძლიერ ნახანძრალი კულტურული ფენა დევს ხელოვნურად მოზვინული თიხის დიდ 2,5მ (უდიდესი) სიმაღლის მქონე ბორცვისებურ შემაღლებაზე, რომლის ძირი (ტრანშეის N ბოლოზე, HH 29—20 კვადრატებში გაკეთებული ჩაღრმავების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) 1,5 მ სიღრმეზე ეშვება გარშემო ნიადაგის ზედაპირიდან და დევს ქვანარევ, თიხნარიან ძველ გრუნტზე.



სურ. 2. „ნაჰვის ზუგა". კულტურული ფენის სტრუქტურული შედგენილობა ვერტიკალურ ჭრილებზე. I. N—SI ტრანშეის W კედლის მიხედვით: 1. კორდოვანი მიწა; 2 — ყვითელი თიხა; 3 — ბათქაშნარევი ყავისფერი მიწა; 4 — ნახშირნარევი შავი ფენა; 5 — ყავისფერი თიხა (კვ. HH 40—50-ში — ქვანარევი); 6. თიხანარევი მონაცრისფრო ფენა (კვ. HH 69—60-ში — ქვანარევი); 7 — ბათქაშნარევი მოშავო ფენა; 8 — მოყავისფრო-მონაცრისფრო თიხა; 9 — მუქი ყავისფერი თიხა (ქვანარევი გრუნტი). 2,3 — O—W ტრანშეის ჩრდილო კედლის მიხედვით: 1 — მოყავისფრო-მოყვითალო თიხანარევი ფენა; 2 — მძლავრი ბათქაში; 3 — მოყავისფრო თიხანარევი მიწა; 4 — წერილი რიყის ქვა.

კულტურული ფენა გამოიყოფა ერთ მთლიან მძლავრ დაფენებად ძელური და თიხალესილი გადამწვარი ნაგებობების ნაშთებით (ბათქაშისა და ნახშირის შრეები ან ცალკეული დანახშირებული ძელების ნაშთები და ბათქაშის ნატეხები). მთლიანად ფენა თანდათანობით დაქანებულია ბორცვის პერიფერიებისაკენ. კულტურულ დაფენებაში შეიძლება გამოიყოს რაიმე მკვეთრი ნიშნით ან სტერილური შრითა თუ ფენით გაუმიჯნავი დონეები. ხოლო მისი სტრუქტურული შედგენილობისა და მომავალში დონეთა მიხედვით მასალის ტიპოლოგიური შესწავლის საფუძველზე შეიძლება შემჩნეულ იქნეს ქრონოლოგიური განსხვავებები. საერთოდ კი, კერამიკული მასალის წინასწარი განსაზღვრით კულტურული ფენის ზედა დონეები რამდენადმე უფრო მოგვიანოდ გამოიყურება, ვიდრე ქვედა დონეები.

ნაგებობათა ნაშთები შეიცავს წითელი ბათქაშისა (გადამწვარი თიხის შელესილობის) და ნახშირის შრეებს. ჩვეულებრივად, როგორც მსგავს ძეგლებზეა დამოწმებული, ნახშირის შრეები ბათქაშის ქვეშაა მოქცეული (სათავსოს შიდა არეში ჩანგრევის გამო). ვერტიკალური ჭრილების მიხედვით ჩანს, რომ ნაგებობები თიხაზვინულში ყოფილა ჩამჯდარი, ე.ი. ძირი ნახევრადმიწურისებურ ჩაღრმავებას წარმოადგენდა, რომლის შუა ადგილი სწორი იყო (ტაბ. XI, 2). ერთმანეთთან მიმართებაში ჭრილებზე ეს ნაგებობები ტერასულ დონეებს ქმნიდა. გეგმის მიხედვით კი განათხარ ფართობზე შეიმჩნეოდა ნაგებობათა ამ ნაშთების გარკვეული წესით (დამხრობით) განლაგება, რაც მიახლოებით წარმოდგენას გვიქმნის გეგმარებაზე. მთელ შესწავლილ ფართობზე, აღნიშნული სექტორის (და N—S 1-4 ტრანშეების) სამხრეთ ნაწილში შეიძლება გამოვყოთ მთლიანობაში შედარებით უფრო გასარჩევი ამგვარი ნაშთები, რომლებიც, როგორც ჩანს, ორ ნაგებობას შეეფარდება: ნაგებობები ოთხკუთხა ან მომრგვალო კუთხეებიანი უნდა ყოფილიყო, დაახლოებით 5 X 5 ან 6 X 6 მ ფართობისა. O—W ტრანშეაში გამოვლინდა კიდევ ერთი ასეთი ნაგებობის ნაშთები (თუ ისინი ზემოხსენებული ერთ-ერთი ნაგებობის ნაშთების გაგრძელებას არ წარმოადგენს, რომელიც უფრო დასავლეთის მხარეს იყო). მაგრამ ამ ნაგებობის მოცულობის სავარაუდებლად ჯერ მონაცემები არ გვაქვს, რადგან ტრანშეის გარე მონაკვეთები, საითკენაც ეს ნაშთები ვრცელდება, გაუთხრელია. ნაგებობათა ნაშთების ადგილას, ისე როგორც ნაგებობების გარეთ, მრავლად ჩნდებოდა ნივთიერი მასალა — კერამიკა, საოჯახო-სამეურნეო დანიშნულების ქვები, ცხოველის ძვლები და სხვ.

„ნაჭვის ზუგაზე" მოპოვებული ნივთიერი მასალების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს კერამიკული ნაწარმი (ტაბ. XIII, 1-13). ეს კერამიკა ძირითადად ეკუთვნის ბრინჯაოს ხანის კოლხურ კერამიკულ პროდუქციას, მაგრამ ამასთანავე ავლენს გარკვეულ თავისებურებებს. არის ხელსაფქვავის ქვები, ქვასანაყები, ქვაკეცები (მრგვალი ბრტყელი რიყის ქვები), კაჟისა და ობსიდიანის იარაღები თუ ანატკეცები, საქონლის ძვლები და სხვ.

ნივთიერი მასალების მიხედვით შეიძლება მთლიანად კულტურული პლასტი მივაკუთვნოთ ბრინჯაოს ხანის გვიან პერიოდსა და შუადან გვიანზე გარდამავალ საფეხურს, აბსოლუტური ქრონოლოგიით უნდა ეკუთვნოდეს ძვ. წ. II ათასწლ. შუა ხანისა და მეორე ნახევრის ფარგლებში. ეს მასალები შეესატყვისება ნოსირის II (შეიძლება ნაწილობრივ) და III ფენების მასალებს. კულტურული პლასტი კარგად შეეფარდება „კეკელური ზუგას" სხვადასხვა ფენებს. ზედა დონეების კერამიკის უდიდესი ნაწილი ანალოგიურია „კეკელური ზუგას" ზედა ფენის მოყავისფრო პირგადაშლილი ჭურჭლებისა. ქვედა დონეების კერამიკა კი, რომლებშიც მეტია შავი და მოშავო რამდენადმე უხეში ნაკეთობის პირმოყრილი და ღარებიანი ჭურჭელი (რაც შეიძლება აქ ნაწილობრივ არქაული ტრადიციების შემორჩენას ნიშნავდეს), უფრო უახლოვდება „კეკელური ზუგას" II და უფრო ღრმად მდებარე ფენების თიხის ნაწარმს.

ექსპედიციამ აწარმოა დაზვერვითი სამუშაოები, რამაც მნიშვნელოვანი შედეგე-

ბი მოგვცა — გამოავლინა საყურადღებო ახალი ძეგლები. „ნაჭვის ზუგას" მიდამოებში გამოვლინდა: ადრეანტიკური ხანის დიდი ნამოსახლარი, რომელიც მდებარეობს ზუგადან ორასიოდე მეტრზე მის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ფართობში, და უკავია დაახლოებით 100 X 50 მ ფართობის მქონე შემაღლება (აქ გვხვდება ბერძნული იმპორტული კერამიკული ნაწარმიც); ცალკეულ ადგილას — უფრო მოგვიანო ნამოსახლართა ნაშთები. მცირე მასშტაბის დაზვერვები ჩატარდა აგრეთვე სოფ. მუხურჩის განაპირას, მის დასავლეთ მხარეს ადგილ „ნაწილქვილართან", სადაც წინა წლებში ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო წინარეანტიკური ხანის კულტურული ფენები. მოპოვებულ იქნა დამახასიათებელი კერამიკული მასალა (ტაბ. XIII, 15-19). აქვე შორიახლოს (დასავლეთით, ადგილ „ტასიკოს ტობესკენ"), დამბის მშენებლობის ადგილას მიკვლეულ იქნა ანტიკური ხანის ნასახლარის ნაშთები.

ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. მეორე ახუთში, ადგილ გოშირალზე (იგივე კაკანახორი), რომელიც ბუნებრივ მაღალ გორაზეა, ექსპედიციამ მოიხილა და დაზვერა შემთხვევითი აღმოჩენის ადგილი, სადაც დადგინდა კრემაციული სამარხების არსებობა (სავარაუდოდ ანტიკური ხანისა).

Э. М. ГОГАДЗЕ, Ц. О. ДАВЛИАНИДЗЕ, Л. Н. ПАНЦХАВА, Р. К. РАМИШВИЛИ

РЕЗУЛЬТАТЫ РАБОТ НОСИРИ-МУХУРЧСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ЗА 1980—1981 ГГ.

Резюме

(Табл. X—XIII)

Основные полевые работы Носири-Мухурчской экспедиции в отчетных годах производились в окрестностях сел. Мухурча Гегечкорского р-на.

В 1980 г. были продолжены работы на жилом холме Кекелури Зуга (табл. X, 1). Раскопки возобновились на раннеантичном поселении поблизости Кекелури-Зуга. В указанном сезоне было намечено стратиграфическое изучение вертикальным разрезом нижних слоев под возвышенной частью северо-западного сектора холма. Поэтому траншея O—W была продолжена в восточную сторону, до центра холма (рис. 1,1, табл. X, 1), была также заложена траншея N—S (рис. 1, 2).

Вертикальные разрезы по указанным траншеям дали стратиграфию исследуемой части холма (северо-восточного его сектора).

В восточной части траншеи O—W, в глинистой толще, ясно выявляются прослойки II (сверху) культурного слоя в виде черноватой земли с примесью глины, в среднем толщиной в 0,2—0,3 м. Далее от центральной части холма эти прослойки резко наклонялись вниз, иногда суживались, соприкасались друг с другом или прерывались. Керамика была добыта в основном из верхних прослоек этого горизонта (табл. III, 18—24).

В средней части траншеи на глубине 4-х метров, в черновато-коричневатой глине, появились культурные остатки (кв. НН 06, 07, 08). Подобный же глинистый слой на определенном уровне содержал культурные остатки также и в траншее N—S (кв. НН 60). III (сверху) культурный слой тоже состоял из чередующихся черноватых глинистых прослоек. Как верхние, так и нижние слои обнаруживали следы огня, однако I (самый верхний) слой содержал мощные остатки пожарища — большие скопления пережженной обмазки и угля. Ввиду сложности стратиграфического расчленения, нижние слои мы обозначили как III и III — IV культурные слои. Северная сторона вдоль траншеи O—W (кв. НН—93—90, 86—88, 77—78) тоже была углублена до определенного уровня. Во всей этой полосе был выявлен II

культурный слой. В восточном конце ее (кв. НН 89—80, 99—90) была расчищена поверхность тонкой (2—4 см) прослойки угля, возможно растительного настила, сгоревшего вследствие пожара (табл.X,$_2$). Все культурные слои проявляют следы пожара.

В средней и зап. частях траншеи (от кв. НН 03 до 07) вещественный материал был добыт на уровне 2,7 — 2,9 м.

На вертикальном разрезе по северной стенке траншеи N—S хорошо был выражен верхний (I) культурный слой, выделявшийся террасообразно в виде отдельных «гнезд» с углубленным дном (рис. 1, 2). Здесь же выделялся II слой в виде черноватой прослойки на глубине 1—1,3 м и т.д.

Т.о. в результате раскопок рассматриваемого сезона на Кекелури Зуга были установлены: 1) многослойность памятника; 2) пластовой характер и сравнительно малая мощность глинистых укладок; 3) наличие первоначальной глинистой укладки без всякого деревянного основания. Раскопочные работы усложняются наклонностью культурных пластов и залеганием нижних, а иногда верхних (расположенных у края) слоев ниже окружающей почвы, соприкосновением слоев друг с другом и т.д.

Несмотря на многослойность, этот памятник помещается в сравнительно узкие хронологические рамки, чем, например, Носирский холм, и тем более Носирское поселение. Хронологические рамки Кекелури Зуга, судя по керамическим материалам (табл. *XII*) не должны расходиться с периодом II и III слоев Носирского холма, а возможно, конца II слоя и основным периодом III слоя (соответственно, середина и начало второй половины III тыс. до н.э.).

В 1980 г. экспедиция произвела раскопки на раннеантичном поселении близ Кекелури Зуга. Здесь было заложено несколько раскопов, выявивших культурный слой. В одном из них (раскоп № 17) можно предположить наличие двух культурных слоев или же двух уровней культурного слоя. Однако материалы из них почти однообразны, что указывает на хронологическую близость.

В том же году были проведены раскопки в селе Земо Нагвазао Гегечкорского района, где экспедиция обследовала место случайной находки большого количества сердоликовых (сардеровых) бус. Раскопками было установлено отсутствие здесь могильника или какого-либо захоронения. Бусы происходили из клада и до единого были разобраны местными жителями. Экспедицией были собраны и приобретены 294 сферические бусины прекрасной обработки, разных величин, относящихся к предантичному или раннеантичному периоду.

Разведочные работы экспедиция произвела также в окрестностях сел. Мухурча, где в местности Чкониас Тке был выявлен жилой холм типа Зуга с мощными культурными слоями бронзовой эпохи, а поблизости — культурные слои раннеантичной эпохи.

*
* *

В 1981 г. основные раскопочные работы экспедиция вела на жилом холме бронзовой эпохи Начвис Зуга (табл. XI,$_1$), расположенном в 2-х км к юго-западу от села Мухурча. Исследовался северо-западный сектор холма. Ввиду большой скошенности поверхности холма раскопки были начаты траншеями с сохранением террасообразного расположения их дна. От края до центра холма были заложены 4 траншеи, 3 из них были проведены с севера на юг, а 2 — с запада на восток (табл. XI,$_1$). Затем, в ходе раскопок, в северной части сектора траншеи были соединены раскопкой (в виде

общего раскопа). Глубже была прорыта диаметральная траншея N—S 1 (глубиной до 4-х м в средней части), полнее выявившая структуру и стратиграфию холма в данном секторе.

Было установлено, что пережженный в пожарище слой залегает на мощной глинистой укладке с наибольшей толщиной в 2,5 м, опускающейся своим дном на 1,5 м ниже уровня современной почвы. Культурный слой выделяется в виде одного мощного напластования, содержащего остатки пережженных сооружений и т.д. Однако не исключается возможность, что в дальнейшем будут замечены какие-либо хронологические различия между отдельными уровнями этого слоя. По предварительному рассмотрению керамического материала это уже можно предположить в общих чертах.

И здесь культурный слой имеет наклонное расположение к краю холма. Вертикальные разрезы показывают, что основания сооружений были углублены в глинистой укладке и строения располагались террасообразно друг к другу, а в плане, по расположению остатков, они кажутся прямоугольными или округло-четырехугольными, площадью в среднем в 5×5 или 6×6 м. Многочисленный вещественный материал обнаруживался также среди остатков помещений. Значительная часть керамики (табл. IV 1—13) пережженная. Керамика в общем относится к Колхидской керамической продукции, но, вместе с тем, проявляет определенное своеобразие. Вещественные материалы соответствуют периоду II (возможно частично) и III слоев Носирского холма и культурных слоев Кекелури Зуга (см. выше).

В 1981 г. экспедиция произвела следующие разведочные работы: было выявлено большое (площадью приблиз. в 100×50 м) поселение раннеантичной эпохи, расположенное в метрах 200-х к северо-востоку от Начвис-Зуга. Здесь были найдены и фрагменты импортной греческой керамики; на зап. окраине сел. Мухурча, в местечке Нацисквилари, был добыт керамический материал из культурного слоя, характерный для предантичного периода (табл. IV. 14—19); античный культурный слой был обследован также в небольшом расстоянии к западу от этого места. Было обследовано место случайной находки на горе Гоширали (или Каканахори) в сел. Второе Ахути Чхороцкуйского района, где экспедицией было установлено наличие погребений с кремацией, предположительно античной эпохи.

ი. გაგოშიძე, ე. ქორიძე, ა. გოგიჩაიშვილი

შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979—81 წლების საველე მუშაობის ანგარიში

შიდა ქართლის (დედოფლის მინდვრის) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1979 წელს ჩაატარა ფართო დაზვერვითი სამუშაოები, რომლის მიზანი იყო დედოფლის მინდვრისა და მისი მიდამოების აეროფოტოსურათების დეშიფრირებით გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტების ადგილზე მიკვლევა და შემოწმება.

ექსპედიციის მუშაობაში ამ ანგარიშის ავტორებს გარდა მონაწილეობდნენ: მ. საგინაშვილი, მ. ქორიძე, თ. დარახველიძე, კ. შიშკინი, პ. ფირფილაშვილი, გ. ჯავახიშვილი, გ. გაგოშიძე, ლ. მაყაშვილი, ი. ნუცუბიძე.

ექსპედიციამ სწორედ ამ დაზვერვების შედეგად აღმოაჩინა ის ორი არქეოლოგიური ძეგლიც, რომელთა გათხრების დაწყება მოუხდა მას საანგარიშო წელს. ეს ძეგლებია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორა-ნამოსახლარი და სამაროვანი არადეთის (დოღლაურის) ორგორის ჩრდილოეთით და ყორღანული ველი მდ. ფრონის შესართავის აღმოსავლეთით, მტკვრის მარცხენა მაღალ ნაპირზე.

არადეთის ორგორა ანუ ფოშტიგორა, რომელიც აღმართულია მდინარე ფცისწყლის მარცხენა ნაპირას, მისი შესართავის მახლობლად, ფართოდ ცნობილი მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლია, მაგრამ ორგორის ჩრდილოეთით კიდევ ერთი, მესამე გორა-ნამოსახლარის არსებობა მხოლოდ აეროფოტოდაზვერვის საშუალებით გაირკვა. ამ გორაზე, რომლის ზედაპირის ფართობი 2 ჰექტარს აღემატება, 1978 წელს დაუწყიათ საბოცვრო მეურნეობის კომპლექსის მშენებლობა. მშენებლობის გაგრძელება საბოლოო დაღუპვას უქადდა ისედაც საფუძვლიანად დაზიანებულ გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხებსა და კულტურულ ფენებს, ამიტომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველოს მოთხოვნით მშენებლობა ორგორაზე შეჩერდა ძეგლის გადარჩენილი ნაწილის არქეოლოგიურ შესწავლამდე. დაცვითი გათხრების ჩატარება 1979 წელს დაევალა შიდა ქართლის არქეოლოგიურ ექსპედიციას.

მშენებლობის ტერიტორიის გულდასმითმა დაზვერვებმა, რაც ვაწარმოეთ გათხრების დაწყებამდე, დაგვანახა, რომ ამ გორაზე არსებულა ადრებრინჯაოს ხანისა და ძვ. წ. II—I ათასწლეულების მიჯნის ნამოსახლარი, გორის ჩრდილო ფერდობზე და ვაკეზე მის ჩრდილოეთით მდებარეობს გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი, ხოლო გორის დასავლეთ ნაწილში უზარმაზარი ნაცარგროვაა — 20—30 მ სიგანისა და 80 მეტრის სიგრძის. ხევი მთლიანად შევსებულია ნაცრისა და კულტურული ნაშთების ფენებით, რომელთა საერთო სისქე 4 მ აღწევს. მართალია აქ მშენებლებს მოზრდილი ღრმული ამოუთხრიათ, მაგრამ ნაცარგროვის გადარჩენილი ნაწილის მეთოდური, ფენა-ფენა გათხრა გვიანბრინჯაოს ხანის შიდა ქართლის არქეოლოგიური კულტურის სტრატიგრაფიისა და ქრონოლოგიის დადგენა-დაზუსტების უნიკალურ შესაძლებლობას მოგვცემს.

ნაკარგროვის გათხრა სამერმისოდ გადავდეთ. საანგარიშო წელს კი გათხრები დავიწყეთ გორის სამხრეთ ნაპირთან. იქ, სადაც მშენებლებს საძირკვლის ამოღებისას დაეზიანებინათ კულტურული ფენა. ჭრილში 1.5 მ სიღრმეზე ჩანდა 0.40 მ სისქის. შავი ნაცრიანი ფენა, რომლიდანაც ლეგა ფერის თიხის მთელი ქოთანი გამოვიღეთ (ქოთანში კაჟის მოზრდილი საფხეკიც იდო). კულტურული ფენა დაფარული იყო მიწის სტერილური ფენით, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, უნდა წარმოშობილიყო ანტიკურ ხანაში. დასავლეთი გორის ჩრდილოეთით არსებული ხევის ხელოვნურად გაფა-



სურ. 1. არადეთის ორგორა. ჩრდილოეთის გორა, ღუმელიანი სათავსოს ნაშთი. გეგმა და ჭრილები AA, BB.

რთოვება-დალრმავების შედეგად: ამოთხრილი მიწა ჩრდილოეთი გორის ზედაპირზე დაუყრიათ (სხვათა შორის, ნაწილობრივ ამ გარემოებითაც შეიძლება აიხსნას ის გასაოცარი ფაქტი, რომ ბრინჯაოს ხანის ეს ნამოსახლარი წლების განმავლობაში შეუმჩნეველი დაგვრჩა არქეოლოგებს, თუმცა ორგორაზე მისვლისას ყოველთვის მისი გადალახვა გვიხდებოდა ხოლმე). ეს ფენა გადაფარული იყო კიდევ ერთი ნაყარი ფენით, რომელიც წარმოიქმნა მშენებლობის დაწყების წინ გორის ზედაპირის ნიველირების პროცესში. ეს უკანასკნელი ფენა, ცხადია, კულტურულ ნაშთებსაც შეიცავდა.

გათხრების შედეგად გამოიკვეთა ნახანძრალი ოთხკუთხა საცხოვრებელი სათავსო, რომლის გადარჩენილ ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში პურის საცხობი ღუმელია მოწყობილი. სათავსოს კედლები და იატაკი თიხითაა მოლესილი. რიყის ქვითა და თიხითაა აგებული ღუმელიც, რომელსაც საკეცხლური სამხრეთიდან ჰქონდა. ღუმელის ძირი ბრტყელია. ძირს აღმოსავლეთ ნაწილში 22 სმ სიგანის ღარი აქვს მოწყობილი, საიდანაც ღუმელის აღმოსავლეთ კედელში დატანებული ხვრელის საშუალებით ნაცა-

რი გამოიხვეტებოდა. ნაცრის შესაგროვებლად ღუმელს აღმოსავლეთიდან მიდგმული აქვს ოვალური მოყვანილობის სანაცრე 15 სმ სიმაღლის კედლებით. ღუმელის გარეთა კედლები სუფთადაა შელესილი, ხოლო შედარებით უკეთ შემორჩენილ აღმოსავლეთ კედელს მთელ სიმაღლეზე ორი პილასტრი აუყვება (სურ. 1).

ღუმელის აღმოსავლეთით, სათავსოს ჩრდილოეთ კედელთან თიხატკეპნილ საგანგებო შემაღლებაზე საშინაო საკურთხეველი უნდა ყოფილიყო. აქ აღმოჩნდა თიხის მილისებური ფორმის ორი სადგარი, საბეჭდავები, მინიატურული კოჭობი და სამსაფეხურიან ქუსლზე შემდგარი, კვეთილი ორნამენტითა და რელიეფური დანაძერწებით შემკული უჩვეულო ფორმის დერგი.

სათავსოს სამხრეთი და აღმოსავლეთის კედლების და მათი მიმდებარე იატაკის უდიდესი ნაწილი მშენებლებს გაუნადგურებიათ. მაგრამ სათავსომ მაინც საკმაოდ უხვი ნივთიერი არქეოლოგიური მასალა მოგვცა. ზემოთ ნახსენებ ნივთებს გარდა აქ აღმოჩნდა თიხის სხვადასხვა ფორმის ათამდე ეურველი, კაჟის ნამგლის ჩასართები, ძვლის სავარცხელი, ბრინჯაოს ისრისპირი და სხვ. მასალა წინასწარულად ძვ. წ. IX—VII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.



სურ. 2. არადეთის ორგორა. ჩრდილოეთის გორა. სამარხი № 7, а — ზედა დონე, в — ქვედა დონე.

გორის ჩრდილოეთ ნაწილში 20 მ სიგრძის ორი საძიებო თხრილი გავავლეთ, რომელშიც ადრებრინჯაოს ხანის (მტკვარ-არაქსის კულტურის) ფენის ნაშთები და გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხები გამოჩნდა. გავთხარეთ 13 სამარხის ნაშთი.

სამარხები ოვალური ფორმის მიწაყრილიან ან ქვაყრილიან ორმოებს წარმოადგენს და დამხრობილია უმეტესად ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით. 11 სამარხში ჩონჩხები და ინვენტარი არეული და ფრაგმენტირებული დაგვხვდა, რაც უთუოდ მეორად დაკრძალვაზე უნდა მიუთითებდეს. ხელუხლებელი მხოლოდ ორი — N 7 და N 8 სამარხები იყო. აღვწერთ ამ სამარხებს.

სამარხი N 7. ქვაყრილიანი ორმოსამარხია. ოვალური მოყვანილობის ორმოში (სიგრძე — 1,80 მ, სიგანე — 1,20 მ) ათლეტური აღნაგობის 30-ოდე წლის მამაკაცის ჩონჩხი ესვენა ზურგზე, თავით ჩრდილოეთისაკენ, მუხლებში მოხრილი და გვერდზე დაწყობილი ფეხებით. მარცხენა ხელი იდაყვში მოხრილი ჰქონდა, მარჯვენა კი გაშ-

ლილი სხეულის გასწვრივ. ამ ხელით, როგორც ჩანს, ხელშუბი ეპყრა: შუბისპირი მკლავზე იდო. წვერით თავისკენ. სამარხში ბრინჯაოს თავხვია საკინძიც და თიხის ორი შავპრიალა ჭურჭელიც აღმოჩნდა (სურ. 2 a).

ჩონჩხის ალაგების შემდეგ, უშუალოდ მის ქვეშ, იმავე ორმოში გამოჩნდა სხვა ჩონჩხი, დასვენებული გვერდზე, აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით. ჩონჩხს არავითარი ინვენტარი არ ახლდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ მონის ან ტყვის თანადამარხვასთან გვაქვს საქმე (სურ. 2 в).

ქვამიწაყრილიან N 8 სამარხში, მარცხენა გვერდზე, ფეხებმოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ ესვენა საშუალო ხნის ქალი. თავის ქალა რიყის ბრტყელ ქვაზე ედო. ასევე ქვებზე ეწყო ფეხების ტერფებიცა და ხელიც. ჩონჩხს მხოლოდ ცალი ხელი აღმოაჩნდა: მარცხენა ხელი მას სიცოცხლეშივე მოკვეთილი ჰქონია. გარდა ამისა, იგი დაავადებული ყოფილა წელის მალების სპონდილართროზის მძიმე ფორმით[1] (სურ. 3 a).



სურ. 3. არადეთის ორგორა. ჩრდილოეთის გორა, a — სამარხი № 8, в — სამარხი № 11.

სამარხში ჩატანებული იყო თიხის დერგი, ლანგარი და სასმისი, ბრინჯაოს სამი თავხვია საკინძი, ორი ბრტყელგანივკვეთიანი ერთნახევარხვიანი სასაფეთქლე საკიდი და მრავალგანივკვეთიანი მავთულის რგოლი, აგრეთვე სარდიონისა და მინის მძივები.

ორგორაზე მოპოვებული არქეოლოგიური ინვენტარის უმეტეს ნაწილს თიხის ნაწარმი შეადგენს. კარგად განლექილი თიხისაგან ჩარხზე დამზადებული და კარგად გამომწვარი ჭურჭელი ხასიათდება დახვეწილი, სიმეტრიული ფორმებით; ფერად იგი შავი ან ლეგაა, ანგობირებული და ნაპრიალები ზედაპირით. ეს ჭურჭელი — სასმისები, ლანგრები, დერგები, ქოთანი უამრავ ანალოგიას პოულობს გვიანი ბრინჯაოს და ადრერკინის ხანის შიდა ქართლის არქეოლოგიურ ძეგლებთან (სამთავრო, ნარეკვავი, ხოვლეგორა, კასპი, დვანი, ფლავისმანი და სხვა), რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს სამარხთა თარიღი ზოგადად ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის დასაწყისით.

[1] ექსპედიციის მიერ გამოვლენილი ყველა ჩონჩხი შეისწავლა და განსაზღვრა პ. ფირფილაშვილმა.

ორგორაზე მუშაობის პარალელურად ექსპედიციამ გათხარა სამი ყორღანი ფრონის შესართავის აღმოსავლეთით აეროფოტოდაზვერვით გამოვლენილ ყორღანულ ველზე. ყორღანების გათხრა გადავწყვიტეთ რამდენიმე მოსაზრების გამო. ჯერ ერთი, საჭიროდ მივიჩნიეთ შეგვემოწმებინა აეროფოტოსურათთა დეშიფრირების შედეგად მიღებული წინასწარი დასკვნების სისწორე, რაც აერომეთოდების დაზუსტებასა და შემდგომ დახვეწაში დაგვეხმარებოდა; მეორეც — ეს ყორღანული ველი შიდა ქართლში მიკვლეული პირველი ამგვარი ძეგლია და საერთოდ კონკრეტულ ნამოსახლართან დაკავშირებული პირველი ყორღანული ჯგუფია საქართველოში (იქვე, ფრონისა და მტკვრის შესაყარის თავზე აეროფოტოდაზვერვითვე გამოვლინდა ნამოსახლარი გორა, ე.წ. ბერიკლდეების გორა) და ამიტომ დიდი საცთური იყო ნამოსახლარისა და ყორღანების პარალელური შესწავლა (ნამოსახლარის გათხრა დაიწყო მუზეუმის ექსპედიციამ ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით); და მესამეც, ანგარიშგასაწევი იყო ის გარემოებაც, რომ ყორღანები ბებნისის სანერგე მეურნეობის სავარგულებშია მოქცეული და მათ დღეს თუ არა ხვალ მაინც გადახნავენ და მიწისპირს გაუსწორებენ.

გასათხრელად შევარჩიეთ ყველაზე უფრო მცირე ზომის ყრილიანი ყორღანი, რომელიც ამავე დროს ყველაზე უფრო ახლოს მდებარეობს ნამოსახლარიდან. N 1 ყორღანი მტკვრის პირა ფლატეს 100 მ-თაა დაშორებული, ფრონეს კი — 300 მეტრით (სურ. 4).

ყორღანის ყრილი ოვალურია (სიგრძე — 15 მ, სიგანე — 10 მ, სიმაღლე — 0,60 სმ). მისი გრძივი ღერძი მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (ასევეა დამხრობილი ჩვენგან მოხილული ყველა სხვა ყორღანის ყრილებიც, რომლებიც აგრეთვე ოვალური ფორმისაა).

ყრილზე გავავლეთ 2,20 მ სიგანის გრძივი ტრანშეა. პირველივე ბარისპირზე ამოვიდა შავმიწაში არეული მსხვილი რიყის ქვები. მიწანარევი რიყის ქვის 0,5—0,6 მ სისქის ყრილი უშუალოდ დამარხულ ნიადაგზე დევს. ყრილში კანტი-კუნტად გვხვდება შავად და წითლად გამომწვარი უხეშკეციანი კერამიკა. შეგვხვდა შავპრიალა და ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭლის ნატეხიც და ნახევარსფერული ყურებიც. ანალოგიური კერამიკა გვხვდებოდა სამარხ ორმოში ჩაყრილ ქვებს შორისაც.

ყრილის ცენტრში გამოვლინდა კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმის სამარხი ორმო. სიღრმით 1,60 მ. ორმოს ზომები მიწის პირთან შეადგენს 4 მ X 2,90 მ (ორმოს ძირი ოდნავ უფრო ვიწრო გამოდგა ვიდრე მისი პირი).

ორმო ამოღებულია მოთეთრო-მოყვითალო თიხნარში, რომელიც უშუალოდ ჰუმუსიანი ფენის ქვეშ დევს, და მთლიანად ამოვსებული იყო რიყის ქვით. ამიტომაც მთელი ინვენტარი ორმოს ძირზე დალეწილია. განსაკუთრებით დაზიანებული აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი.

ორმოს ძირზე, მისი ჩრდილო და სამხრეთი კედლების გაყოლებით გაიწმინდა 0,20 მ სიგანისა და 0,50 მ სიღრმის ღრმულები, რომლებიც აგრეთვე რიყის ქვით იყო ამოვსებული, ჩრდილოეთი ღრმულის დასავლეთ ბოლოში შემორჩა დანახშირებული ხის ნაშთი — ეტლის თვლის ფერსო, რამაც დაგვარწმუნა, რომ აღნიშნული ღრმულები სპეციალურად ყოფილა ამოღებული ოთხთვალა ეტლის თვლების ჩასადგმელად.

ამ ღარებს გარეთ, ორმოს კუთხეებში შემორჩა ხის სვეტების დანახშირებული კვალი. სვეტებს ალბათ ორმოს გადახურვის ძელური კონსტრუქცია ეყრდნობოდა.

როგორც დაკრძალულის ჩონჩხი, ისე მთელი ინვენტარიც ეწყო ღარებს შორის ფართობზე. ჩონჩხის ფრაგმენტები აღმოჩნდა ორმოს შუა ნაწილში — თავის ქალა თითქმის ცენტრში, ხოლო ფეხების ძვლები ჩრდილოეთისაკენ, მკლავების ძვლები ეწყო თავის ქალისა და ორმოს ძირზე ქვით მიჭყლეტილი ნეკნების აღმოსავლეთით; აქვე

იდო სპილენძის სატევრის ან დანისპირი. თავის ქალის რამდენიმე ფრაგმენტი შეგვხვდა ორმოს ამოსუფთავების დროსაც, მისი ძირიდან თითქმის 0,5 მ-ის სიმაღლეზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ მიცვალებული ეტლზე უნდა ყოფილიყო დასვენებული და ჩონჩხი მხოლოდ ყორღანის გადახურვის ჩაქცევის შემდეგ აღმოჩნდა ორმოს ძირზე.



სურ. 4. ბერიკლდეები, ყორღანი № 1, გეგმა, ჭრილები და კამერის გეგმა.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში ეწყო ოთხი შედარებით მცირე ზომის ყურიანი, თხელკედლიანი, შავპრიალა თიხის ჭურჭელი, შემკული ნატიფი კვეთილი ორნამენტით. ორმოს დასავლეთ ნაწილში კი იდო დიდი ზომის ჰორიზონტალურყურებიანი შავპრიალა ჭურჭელი, ჰორიზონტალურად გოფრირებული ქოთანი და კონუსურძირიანი პატარა ტოლჩა, ოდნავ გადაშლილი პირით, რომელსაც პირის გასწვრივ წვრილი ნახვრეტები, ხოლო მხრებზე დაძერწილი კოპების რიგი შემოუყვება. სამარხში

კიდევ რამდენიმე ფრაგმენტირებული ჭურჭელი, ობსიდიანის მასიური ნატეხები და სერდოლიკის მძივები აღმოჩნდა. ორმოს ძირზე ამოღებულ ჩრდილოეთის ღარში ეგდო ვერცხლის გარსაკრავიანი სპილენძის ცილინდრულთავიანი საკინძი.

კერამიკული მასალა დიდ სიახლოვეს იჩენს თრიალეთისა და ბედენის ადრებრინჯაოს ხანის ყორღანულ მასალასთან. ამ ტიპის კერამიკა პირველად აღმოჩნდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე და ბედენურ-თრიალეთური ყორღანული კულტურის გავრცელების არეალში თრიალეთისა და კახეთის გვერდით შიდა ქართლიც მოაქცია.

ჩვენს მიერ გათხრილი მეორე ყორღანიც ამავე კულტურის კუთვნილი გამოდგა. მესამე ყორღანი კი შუა ბრინჯაოს ხანისაა

ყორღანი N 2 მდებარეობს N 1 ყორღანის სამხრეთით, თითქმის ფლატის პირას. მისი ყრილის სიგრძე — 30 მ, სიგანე — 17 მ, სიმაღლე — 1.60 მ (სურ. 5; 6).



სურ. 5. ბერიკლდეები. ყორღანი № 2, გეგმა და ჭრილები.

თავდაპირველად გავავლეთ ორ-ორი მეტრის სიგანის ორი ტრანშეა, რომლებიც იკვეთებოდა ყორღანის ყრილის მწვერვალზე. შემდგომში გრძივი ტრანშეის დასავლეთი ნაწილი გავაფართოვეთ 4 მ-მდე, რადგანაც აქ ჩაშვებული სამარხები აღმოჩნდა; მთლიანად მოვხსენით ყრილის ცენტრალური ნაწილი სამარხი ორმოს გარშემო და გადავხსენით ყორღანის ყრილის მთელი ჩრდილოეთი ფერდი, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა ყრილის კონსტრუქცია. გარდა ამისა, დავრწმუნდით, რომ აქ ჩაშვებული სამარხები არ ყოფილა.

სამარხი ორმო აქაც კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის მოყვანილობისაა, თითქმის ვერტიკალური კედლებით. ორმოს სიგრძე — 4 მ, სიგანე — 3,5 მ, ხოლო სიღრმე — 3,30 მ; ორმოს აღმოსავლეთ კედელთან, შუაში დატოვებულია გეგმაში ოვალური მოყვანილობის საფეხური, რომელსაც უთუოდ კონსტრუქციული დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ორმოს ძირი ბრტყელია.

ორმოს ამოღებისას თანმიმდევრულად გაუჭრიათ 0,30 მ სისქის ჰუმუსიანი ფენა, შემდეგ 0,70 მ სისქის მოთეთრო-მოყვითალო თიხნარი და ბოლოს თეთრი ფერის არც თუ ძალიან მკვრივი კონგლომერატი. ორმოდან ამოსულ მიწას თხრის პროცესში ყრიდნენ უშუალოდ ორმოს პირას მის ოთხივე მხარეს თანაბრად. ამგვარად, ორმოს გარშემო დაგროვილა დაახლოებით 1,2 მ სიმაღლისა და 2—2,5 მ სიგანის წრიული ყრილი, რომლის ქვედა ნაწილი შედგენილია ჰუმუსიანი ნიადაგის შავი ფენისაგან, რომელსაც ზედ ადევს მოთეთრო-მოყვითალო თიხის შედარებით თხელი ფენა და ყველაფერი ეს გადაფარულია კონგლომერატის სქელი და ფართო ფენით. ამ ყრილზე



სურ. 6. ბერიკლდეები, ყორღანი № 2. ქვის წყობა კამერის ძირზე.

ორ-სამ ფენად დაუწყვიათ მტკვრისა და ფრონის კალაპოტიდან საგანგებოდ ამოზიდული მსხვილი რიყის ქვა. ასეთივე რიყის ქვის გროვით გადაუფარავთ სამარხი ორმოც დაკრძალვის რიტუალის შესრულებისა და ორმოს გადახურვის შემდეგ. ორმო გადახურული უნდა ყოფილიყო ძელური კონსტრუქციებით, რაზეც მიუთითებს ჩაფერფლილ-დანახშირებული ხის ნაშთების არსებობა ორმოში; გადახურვის ჩაქცევის შემდეგ ორმოს თავზე დაზვინული რიყის ქვა, ცხადია, ორმოში ჩაიყარა.

N 2 ყორღანს აღმოაჩნდა ერთი თავისებურება, რაც მას განასხვავებს, როგორც N 1, ისე N 3 ყორღანებისაგან. სამარხი ორმოს პირის დონეზე ოდნავ დაბლა, ორმოს აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლების გასწვრივ ნალისებურად გან-

ლაგებული იყო დიდი ზომის ფლეთილი ფილაქვების სამფენიანი წყობა. ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს აქ ორმოს გადახურვის რაღაც კონსტრუქციასთან გვქონდეს საქმე. მაგრამ დარწმუნებით ამაზე მსჯელობა არ შეგვიძლია, რადგანაც სწორედ ამგვარი ფილაქვებით იყო შედგენილი ადრერკინის ხანის ზოგიერთი სამარხიც, რომლებიც ამ ყორღანის ორმოში და ყრილში იყო ჩაშვებული. ასევე ძნელი დასადგენია, ყორღანის აგების ხანას თუ ჩაშვებული სამარხების პერიოდს ეკუთვნის გამომწვარი ალიზის წითელი-ფერის უფორმო ნატეხები, რომლებიც დიდი რაოდენობით გვხვდებოდა სამარხი ორმოს ამავსებელი რიყის ქვისა და მიწის ნარევში თვით ორმოს ძირამდე. საქმე იმაშია, რომ ადრერკინის ხანაში სამარხების ჩაშვების დროს, როგორც ჩანს, ჩაუღწევიათ ყორღანის ორმოს ძირამდე და საფუძვლიანად მოუსუფთავებიათ



სურ. 7. ბერიკლდეები, ყორღან[illegible] ორმო.

კიდეც იგი. ორმოს ძირზე ვიპოვეთ მხოლოდ რელიეფურორნამენტიანი დიდი ზომის თიხის შავპრიალა ჭურჭელი და წყვილი ხარის ჩონჩხების ნაშთები, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქაც შეიძლება ხარებშებმული ეტლით დაკრძალვასთან გვქონდეს საქმე.

გარდა ამისა, ორმოს ძირზე ორი ადამიანის — მოზრდილისა და ბავშვის ძვლების ფრაგმენტებიც აღმოჩნდა.

ყორღანი N 3 გაითხარა N 2 ყორღანის აღმოსავლეთით, მისგან 70 მ დაშორებით. ყრილის სიგრძე — 25 მ, სიგანე — 15 მ, სიმაღლე — 1,5 მ; ორმოს ზომებია: სიგრძე — 3 მ, სიგანე — 2,5 მ, სიღრმე — 2,5 მ. ორმოს აღმოსავლეთ კედელთან აქაც ოვალური მოყვანილობის სამსაფეხურიანი შვერილია დატოვებული, როგორც N 2 ყორღანში. ორმოს ძირზე, სამხრეთ კედელთან იდგა დიდი ზომის სქელკედლიანი შავპრიალა თიხის ჭურჭელი. ორი სხვა ჭურჭლის ფრაგმენტები ეწყო ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან. აღმოჩნდა ხარის ძვლებიც. ადამიანის ჩონჩხს ვერ მივაკვლიეთ; სამარხ ორმოში დიდი რაოდენობით იყო დანახშირებულ-დანაცრებული ხის ნაშთი (სურ. 7).

ყორღანის ყრილში ადრერკინის ხანის ორი სამარხი იყო ჩაშვებული.

N 2 და N 3 ყორღანების ყრილებში სულ 7 ჩაშვებული სამარხი გავთხარეთ. სამი მათგანი ქვიშაქვის ფილებისაგან შედგენილ მცირე ზომის ქვაყუთს წარმოადგენდა. ხელ-ფეხ მოხრილ მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ ლეგა ფერის თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს საკინძები, მინისა და სარდიონის მძივები, ქარვის ნაკეთობანი. ინვენტარით ეს სამარხები ძვ. წ. VII—VI სს. უნდა დათარიღდეს.

1980—81 წლებში ექსპედიციამ გააფართოვა სამუშაოები არადეთის ორგორაზე. გათხრილ იქნა გვიან ბრინჯაოს ხანის ორი სათავსო და ბრინჯაოს ხანის ათეულობით სამარხი. მათ შორის 13 ადრებრინჯაოს ხანისა, 28 გვიან ბრინჯაოს ხანისა და ერთი გვიან ბრინჯაოს ადრეული საფეხურის ყორღანი.

ადრე ბრინჯაოს ხანის სამარხები განლაგებული არიან ჩრდილოეთის გორის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 1—1,50 სიღრმეზე და წარმოადგენენ ოთხკუთხა ფორმის, N—S ორიენტაციის ქვა-მიწაყრილიან ორმოსამარხებს. მათი კედლები ამოშენებულია საშუალო ზომის რიყის ქვებით. გვხვდება როგორც ინდივიდუალური (№ 23, 24, 26, 35), ასევე კოლექტიური (№№ 22, 25, 28, 29) სამარხები. მიცვალებულები წვანან მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით სამხრეთისაკენ.

მოპოვებულ იქნა დიდი რაოდენობით არქეოლოგიური მასალა: შავ და ვარდისფერზედაპირიანი თიხის ჭურჭლები, ბრინჯაოს, პასტის, ანთიმონისა და ქვების მძივები, ვერცხლის, ბრინჯაოსა და ანთიმონის ხვიები, ანთიმონისავე ვოლუტებიანი საკიდი, ბრინჯაოს მახათი, კაჟის ისრისპირი და სხვ.

არქეოლოგიური მასალის პირველადი შესწავლის საფუძველზე შესაძლებლად მიგვაჩნია, სამარხები დავათარიღოთ III ათასწლეულის შუა ხანებით. მასალა ანალოგიურია ქვაცხელებისა და ხიზანაანთგორის C და B ფენებისა.

1980 წელს გაითხარა გვიან ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ყორღანი, რომელიც მდებარეობს სოფელ დოღლაურისკენ მიმავალი გზის დასავლეთით, მისგან 100 მეტრის დაშორებით. ყორღანის ყრილი ოვალურია (სიგრძე — 12 მ, სიგანე — 10 მ, სიმაღლე — 50 სმ). მისი გრძივი ღერძი მიმართულია აღმოსავლეთ დასავლეთისკენ. ყრილზე გავავლეთ ორი ტრანშეა, გრძივი (O—W ორიენტაციისა) და განივი (N—S ორიენტაციისა), რომელთა სიგანე შესაბამისად 2,60 მ.და 2,30 მეტრია. მიწის თხელი ფენის მოხსნის შემდეგ, გამოჩნდა კირნარევ მიწაში არეული რიყის ქვების წყობა: მისი სისქე განაპირა.მხარეებში, იქ, სადაც ყრილი დამარხულ ნიადაგზე დევს, აღწევს 50—60 სმ. ყრილის ნაწილობრივი მოხსნის შემდეგ გამოვლინდა წაგრძელებული, კუთხეებმომრგვალებული დასაკრძალავი ორმო, რომლის დასავლეთი ნაწილი შევიწროვებულია. ორმოს სიღრმე სხვადასხვაა: აღმოსავლეთ ნაწილში — 2,50 მ, დასავლეთ (შევიწროვებულ) ნაწილში — 2,20 მ, აქვე — 1,90 მ. სიღრმეზე დატოვებულია 20—30 სმ სიგანის საფეხური. ორმოს საერთო მოხაზულობა ხელნიანი ეტლის ფორმას იმეორებს. ორმოს კედლებზე ხის სვეტების დანახშირებული კვალია შემორჩენილი. სვეტებს, ალბათ, ორმოს გადახურვის ძელური კონსტრუქცია ეყრდნობოდა. დასაკრძალავი ორმო მთლიანად ამოვსებულია რიყის ქვებით, რის გამოც ინვენტარი და, განსაკუთრებით ადამიანის ჩონჩხი ძლიერ დაზიანებულია. ჩონჩხისაგან, ადგილზე, ყორღანის ცენტრში, შემორჩა მხოლოდ მუხლებში მოხრილი ქვედა კიდურები. რ ი-გორც ჩანს, მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისკენ. ორმოს ცენტრსა და დასავლეთ ნაწილში გაიწმინდა ცხენის ორი ჩონჩხი. ყორ ღ ნში აღმოჩნდა ბრინჯაოს ბორბლისებურსაყბეურიანი ორი ლაგამი. ცხენის აღკაზმულ.ბისათვის გამიზნული ბრინჯაოს კიდევ ხუთი ნივთი, ბრინჯაოს კასრისებური მძივი და შავად გამოშწვარი თიხის ორნამენტირებული 8 ჭურჭელი.

გაითხარა ძვ.წ XI—IX სს. 28 ქვამიწაყრილიანი ორმოსამარხი. ისინი ოვალური ფორმის ორმოებს წარმოადგენენ და ახლოს არიან განლაგებული მიწის ზედაპირთან. სამარხები უმეტესად ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით არიან დამხრობილი. მიცვალებულები დასვენებული არიან კიდურებმოხრილნი მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე თავით ჩრდილოეთისკენ. სამარხისეული ინვენტარი საკმაოდ ღარიბია. ლითონი წარმოდგენილია რკინის სამი სატევრით, რკინის შუბისპირით, ბრინჯაოს სამაჯურებით, საკინძებითა და ბრინჯაოს თითო-ოროლა სხვა ნივთით. თიხის ჭურჭლიდან ძირითადად გვხვდება ლანგრები, სასმისები და ქოთნები. შედარებით დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ბრინჯაოს, სარდიონის, პასტისა და ქვის მძივები. N 4 სამარხში აღმოჩნდა თხელფირფიტოვანი ოქროს სამი მძივი.

გორის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ნაცარგროვასთან გაითხარა II—I ათასწლეულების მიჯნის საცხოვრებელი სათავსო, რომელსაც დასავლეთი მხარე მთელ სიგრძეზე აქვს ჩამოჭრილი საბოცვრე კომპლექსის მშენებლების მიერ. გადარჩენილი ნაწილის ზომებია 2,30 X 5 მ. იატაკი თიხითაა გადალესილი და დამრეცია სამხრეთისაკენ. ნაწილობრივ არის გადარჩენილი სათავსოს აღმოსავლეთი კედელი, რომელიც წარმოადგენს რიყის საშუალო ზომის ქვების ერთფენიან წყობას, და ჩრდილოეთი კედელი, რომელსაც შემორჩენილი აქვს მხოლოდ 10—15 სმ სიმაღლის ალიზის შელესილობა. სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დგას ალიზის საკურთხეველი, მისი ზომებია 70 X 39 X 16 სმ. სათავსოს სამხრეთ ნაწილში აღმოსავლეთ კედლიდან 30 სმ დაშორებით გაიწმინდა თიხის ყურიანი ჭურჭელი. სათავსოს აშკარად ეტყობა ძლიერი ხანძრის კვალი. აქ მოპოვებულ იქნა დიდი რაოდენობით კერამიკული მასალა. სათავსოს აღმოსავლეთით, ამავე სიღრმეზე, მისგან 3 მ დაშორებით გაიწმინდა რიყის ქვების წყობა 4 მ სიგრძის, რომელიც, როგორც ჩანს, წარმოადგენს მეზობელი საცხოვრებელი სათავსოს დასავლეთ კედელს.

გორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, 1979 წელს გათხრილი საცხოვრებელი სათავსოს გვერდზე, გაითხარა IX—VII სს. კიდევ ერთი პურის საცხობიანი სათავსო. დიდძალ კერამიკულ მასალასთან ერთად მოპოვებულ იქნა: თიხის კვირისტავები, კაჟის ნამგლის ჩასართები, სამკაულის ჩამოსასხმელი ქვის ყალიბი და სხვ.

ამ საცხოვრებელი სათავსოსგან 30 მეტრის დაშორებით 22 X 10 მ ფართობზე ექსპედიციამ გათხარა ადრე და გვიან ბრინჯაოს ხანის რამდენიმე კულტურული ფენა და ბრინჯაოს სხვადასხვა პერიოდების 4 ორმო, მათ შორის ერთი შუა ბრინჯაოს ხანისაა. მოპოვებული დიდი რაოდენობის მასალიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს ხელშუბისპირი და ბრინჯაოსავე ყუადაქანებული ცული.

Ю. М. ГАГОШИДЗЕ, И. Д. КОРИДЗЕ, А. П. ГОГИЧАИШВИЛИ

ОТЧЕТ ПОЛЕВЫХ РАБОТ ШИДАКАРТЛИЙСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ЗА 1979—1981 ГОДЫ

Резюме

Шидакартлийская археологическая экспедиция в 1979 г. вела раскопки на двух памятниках, выявленных в результате дешифрирования аэрофотоснимков окрестностей Дедоплис миндори в Карельском районе.

Одному из этих памятников — селищу и могильнику эпохи бронзы-Арадетис оргора — грозило частичное уничтожение в процессе строительства кролиководческого комплекса. Строительные работы по требованию Музея были прекращены до окончания раскопочных работ.

На селище, которое расположено у слияния рек Пца и Мтквари и площадь которого превышает 2 га, в отчетном году раскопаны культурный слой эпохи ранней бронзы и жилое здание с печкой и алтарем IX—VII вв. до н.э.

На могильнике, расположенном к северу от селища, раскопано 13 грунтовых погребений конца II — начала I тыс. до н.э. Погребения перекрыты невысокими каменными или земляными насыпями: В непотревоженных погребениях было по одному скелету, уложенному набок с согнутыми конечностями в сопровождении небогатого инвентаря (один-два керамических сосуда, булавки, височные подвески, бусы). Только погребение № 7 оказалось парным. В нем расчищен скелет воина с дротиком в правой руке, а под ним — захоронение раба или пленного, без инвентаря.

Экспедиция раскопала также три небольших кургана с каменными насыпями в местности Бериклдееби, на левом, высоком берегу р. Мтквари, восточнее устья р. Проне.

В кургане № 1 обнаружены остатки четырехколесной повозки, на которую был уложен покойник, Погребальный инвентарь состоит из бронзового клинка кинжала, обложенной серебром бронзовой булавки, сердоликовых бус, массивного обсидианового отщепа и чернолощеной керамики, характерной для триалетской (беденской) культуры эпохи ранней бронзы. К тому же периоду относится и курган № 2, тогда как курган № 3, судя по керамике, следует датировать эпохой средней бронзы. Однако конструкция кургана и обряд захоронения тождественны с курганами № 1 и № 2.

В насыпях курганов № 2 и № 3 изучены нами семь впускных погребений VII—VI вв. до н.э. В 1980—1981 годах экспедицией на территории строящегося кролиководческого комплекса раскопано 13 погребений эпохи ранней бронзы, содержащих инвентарь — керамику, украшения из серебра, бронзы, сердолика, кремневые наконечники стрел и т.п., — аналогичный материалам из слоев С и В Квацхела — памятника куро-араксской культуры.

28 грунтовых погребений, раскопанных там же, дали небогатый материал, характерный для эпохи поздней бронзы и раннего железа II—I тыс. до н.э.

Севернее селища в 1980 году был раскопан небольшой курган раннего этапа поздней бронзы, в котором оказалось захоронение с колесницей, запряженной двумя лошадьми. В кургане найдены бронзовые удила с колесовидными псалиями, бронзовые части колесницы, бусы, 8 чернолощеных орнаментированных керамических сосудов.

На селище в 1980—1981 годах раскопано несколько жилищ эпохи поздней бронзы — раннего железа, остатки строений куро-араксской культуры и несколько хозяйственных ям, давших материалы ранней и средней бронзы, в том числе бронзовый вислообушный топор.

მ. სინაურიძე, ლ. გვრიტიშვილი

1980—81 წწ. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში

(ტაბ. XIV, XV)

საანგარიშო წელს ექსპედიციის ძირითად მიზანს შეადგენდა ქ. მადნეულში მშენებარე შადრევნიანი პარკის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების შესწავლა. 1978—1979 წწ. აქ, როგორც ცნობილია, გამოვლინდა რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ძეგლი: გვიანბრინჯაოს და ადრერკინის ხანის სამარხები, შუა საუკუნეების სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობანი და სხვ. თავის დროზე ამ ძეგლების მხოლოდ ერთი ნაწილის შესწავლა მოხერხდა.

1980 წ. ოქტომბრიდან კაზრეთის ექსპედიცია კვლავ შეუდგა შადრევნის გარშემო არსებული ძეგლების შესწავლას. წინასწარი სამუშაოების ჩატარების შედეგად ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო, რომ არქეოლოგიური ძეგლები მშენებარე პარკის ტერიტორიაზე განლაგებულია დიდი სიხშირით. ვინაიდან მუზეუმის მიერ გამოყოფილი თანხა საკმარისი არ იყო ამ ტერიტორიის მთლიანად შესწავლისათვის, გათხრები დავიწყეთ იქ, სადაც მიწის სამუშაოებს უნდა დაეზიანებინათ ძეგლი. ამავე დროს განვაგრძეთ ზრუნვა იმისათვის, რომ მშენებლებს გამოეყოთ სათანადო თანხა გათხრების საწარმოებლად.

ამრიგად, სამუშაო ობიექტებად შერჩეულ იქნა პარკის NW და O სექტორები.

პარკის NW ნაწილში გავლებულ იქნა სამი სადაზვერვო თხრილი 1,5 X 3 მ თითოეული. ამ თხრილებში გამოვლინდა შუა საუკუნეების ნასახლარის ნაშთი. სამწუხაროდ, სამოსახლო, რომელიც საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს შეიცავს, შემორჩენილია ფრაგმენტულად. აქა-იქ კედლები ირკვევა, მაგრამ ძირითადად გამოვლენილია საძირკვლებისა და კედლების უსისტემო ნაშთები: საძირკვლები რიყის ქვისა ყოფილა, კედლები ამოყვანილია ნათალი და ნაგლეჯი ქვებით. საშენი ქვა მოსახლეობას აქვე არსებულ ძველ სამაროვანზე მოუპოვებია. საყურადღებოა ნაგებობის ფრაგმენტი, რომელშიც ჩადგმული იყო სამი ქვევრის ძირი. ნასახლარის კულტურულ ფენებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ძლიერ მცირერიცხოვანია. ეს არის ძირითადად ნასახლარზე ადრეული ხანის სამაროვნიდან მომდინარე კერამიკა, რომელიც ანტიკური და რკინის ფართო ათვისების ხანით თარიღდება. შუა საუკუნეების მასალებიდან აღსანიშნავია ქვევრებისა და ქოცოების ნატეხები და ერთი ვარდისფრად გამომწვარი ჭურჭლის პირის ნატეხი. მიუხედავად მასალის ასეთი სიმწირისა შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ნასახლარის უძველესი ფენა ადრე შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ამრიგად, ადრე შუა საუკუნეების სამოსახლო გაუშენებიათ გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის სამაროვანზე. ამ სამაროვანს ჩვენ პირობით „თელების ველის სამაროვანი“ ვუწოდეთ, რადგანაც როგორც დავადგინეთ, ადგილობრივი მოსახლეობა მაშავრის პირა ქარაფის თავს (სადაც რამდენიმე წელია მიმდინარეობს ჩვენი სამუშაოები) ამ სახელით იცნობს.

„თელების ველის სამაროვნის“ ერთი მონაკვეთი შემორჩენილია NW უბნის სამხრეთ ნაწილში. ამ ადგილას შემორჩენილი სამარხებიდან შევისწავლეთ ოთხი სამარხი.

ს ა მ ა რ ხ ი № 1 (ტაბ. XIV$_1$). აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე; სამარხის ორმო კუთხეებმომრგვალებულ სწორკუთხედს წარმოადგენს. მიცვალებულის ჩონჩხისა და ინვენტარის განლაგების მიხედვით მისი ზომებია 1,1x0,65 მ. სამარხი დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მიცვალებული დაკრძალულია მარცხენა გვერდზე მოხრილი ზედა და ქვედა კიდურებით, თავით სამხრეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა თიხის ხუთი ჭურჭელი და ბრინჯაოს ორი საკინძი (სურ. 1).



სურ. 1. a, № 1 სამარხის ინვენტარი; в, № 3 სამარხის ინვენტარი; c. თიხის ჭურჭელი დაშლილი სამარხიდან; d. № 4 სამარხის ინვენტარი.

დოქი და ხელადა მიცვალებულს ედგა ფეხებთან, ჯამი — თავთან, ხელში ეჭირა ფიალა. საკინძები ეკეთა გულმკერდის არეში. სამარხი № 2 აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან

1 მ სიღრმეზე. სამარხის ორმო წარმოადგენს კუთხეებმომრგვალებულ სწორკუთხედს, რომლის ზომებია 1 მ X 0,7 მ. სამარხი დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მიცვალებულის ჩონჩხი ცუდათაა დაცული. მიუხედავად ამისა, დაკრძალვის პოზა გარკვევით ჩანს. მიცვალებული წევს მარცხენა გვერდზე, მოხრილი ზედა და ქვედა კიდურებით, თავით სამხრეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა თიხის ხუთი ჭურჭელი და ბრინჯაოს ორი საკინძი (სურ. 2a). ერთი დოქი იდო სამარხის ბოლოში, მეორე დოქი, ხელადა და ფიალა მიცვალებულს გვერდით ედგა, ჯამი კი — თავთან. საკინძები აღმოჩნდა მკერდის არეში.

სამარხი № 3 (ტაბ. XV, I) აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,8 მ. სამარხს ზემოდან ეფარა მცირე ზომის ქვებისაგან შედგენილი ქვაყრილი. ორმო წარმოადგენდა კუთხეებმომრგვალებულ სწორკუთხედს, რომლის ზომებია 1,1 X 0,7 მ. სამარხი დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ორმოს თავსა და ბოლოში დევს თითო ქვა. მიცვალებული დაკრძალულია მარცხენა გვერდზე, მოხრილი ზედა და ქვედა კიდურებით, თავით სამხრეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა თიხის სამი ჭურჭელი და ერთი საკინძი (სურ. 1в). ჭურჭელი — ხელადა და ორი ჯამი აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან, ხოლო თავგამსხვილებული საკინძი — გულმკერდის არეში.

სამარხი № 4 აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,1 მ. სამარხი ძლიერ დაზიანებული იყო. მიცვალებულის ძვლები, ფილაქვების ნატეხები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ერთმანეთში იყო არეული. მიუხედავად ამისა, დაკრძალვის პოზის დადგენა ხერხდება. მიცვალებული დაკრძალულია მარცხენა გვერდზე მოხრილი ზედა და ქვედა კიდურებით, თავით სამხრეთისაკენ. ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა ხელადის, ჯამისა და ფიალის ნატეხები (სურ. 1d). სამარხი № 5 (ტაბ. XIV$_1$) აღმოჩნდა შადრევნის აღმოსავლეთ მხარეს. იგი წარმოადგენს კლდის დიდი ფლეთილი ქვებით ნაგებ ქვაყუთს, რომლის შიდა ზომებია 1,6 X 1,15 მ, სიღრმე — 0,9 მ. სამარხი დამხრობილია აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთისაკენ. იგი თავახდილი იყო. სავარაუდოა, რომ სახურავის ქვები მიწის გადახვნის დროს დაზიანდა. კედლის ზოგიერთი ქვაც დაძრულია პირვანდელი მდგომარეობიდან (გადახრილია სამარხის შიგნით). სამარხის პრეპარაციის პროცესში, ვიდრე მიცვალებულის ჩონჩხი გამოჩნდებოდა, ამოდიოდა ადამიანის ძვლების ფრაგმენტები და წითლად შეღებილი თიხის ჭურჭელის ნატეხები. სამარხის იატაკზე აღმოჩნდა სამი მიცვალებულის ჩონჩხი. ამათგან ორი დაკრძალულია სამარხის ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ თავით აღმოსავლეთისაკენ. მათი ჩონჩხის ძვლები დაზიანებული და არეულია, რის გამოც დაკრძალვის პოზის დადგენა არ ხერხდება. რაც შეეხება მესამე მიცვალებულს, იგი დაკრძალულია სამარხის სამხრეთი კედლის გასწვრივ მარცხენა გვერდზე, მოხრილი ქვედა და ზედა კიდურებით, თავით აღმოსავლეთისაკენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პირველი და მეორე მიცვალებულების ძვლები განზრახ მიწეულია სამარხის ჩრდილოეთ კედელთან, რათა მესამე მიცვალებულისათვის დაეთმოთ ადგილი.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა წითლად შეღებილი ხელადის ნატეხები, რკინის შუბისპირი, რკინის მოხრილი დანა, ბრინჯაოს პატარა ზარაკი, ვერცხლის მცირე ზომის რგოლი, მინის ანტროპომორფული მძივი, ბრინჯაოს მცირე ზომის ორი რგოლი და მინის რამდენიმე ცალი შავი იოტი (სურ. 2b).

შადრევნის აღმოსავლეთით ორმოცდაათი მეტრის დაშორებით მშენებლებმა გაჭრეს კანალიზაციის მილებისათვის არხი, რის შედეგადაც დაზიანდა გვიანბრინჯაო — ადრერკინის და ფეოდალური ხანის კულტურული ფენები. არხის სამხრეთი კედლის ჭრილში შეიმჩნეოდა კარგად გათლილი ფილაქვა, კლდის ქვებისაგან ნაგები კედლის წყობა და ადამიანის ძვლების ფრაგმენტები. კულტურული ფენის გაწმენდი-



სურ. 2. ა. № 2 სამარხის ინვენტარი; ბ. № 5 სამარხის ინვენტარი.

სას გაირკვა, რომ ყოველივე ეს უკანასკნელი წარმოადგენს დაზიანებული ქვაყუთის ნაშთს (№6). სამარხიდან შემორჩენილია სამხრეთი (0,6 X 0,2 მ-ზე) და დასავლეთი (0,7 მ X 0,6 მ-ზე) კედლები. სამხრეთი კედელი ნაგებია კლდის ფლეთილი ქვებით, ხოლო დასავლეთი — კარგად გათლილი ფიქალით. სამარხი დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ქვაყუთის თიხატკეპნილ იატაკზე აღმოჩნდა ადამიანის რამდენიმე ძვლის ფრაგმენტი, რკინის ნივთის ძლიერ დაჟანგული ნატეხი და შავი და ლურჯი ფერის მინის რამდენიმე მძივი.

ამავე თხრილის ჩრდილო კედელთან დაზიანებული სამარხის აღმოსავლეთით ორი მეტრის დაშორებით აღმოჩნდა დანგრეული ორმოსამარხი № 7, საიდანაც ამოვკრიფეთ სხვადასხვა ფერის მინის, აგრეთვე მინისებრი პასტის მძივები და ბრინჯაოს რგოლი.

აღნიშნული სამარხებიდან №№ 1, 2, 3, 4 მათში მოპოვებული ინვენტარის მიხედვით (ლითონი, კერამიკა) ახლო მსგავსებას პოულობენ დმანისის ნეკროპოლის სამარხებთან და შესაბამისად შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით. № 5 სამარხის მასალა (წითლად შეღებილი ხელადა, ბრინჯაოს ზარაკი, რკინის მოხრილი დანა, მინის ანთროპომორფული მძივი) დამახასიათებელია ელინისტური ხანისათვის და ძვ. წ. IV—III სს. თარიღდება.

№№ 6, 7 სამარხები ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ დამხრობა და მათში აღმოჩენილი ნივთები (ბრინჯაოს საყურე რგოლი, მძივები) მიგვითითებს, რომ ისინი ფეოდალურ ხანას განეკუთვნება.

1981 წლის გაზაფხულზე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით კვლავ დავიწყეთ გათხრები. ამჯერად სამუშაოები მიმდინარეობდა პარკის ტერიტორიის SO ნაწილში. მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩატარდა აგრეთვე საკაბელე ჯიხურთან.

პარკის ეს ნაწილი არაერთგზის ყოფილა გადახნული. ამას გარდა, ცხრასართულიანი სახლების მშენებლობის დროს აქ გზა გაუყვანიათ და მიწა მოუსწორებიათ. ჩვენ პირაღებით გავწმინდეთ სამარხების შემცველი მთელი ფართობი. სულ გამოვლინდა რვა სამარხი (№№ 8, 9, 12, 13, 14, 15, 16, 17). სამარხები სხვადასხვაგვარი იყო. სამი წარმოადგენდა ბრტყელი ქვებისაგან შეკრულ ქვაყუთებს, დანარჩენი მასიური ფლეთილი და რიყის წვრილი ქვებით შემოზღუდული მოზრდილი ფართობების შიგნით მოქცეული ორმოსამარხებია. ზოგიერთ მათგანს ეფარა მასიური ქვის ფილები. ზედა ფენის დარღვევის გამო ვერ ვიტყვით, ჰქონდათ თუ არა ამ ორმოსამარხებს ქვაყრილები ზემოდანაც და რა კონფიგურაციისა იყო ეს ყრილები. შემონახული ქვაყრილების მიხედვით რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი წრიული არ უნდა ყოფილიყო და უფრო ორმოს კონტურის მიხედვით იგებოდა.

პარკის SO ნაწილში არსებული სამარხებიდან განვიხილავთ სანიმუშოდ № 8 ქვაყუთსა და № 15 ქვაყრილიან ორმოსამარხს.

ს ა მ ა რ ხ ი № 8. წარმოადგენს ოთხი სქელი ფილისაგან შეკრულ ოთხკუთხა ყუთს, რომლის ზომებია 1,40 X 0,85 მ. ფილების სისქე — 8—12 სმ. სამარხი დამხრობილია NW—SO. სამარხი ხელყოფილი იყო. მიუხედავად ამისა, კარგად ჩანს, რომ სამარხში დაკრძალული ყოფილა ორი მიცვალებული. სამარხის სამხრეთ კედელთან აღმოჩნდა ერთი მიცვალებულის თავის ქალა. ჩონჩხის დანარჩენი ნაწილები იდო სამარხის მთელ სიგრძეზე, ისეთ მდგომარეობაში, როგორიც გვავარაუდებინებს, რომ მიცვალებული დაკრძალული ყოფილა მარცხენა გვერდზე კიდურებმოხრილი. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დაკრძალული იყო მეორე მიცვალებული. სავარაუდოა, რომ ეს მიცვალებული მჯდომარე პოზაში იყო დაკრძალული, რადგან მისი ჩონჩხის ძვლები ერთმანეთზე იდო ამ პოზის შესაბამისად, ხოლო თავის ქალა წინ იყო გადავარდნილი.

სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა პატარა კოჭობი. ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაპირქვავებული იყო წითლად გამომწვარი დიდმუცლიანი დოქი. აქვე. შედარებით ზედა ფენაში აღმოჩნდა წვერით სამარხში ჩარჭობილი რკინის შუბისპირი.



სურ. 3. a. სამარხი № 17;
в. სამარხი № 15.

ს ა მ ა რ ხ ი № 15. აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 40 სმ სიღრმეზე. სამარხი წარმოადგენს სწორკუთხა მოყვანილობის ორმოს, რომელსაც გვერდებზე აქა-იქ შემოუყვება მოხრდილი ქვები. ორმოსამარხი დამხრობილია NW—SO მიმართულებით. სამარხის ზომებია 177 X 130 სმ. სამარხში აღმოჩნდა 5 მიცვალებულის ჩონჩხი, რომელთაგან ორი მიცვალებულის ნაშთი მიხვეტილი იყო სამარხის ჩრდილო ნაწილის დასავლეთ კუთხეში, ორის კი — მეხუთე (მთავარი) მიცვალებულის ზურგის

გაყოლებით. მეხუთე მიცვალებული დამხრობილია NW—SO ხაზზე მარცხენა გვერდზე. სახით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებულის ქვედა კიდურები ოდნავ მოკეცილია. მარჯვენა ხელის მტევანი ედო ბარძაყზე, ხოლო მარცხენა სახესთან ჰქონდა მიტანილი.

სამარხში აღმოჩნდა თიხის ოთხი ჭურჭელი. ბრინჯაოსა და რკინის სამაჯური, რკინის სასხლავი (?). სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივები. ეს ინვენტარი მხოლოდ მეხუთე მიცვალებულის კუთვნილებაა.

ბორკის SO სექტორში გათხრილი სამარხები დაკრძალვის წესისა და ინვენტარის მიხედვით თანადროულია 1980 წ. შესწავლილი № 5 სამარხთან და უშუალო ანალოგიებს პოულობს IV—III სს. გავრცელებულ ინვენტართან. № 8 სამარხში აღმოჩენილი ჩაპირქვავებული დოქისა და წვერით ჩარჭობილი ისრისპირი გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული აღაპის შესრულების წესთან.

ექსპედიციამ დაზვერვები ჩაატარა დაბა მადნეულის მიდამოებში. მოახდინა გვიანი შუა საუკუნეების წყაროებში მოხსენიებული სოფელ რატევნის ლოკალიზაცია და დაადგინა, რომ მას დღევანდელი რატევნის ჩრდილო ნაწილი ეკავა ე.წ. „საკმის წყაროს" ხევის ორივე მხარეს. ადგილობრივი მოსახლეობა სოფლის ამ ნაწილს „ძველ რატევანს" უწოდებს განსხვავებით ახალი რატევნისაგან, რომელიც სამანქანო გზის გასწვრივაა გაშენებული.

ძველი რატევნის ტეოიტორიაზე შემორჩენილია ორი ეკლესია. ერთი მათგანი ღვთისმშობლის სახელობისა — ფეოდალი კლდის ქვით ნაგები დარბაზული ტიპის მცირე ზომის საკმაოდ უსახო ეკლესია — მდებარეობს სოფლის თანამედროვე სასაფლაოზე. მეორე ეკლესია — წმ. გიორგის სახელობისა — უკეთაა დაცული და მდებარეობს „კვირაცხოვლის ფერდას" ბოლოში შემაღლებულ ბორცვზე. იგი დარბაზული ტიპისაა, ნაგებია რუხი ფერის თლილი ქვით. ჩრდილო მინაშენის ჩრდილო კედელში ჩატანებულია ადრე შუა საუკუნეების ტუფის ბაზა (ზომები: 0.88 X 0.88 X 0.67 მ). რომლის ეთი წახნაგი ბოლნურჯვრიანი მედალიონითაა შემკული. „საკმის წყაროს" ხევში, ნასოფლარის ჩრდილოეთით თანამედროვე წყალსადენის აუზის ზემოთ თლილი ქვით ნაგები ქვისაგე როფიანი წყაროა. მის ჩრდილო-აღმოსავლეთით ძველი წყაროს ნაშთიც შეიმჩნევა. წყალი მოყვანილია ქვიტკირში ჩასმული თიხის მილებით. წყალსადენის ტოასაზე ქვის რამდენიმე თანგირი შეიმჩნევა.

თბილისი-კაზოეთის გზის გასწვრივ მარცხენა მხარეს საკოლმეურნეო კანტორის მშენებლობის დროს აღმოჩნდა შუა საუკუნეების მარანი (ტაბ. XV_2). ეს ძეგლი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო თანადროულ ძეგლებთან, რომელთა ნაშთები დაზვერვების შედეგად აღმოჩნდა მაშავრის მარცხენა ნაპირზე.

ექსპედიციამ მოახდინა, აგრეთვე, ნასოფლარი ახალშნის ლოკალიზაცია. დღევანდელი დაბა მადნეულის (კაზრეთის) მოსახლეობაში დავადასტურეთ ტოპონიმი „ახალშნის ხევი" ბოლნის-დმანისის სამანქანო გზის მარჯვენა მხარეს, მადნეულის პირდაპირ (რესტორნის მიდამოებში). ამან კი საშუალება მოგვცა თვით ნასოფლარისათვის მიგვეკვლია, რაზედაც ამჟამად ნასახლართა კვალი მიგვანიშნებს. „ახალშნის ხევში" ძველი არხის აკვედუკიც ვნახეთ. ეს ის არხი უნდა იყოს ერასტი მდივანბეგს რომ გამოუღია მდინარე მაშავერადან XVIII საუკუნეში.

М. СИНАУРИДЗЕ, Л. ГВРИТИШВИЛИ

ОТЧЕТ КАЗРЕТСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ 1980 — 1981 гг.

Резюме

(табл. XIV, XV)

В отчетном году основной задачей Казретской археологической экспедиции было изучение археологических памятников, находящихся на территории города, а именно — строящегося парка с фонтаном. Выявленные здесь в 1978 — 1979 гг. в процессе строительных работ погребения, а также жилые и хозяйственные сооружения в силу обстоятельств были изучены лишь частично.

В 1980 г. работы были проведены одновременно на нескольких участках парка. По-видимому, начиная с позднебронзовой эпохи территория нынешнего парка, именуемая местным населением «Телебис-зели» (в переводе «долина вязов»), представляла собой могильник, использованный и в средневековье. К этой последней эпохе относятся обнаруженные тут остатки фундаментов и стен хозяйственных сооружений, винные кувшины, давильни для винограда, ямы-зернохранилища, а также бассейны для хранения запаса воды.

В NW и O секторах парка было изучено семь погребений: четыре — позднебронзовой и раннежелезной, одно эллинистической и два среднефеодальной эпох; в SO секторе же — восемь погребений эллинистической эпохи. Погребения позднебронзовой и раннежелезной эпох представляли собой могильные ямы с сооруженной над ними каменной насыпью, дошедшей до нас в разрушенном виде. Покойник в них уложен на левом боку с согнутыми конечностями, головой на юг. Инвентарь состоит из черных и серых глиняных сосудов — кувшинов, мисок, чаш и бронзовых булавок с конусообразно утолщенными головками. По аналогичному материалу из Дманисского и Гантиадского некрополей и других памятников Грузии и Закавказья эти погребения датируются VIII — VII вв. до н.э.

Погребения эллинистической эпохи — двух типов: одни сооружены из рваных и булыжных камней и покрыты массивными плитами, другие представляют собой четырехугольные каменные ящики небольших размеров, сооруженные из известковых плит. В этих погребениях обычно были захоронены два и больше покойников, уложенных на боку, с согнутой, а также в сидящей позе. В некоторых из них обнаружены следы погребальной тризмы. Инвентарь этих погребений состоял из глиняных краснокрашенных, а иногда и лощеных сосудов, бронзовых колокольчиков, браслетов, железных ножей и копий, разных бус (в том числе стеклянная буса антропоморфной формы) и пр. предметовв, датирующихся IV — III вв. до н.э.

В отчетных годах были проведены разведочные работы в окрестностях г. Маднеули, где был локализован топоним «Ахалшиис-Хеви», поблизости которого обнаружен акведук древнего оросительного канала, проведенного из р. Машавера, по-видимому Эрасти Орбелиани в XVIII в.; Ратевани, упоминаемое в средневековых источниках, было локализировано севернее нынешнего одноименного села, по обе стороны ущелья «Сакмис-хеви», где были зафиксированы две церкви, в одной из которых обнаружена база стелы с высеченным равноконечным крестом. Поблизости зафиксирован водопровод из глиняных труб, проведенный к селу.

ნ. აფხაზავა, ი. გაგოშიძე, კ. გოცაძე

შიდაქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ქსნის ხეობის რაზმის 1981 წლის მუშაობის შედეგები

(ტაბ. XVI—XVII)

1981 წლის მარტის თვის მიწურულს ლენინგორის ექსკურსიებისა და მოგზაურობის ბიურო მეთოდისტმა ვლადიმერ ღუნაშვილმა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოიტანა შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა — ვერცხლის 9 სასანური მონეტა და სხვადასხვა სახის სამკაული[1]. არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა ლენინგორის რაიონის სოფ. ქვ. ალევში მეცხოველეობის ფერმის შენობის გასაფართოებლად მიწის სამუშაოების ჩატარებისას. ბულდოზერს დაუზიანებია სამი სამარხი. ადგილობრივ მცხოვრებლებს ერთ-ერთი მათგანიდან, რომელიც ჩვენ შემდგომში პირობითად № 1 სამარხად მივიჩნიეთ, ზემოთ ნახსენები ნივთები ამოუღიათ. სამარხში დაკრძალული ყოფილა ზრდასრული ორი მიცვალებული, დანარჩენ ორ სამარხში კი თითქოს მხოლოდ მიცვალებულთა ძვლები დადასტურდა (შემდგომმა მუშაობამ გვიჩვენა, რომ ერთ-ერთ მათგანში ნივთიერი მასალაც უნდა ყოფილიყო).

მუზეუმში მოხვედრილი ნივთიერი მასალა იმთავითვე საინტერესოდ და სენსაციურადაც კი გამოიყურებოდა. სამკაულის უმეტესობას მრავალი ანალოგი მოეძებნება მცხეთა-სამთავროში, არმაზისხევში, რუსთავში, ურბნისში და სხვა ადრეშუასაუკუნეთა ძეგლებზე, მაგრამ თითქმის დაუჯერებელი ჩანდა 9 ვერცხლის სასანური მონეტის აღმოჩენა ადრეშუასაუკუნეთა ერთ სამარხში (არქეოლოგიური გათხრების შედეგად ეს ეჭვი ჩვენ გაგვეფანტა). ამიტომ შემთხვევითი აღმოჩენის ადგილს იმავე დღესვე ვ. ღუნაშვილთან ერთად გაემგზავრნენ მუზეუმის თანამშრომლები ი. გაგოშიძე და ნ. აფხაზავა.

აღმოჩენის ადგილის დათვალიერებისას დავრწმუნდით, რომ საქმე უნდა გვქონოდა მოზრდილ სამაროვანთან. ისიც გაირკვა, რომ ამ ადგილას შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები ადრეც ხდებოდა, თუმცა ნივთიერ მასალას მკვლევარებამდე არასოდეს მოუღწევია. მონათხრობისა და თვითმხილველთა აღწერის მიხედვით, ქსნის ხეობის მკვლევარ ჯ. გვასალიას შესასწავლი სამაროვანი ანტიკური ხანისად (უფრო ზუსტად გვიანანტიკური ხანისად) მიუჩნევია[2].

სამაროვნის მდებარეობის ადგილს ქვ. ალეველები „გრძელებს" ეძახიან[3]. იგი ქსნის მარცხენა შენაკადის მდ. ალეურას მარჯვენა ნაპირას, სოფლის აღმო-

---

[1] მონეტები ისტ. მეცნ. კანდიდატის სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების თანამშრომლის მ. წოწელიას განსაზღვრით მოჭრილია კავადის, ბალაშის და ხოსრო I სახელით.

[2] ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967, რუკა I, II, III, IV.

[3] ეს მიკროტოპონიმი გავრცელებულია ქართლში. იხ. ა ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, მცხეთის ტოპონიმია.

სავლეთით, ფერდობზეა განლაგებული. სამაროვნის დასავლეთით მდებარეობს ფერმის შენობა, ჩრდილოეთით მავთულის ღობით შემოღობილი სათიბი, ხოლო სამხრეთით შარაგზა. გახსნილი სამარხებიდან (ქვაყუთებიდან) ორი N 2 და N 3 სამაროვნის აღმოსავლეთით მდებარეობს, ხოლო ერთი (N 1) მოშორებით, დასავლეთით, როგორც შემდეგ გაირკვა, სამაროვნის დღემდე გათხრილი ფართობის დაახლოებით შუა ნაწილში.

აპრილის თვის დასაწყისში ქვ. ალევში სადაზვერვო გათხრების ჩასატარებლად გაიგზავნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური რაზმი ამ ანგარიშის ავტორთა შემადგენლობით. დაზვერვებში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ძეგლთა დაცვის სამმართველოს არქეოლოგიის განყოფილების გამგემ ბ. მჭედლიშვილმა. სამაროვანი აზომა სახელმწიფო მუზეუმის სპელეისტური ლაბორატორიის უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. ბახტაძემ. აპრილის თვეში რაზმმა შეისწავლა 16 სამარხი (რა თქმა უნდა, მოსინჯულ იქნა გაძარცული 3 სამარხიც).

15 აპრილს დროებით შეწყვეტილი სამუშაოები განვაახლეთ და სამაროვნის შესწავლა გავაგრძელეთ 15 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე. ამ დროს გაითხარა 16 სამარხი. ე.ი. დღეისათვის სამაროვანზე გათხრილია სულ 35 სამარხი. რა თქმა უნდა, შესწავლილია სამაროვნის მხოლოდ ნაწილი. დღეს დაბეჯითებით ძნელია იმის თქმა, რა ფართობი უკავია მას. კარგადაა გამოკვეთილი სამაროვნის დასავლეთი და აღმოსავლეთი საზღვრები, ასე თუ ისე დგინდება სამხრეთის საზღვარიც, მაგრამ ჩრდილოეთის ნაპირის დადგენა ჯერჯერობით არ მოხერხდა: აქ ფართო სათიბია და ზედაპირული დაკვირვება ეჭვაფერს იძლევა. შედეგს მხოლოდ სამაროვნის სრული შესწავლის შემდეგ მივიღებთ. ამიტომ ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა დიდი ნაწილი, ცხადია, წინასწარულია, მაგრამ დღეისათვის უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვ. ალევის სამაროვნის სახით ხელთა გვაქვს მნიშვნელოვანი ისტორიული ინფორმაციის შემცველი არქეოლოგიური ძეგლი. ზოგადად იგი ტიპიური ადრეულ შუა საუკუნეთა აღმოსავლურ-ქართული სამაროვანია (ბარის ცივილიზაციის დომინირებით) და მისი მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ იგი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ბარიდან მთიანეთში გარდამავალ ზოლში. (სურ. 1, ტაბ. XVI).

35 გათხრილი სამარხიდან 33 ქვაყუთია, 2 კი ხის სარკოფაგი (NN 33, 35). სამარხთა ორთავე ტიპი კარგადაა წარმოდგენილი ქართულ არქეოლოგიურ მასალებში, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ალევური „ხის სარკოფაგები" უფრო მოგვიანონი ჩანან, ვიდრე ზღუდრის ან ურბნული და ისინი VI—VII სს-ის მიჯნას ან VII ს-ის დასაწყისს უნდა განეკუთვნონ.

როგორც ქვის სამარხები, ისე „ხის სარკოფაგები" მეტ-ნაკლები გადახრით დამხრობილნი არიან დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე, რაც ტიპიურია ადრეშუასაუკუნეთა აღმოსავლურ ქართული სამაროვნებისათვის. საინტერესოა N 34 ქვის სამარხი, რომელიც ფაქტიურად ერთმანეთზე გადაბმულ ორ დამოუკიდებელ ქვის სამარხს წარმოადგენს. მსგავსს ჩვენ არ ვიცნობთ ადრეშუასაუკუნეთა სხვა სამაროვნებიდან. სამარხები საკმაოდ მჭიდროდაა განლაგებული, ფერდობის დახრილობის შესაბამისად, მათ შორის რაიმე პრინციპული სტრატიგრაფიული ურთიერთგანლაგება არ შეიმჩნევა. ჯერჯერობით მიღებული მონაცემებით, სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სამარხები შედარებით ადრეული ჩანს, სამაროვნის დასავლეთით კი გამოიყოფა სამარხთა მცირე ჯგუფი (12,13,24), რომლებსაც უფრო მოგვიანო ნიშნები ახასიათებს. მაგალითად, N 12 სამარხში დადასტურდა ბიზანტიური (ჰერაკლე კეისრის) ვერცხლის მონეტა და შავი მინის ბეჭდები. ამასთან მონეტა აღმოჩნდა უძრავ მიცვალებულის ქვეშ, ხოლო მინის ბეჭდები დასავლეთისკენ მიხვრეტილ ჩონჩხთან. დღესდღეობით სამაროვნის ცენტრალურ ნაწილში მხოლოდ სასანური მონეტებია აღ-



ქვ. ალევის სამაროვნის გეგმა

სურ. 1. ქვემო ალევის სამაროვნის სიტუაციური გეგმა

მოჩენილი; სამარხთა აღმოსავლეთით მდებარე ჯგუფში კი ჯერჯერობით არცერთი მონეტა არ დადასტურებულა. აქვე გაითხარა „ხის საროფაგებიც", რომლებიც გარკვეულად ადრეულობის ნიშანს უნდა წარმოადგენდნენ. დღესდღეობით ალევის სამაროვანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონით არ ხასიათდება და ერთი საუკუნის ფარგლებში ექცევა — VI—VII სს-ის მიჯნიდან VII საუკუნის დასასრულამდე.

საინტერესოა სამაროვანზე გავრცელებული დაკრძალვის წესის ანალიზი. იგი მიუთითებს, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში ქსნის ხეობაში ქრისტიანობა მძლავრად ყოფილა ფეხმოკიდებული. მამაკაცთა აბსოლუტური უმეტესობა ქრისტიანული წესითაა დაკრძალული — ზურგზე გაშოტილი, ხელებით წელის ან მკერდის არეში. ამავე დროს ქალთა და ბავშვთა უმეტესი ნაწილი „წარმართულად". უმეტესად მარჯვენა გვერდზე და ხელფეხმოკეცილი მარხია (იხ. ტაბ. XVII).

ანალოგიური სურათი, როცა სხვადასხვა სქესის წარმომადგენელნი სხვადასხვა წესით იკრძალებიან, დადასტურებულია მოდინახესა და იახსარის ცოტა უფრო ადრეულ (IV—VI სს.) სამაროვნებზე. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა ნარატულ წყაროთა ის ცნობები, თუ რაოდენ რთულად და ხანგრძლივად იკვლევდა გზას ქრისტიანობა „წვრილ ერში" — ქართველი ხალხის შედარებით დაბალ ფენებში. საინტერესოა, რომ წარმართობის გადმონაშთების გამომხატველი სხვა ნიშნებიც უმეტესად ქალებთან ან გოგონათა დაკრძალვასთანაა დადასტურებული. კერძოდ N 15 სამარხში დადასტურდა სამი ინდივიდი, რომელთაგანაც ორი შედარებით მოზრდილი გოგონაა — ხელფეხმოკეცილნი, მოკუნტულად მწოლარენი (შუაში დაკრძალული მცირეწლოვანი ბავშვის სქესის განსაზღვრა ვერ შევძელით). გოგონების წელის არეში აღმოჩნდა მახვილის მოკლე ქარქაშები. ქარქაშები ხისაა სპილენძის გარსაკრავებით და პორტუპეის ჯაჭვებით; საკუთრივ მახვილები მიცვალებულთათვის არ ჩაუტანებიათ. აშკარაა, რომ აქ საქმე გვაქვს მიცვალებულის გაუვნებელყოფის ჩვეულებასთან. იალის შეგნებული გაფუჭების ან სამარხში ნაკლულად ჩატანების ფაქტები საკმაოდ ხშირია არქეოლოგიაში. საინტერესოა აგრეთვე, რომ „მიცვალებულის ობოლის" ჩატანების წესიც არაერთხელ დადასტურდა ალევის სამაროვანზე, სადაც ოცდათხუთმეტი შესწავლილი სამარხიდან ცხრა მონეტიანი აღმოჩნდა (27 მონეტიდან ერთი ბიზანტიურია, 26 სასანური)[4]. შესადარებლად საინტერესოა, რომ სამთავროს სამაროვანის ამ დროის რამდენიმე ასეული სამარხიდან მონეტა სულ ოთხიოდე სამარხში აღმოჩნდა.

ალევის სამაროვანზე ჯერჯერობით არ ჩანს კერამიკა და მინის ჭურჭელი. თიხის ჭურჭლის არჩატანება ძირითადად დამახასიათებელია ადრე შუასაუკუნეთა (VI—VIII სს-ის) აღმოსავლურ-ქართულ სამაროვნებისათვის. მინის ჭურჭელი კი გვხვდება უმეტესად ქალაქის სამაროვნებზე, განსაკუთრებით მცხეთაში. ქართლის არაურბანისტული ცენტრებისათვის იგი დამახასიათებელი არაა. ეს დეტალითაც ქვემო ალევის სამაროვნისა საერთო სისტემის ნაწილია.

სამარხეული ინვენტარი, რომელიც ძირითადად სამკაულითა და ტანსაცმლის ნაწილებითაა წარმოდგენილი — მშვილდსაკინძები, აბზინდები და ბალთები, ქინძისთავები, სხვადასხვა ტიპის ბეჭდები, საყურეები, ზარაკები, ეჟვნები, ღილები და სხვა, მრავალ ანალოგს პოულობს მცხეთის, ურბნისის, ჟინვალის, რუსთავის მასალებთან. მაგრამ გამოირჩევა მთელი წყება სამკაულისა, რომელიც მიუხედავად საერთო მსგავსებისა, მცხეთურ (და სხვა) ნივთებთან, ზოგიერთ დეტალში ისეთი თავისებურე-

---

[4] უნდა ითქვას, რომ სასანური ვეცხლის აღმოჩენის ფაქტები სამარხებში უკანასკნელ ხანებში გამრავლდა ჟინვალიდან და სტირფაბის სამაროვნიდან.



სურ. 2. ხის სარკოფაგი № 35 პრეპარაციის შემდეგ.

ბოთ გამოირჩევა, რომ აუცილებლად გვაგულისხმებინებს ადგილობრივი ხელოსნური ცენტრის არსებობას. მაგალითად, ალევში აღმოჩნდა საყურეები, რომელთა რკალი და საკიდი ყუნწი ერთი მთლიანი მავთულისგანაა დამზადებული, ცხოველისსახიანი თავებდაბრტყელებული სამაჯურები, რომელთა ღეროები ორ ადგილას აქეთ-იქიდან სიმეტრიულად შედრეკილია და სხვ.

შესასწავლ სამაროვანზე მოპოვებულია რამდენიმე უნიკალური ნივთიც. ასეთებია, კერძოდ, ოქროს წყვილი საკინძის თავი — № 8 ახალგაზრდა ქალის სამარხიდან. ისინი წარმოადგენენ ოქროს მრგვალ, კვადრატულტიხრიან თვალბუდეს, მწვანე (და ლურჯი) მინის თვლებით; ამოკვეთილ ბუდეებში ჩამაგრებულია თხელფურცლოვანი ოქროს ტოლმკლავა ჯვრები. თვით თვალბუდეებს გარეკიდეზე მიმაგრებული ჰქონდათ მარგალიტის ოთხ-ოთხი პატარა გამოფიტული მძივი, რომლებიც, სამწუხაროდ, მალე დაიშალა. მთავარი ქრისტიანული სიმბოლოს, ჯვრის გამოსახულების აღმოჩენა ადრეული შუა საუკუნეების ძეგლზე და მით უმეტეს სამარხში მისი ჩატანების ფაქტი იშვიათობას წარმოადგენს საქართველოსათვის.

№ 35 „ხის სარკოფაგში" დადასტურდა ქარვისაგან დამზადებული საბეჭდავი, რომელზედაც ამოკვეთილია დიდებულის პორტრეტული გამოსახულება გარშემო ფალაური წარწერით. საინტერესოა ალევში აღმოჩენილი სხვა გლიპტიკური მასალაც, მაგ., სარდიონის გემა ფრინველის (იხვის?) გამოსახულებით, მინის გემები სასანური ტიპის მონოგრამებით და სხვ.

№ 23 სამარხში აღმოჩნდა ჰერალდიკური ტიპის ვერცხლის აბზინდიანი და ბალთებიანი სარტყლის სრული კომპლექტი, რაც აგრეთვე იშვიათი შემთხვევაა საქართველოსთვის.

ასეთია ძლიერ ზოგადად ქვემო ალევის სამაროვნის მონაცემები. იგი მრავალ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს და მისი სრული შესწავლა, ვფიქრობთ, ნათელს მოჰფენს ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ბევრ მხარეს.

ექსპედიციამ დაზვერა როგორც ალეურას ხეობა, ისე ქსნის ხეობის სხვა ნაწილები, მიაკვლია და მომავლისათვის სამუშაოდ მონიშნა არქეოლოგიური და არქიტექტურის მრავალი დღემდე უცნობი ძეგლი.

Н. И. АПХАЗАВА, Ю. М. ГАГОШИДЗЕ, К. М. ГОЦАДЗЕ

ОТЧЕТ ПОЛЕВЫХ РАБОТ КСАНСКОГО ОТРЯДА ШИДАКАРТЛИЙСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ЗА 1981 ГОД (ТАБЛ. XVI—XVII)

Резюме

Ксанский отряд Шидакартлийской археологической экспедиции в 1981 году приступил к систематическим раскопкам раннесредневекового могильника, расположенного восточнее с. Квемо Алеви, Ленингорского района, на правом берегу р. Алеура, левого притока р. Ксани.

Могильник был частично поврежден при земляных работах ранней весной 1981 года, почему и пришлось спешно начать раскопки 1 апреля.

Всего в отчетный период было вскрыто 35 погребений, давших многочисленный и исключительно интересный материал VI—VII веков. Преобладающее большинство раскопанных погребений (33) — типичные для раннесредневековой Грузии каменные ящики, но два захоронения оказались в деревянных саркофагах, что в данном случае следует считать пережитком позднеантичных традиций, тем более что в алевском могильнике нами отмечены и другие явления пережиточного характера. К таковым относится, в частности, необычное для раннесредневековых могильников Грузии оби-

лие находок монет: всего здесь найдено 27 серебряных монет, из числа которых 26 являются сасанидскими драхмами Пероза, Кавада, Валаша и Хосроя 1, а одна монета — византийской гексаграммой императора Ираклия.

Весь остальной погребальный инвентарь из Алеви — разнообразные булавки, фибулы, бусы, перстни, браслеты, пряжки, бляхи и т.д. — типичен для Восточной Грузии, и в частности Картли, и неотличим от аналогичных находок из могильников Самтавро, Урбниси и др. Отсутствие в Алеви стеклянных сосудов-бальзамариев характерная черта сельских могильников Грузии, отличающая их от некрополей городских центров — производителей и основных потребителей стекла.

Из вещественных находок в алевском могильнике достойны упоминания пара золотых кулонов (булавочных головок), стеклянные вставки которых украшены золотыми аппликациями в виде „мальтиских" крестов; полный комплект серебряного поясного набора т.н. геральдического типа, а также несколько резных камней сасанидского стиля, в том числе янтарная печатка с портретным изображением и пехлевийской надписью.

Что же касается погребального обряда, зафиксированного нами в алевском могильнике, привлекает внимание сосуществование христианских и пережиточных обычаев. Примечательно, при этом, что абсолютное большинство мужчин погребено здесь по-христиански, тогда как женщин и детей чаще хоронили по старому, языческому обряду — на боку, с согнутыми конечностями.

Алевский могильник, представляющий большой научный интерес и обещающий дать исключительной важности информацию о многих аспектах культуры и быта грузинской предгорной сельской провинции раннего средневековья, несомненно должен быть раскопан полностью.

პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, მ. იაშვილი, მ. ზამთარაძე,
თ. კაკაბაძე

ნოქალაქევის ექსპედიციის 1980—1981 წლების მუშაობის ანგარიში

(ტაბ. XVIII—XX)

ექსპედიცია წინა წლების მსგავსად 1980 წელს მუშაობდა ივლის-აგვისტოს თვეებში[1], ხოლო 1981 წლის ამ თვეებს დაემატა ოქტომბერ-ნოემბერიც[2].

ამ საანგარიშო წლებშიც გათხრების მთავარ ობიექტს წარმოადგენდა ნაქალაქარის ქვედა მონაკვეთი, მაგრამ დიდი მასშტაბის სამუშაოები ტარდებოდა შიდაციხეზეც (ციტადელზე). ამასთანავე გრძელდებოდა დაზვერვითი სამუშაოები საშუალოდ 30 კილომეტრის რადიუსით. ცხადია, დაზვერვების ასეთი მასშტაბი არაა დამაკმაყოფილებელი ობიექტისათვის, რომელიც ქვეყნის დედაქალაქს წარმოადგენდა, მაგრამ მთელს ეგრისის სამეფოს ერთი ექსპედიცია ვერ გაწვდება. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ექსპედიციის წევრები ეყრდნობიან ამ ტერიტორიაზე მომუშავე კოლეგების კვლევის მიღწევებს.

ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე საანგარიშო წლებში ძირითადი სამუშაოები მიმდინარეობდა ორ უბანზე. ერთი მათგანი მდებარეობს „ორმოცმოწამეთა" ეკლესიის დასავლეთით ოცოდე მეტრზე (უბ. XXII, კვ. Д—10). ხოლო მეორე — სამხრეთ-აღმოსავლეთის ვაკეზე (უბ. III, კვ. F—17,22). მიუხედავად ასეთი ხანგრძლივი მუშაობისა, პირველი ობიექტი (რადგან ძალიან რთული გამოდგა) ვერ დამთავრდა, ხოლო მეორე ობიექტის ვრცელმა ფართობმა დიდი დრო წაიღო[3].

„ორმოცმოწამეთა" ეკლესიის დასავლეთით, ყოფილი სასაფლაოს კუთხე ჯაგნა-

---

[1] ისეთ დიდ და მნიშვნელოვან ობიექტზე, როგორიც ნოქალაქევია, საჭიროა ხანგრძლივი და ინტენსიური მუშაობა. მუზეუმის ექსპედიციას კი კადრების სიმცირის გამო ამის საშუალება არა აქვს. ამასთანავე მბედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ექსპედიციის ხელმძღვანელს (პ. ზაქარაიას) ველზე გასვლის საშუალება ეძლევა მხოლოდ მაშინ, როცა მას ძირითადი სამუშაოდან (უნივერსიტეტიდან) ორთვიან შვებულებას აძლევენ.

[2] ნაქალაქარის აღმოსავლეთით მდებარე სამაროვანი რამდენიმე წელია ითხრება. თავისუფალი ადგილების ათვისების შემდეგ, იმავე ხაზზე მდებარე მოსახლეთა ეზოებში გავაგრძელეთ გათხრები. ამ ეზოებში თავისუფალი ადგილების გათხრების შემდეგ დაველოდეთ მოსავლის აღებას, რის გამოც ოქტომბერ-ნოემბერში მოგვიხდა გათხრების წარმოება.

აღნიშნულის გარდა სამუშაო დროის გახანგრძლივება ნაკარნახევი იყო აგრეთვე საქ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებისა და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დაბეჯითებითი მოთხოვნით. მათი აზრით, ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტი რაც შეიძლება ჩქარა უნდა გამოვლინდეს, შევიდეს სამეცნიერო მიმოქცევაში, გაკეთდეს კონსერვაცია-რესტავრაცია და გახდეს დათვალიერების ობიექტი როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ დაინტერესებულ პირთათვის.

[3] ნოქალაქევის გათხრების წინა წლების ანგარიშები გამოქვეყნებულია „არქეოლოგიური ექსპედიციების" — IV (1975 წ.), V (1977 წ.), VI (1978 წ.) და VII (1980 წ.) ნომრებში.

ლით იყო დაფარული. ამ კუთხეში ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ჯერ კიდევ მდგარა უკანასკნელ დადიანთა ოდა-სახლი. მისი აღების შემდეგ ეს ადგილიც ახალი საფლავებით გავსებულა. ეს საფლავები ხომ ჩვენი ექსპედიციის მუშაობის დროს გადაიტანეს და ამ მიდამოებში თითქოს არაფერი საგულისხმო არ იყო მოსალოდნელი. მაგრამ აქ პირველივე საცდელ თხრილში აღმოჩნდა კედლები. შემდეგ დიდი ფართობის აღება დავიწყეთ და მალე გამოიკვეთა შენობის მოხაზულობა. პირველი წლის სეზონში სამუშაოები ვერ მომთავრდა. მაგრამ ექსპედიცია იმ აზრამდე მივიდა, რომ საქმე ჰქონდა სანათლავთან, ბაპტისტერიუმთან (უბ. XXII, კვ. Д—10). საქმე ისაა, რომ ამ შენობის საძირკველიც კი არ არის ყველგან შერჩენილი. მაგრამ გეგმა, უკეთ კედლების გარე მოხაზულობა, იკითხება. ესაა სწორკუთხა შენობა, ოთხელიც აღმოსავლეთით ნახევარი წრით მთავრდება. ერთი შეხედვით ესაა მცირე ზომის (7.5 × 12.3 მ.) დარბაზული ეკლესია. ამასთანავე, აფსიდი ყოველ გვარი გადასვლების გარეშე პირდაპირ ედგმის გვერდითა სწორხაზოვან კედლებს (ტაბ. XVIII_2). ჩვეულებრივ გვერდითა კედლებისა და აფსიდს შორის გვხვდება სხვადასხვა ფორმისა და ზომის გადასასვლელი, საფეხური. მაგრამ ერთი დეტალი საკმაოდ მეტყველია. ესაა კერამიკული მილი, რომლითაც შენობიდან ნახმარი წყალი გაჰყავდათ. ეს მილი იატაკის დონეზეა. სამწუხაროდ, ამ შენობის შიგნით ისე მჭიდროდ იყო გვიანი სამარხები, რომ იატაკის კვალი სრულიად მოშლილია. იატაკიდან დარჩენილია მხოლოდ ერთი თლილი ქვა, მარჯვენა მხარეს, აფსიდის დასაწყისთან. წყლის გასაყვანი მილი კედლის შიგნით და გარეთ შედგენილია დუღაბში ჩასმული ღარიანი კრამიტებისაგან, ხოლო კედლის სისქეში აგურია. ეს მილი მიემართება სამხრეთით, მდინარისაკენ. მილს ჯერჯერობით მივდიეთ მხოლოდ 3—4 მეტრის სიგრძეზე. კედლის შიგნით იატაკის დონეზე კი მილიდან მხოლოდ ერთი კრამიტი იყო დარჩენილი.

აღწერილ შენობაში შესასვლელი სამხრეთის კედლის შუაზე უნდა ყოფილიყო. მაგრამ აქ კედელი დაზიანებულია და კარგად არ იკითხება. ერთი ადრევე ამოჭრილი კარი იმავე სამხრეთის კედლის დასავლეთის მონაკვეთშიაც არის.

ზემომოყვანილმა ფაქტებმა როგორც აღვნიშნეთ, ექსპედიცია მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს შენობა ბაპტისტერიუმი უნდა ყოფილიყო. პირველი შთაბეჭდილება მეორე წელს ვერაფრით ვერც შევამაგრეთ და ვერც უარვყავით, რადგან სამხრეთით და დასავლეთით გათხრების გაფართოებამ კიდევ ერთი შენობის ფრაგმენტები გამოავლინა. მეორე სეზონის განმავლობაში ამ ახალი შენობის გათხრაც ვერ დამთავრდა. ასე რომ, მომავალმა გათხრებმა შესაძლოა ამ ნაგებობათა დანიშნულების გარკვევაში მეტი სინათლე შეიტანოს.

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ჯერჯერობით დასავლეთ საქართველოში ბაპტისტერიუმი არაა მიკვლეული. ბაპტისტერიუმის არსებობის თაობაზე ჩვენ მხოლოდ ვარაუდი გამოვთქვით გუდავა-ზილანეოსის გათხრებთან დაკავშირებით[4]. დასავლეთ ნავში სანათლავი აუზის არსებობა დასავლეთ საქართველოში ორგანაა დადასტურებული. ერთი მათგანი ბიჭვინთაშია[5], მეორე კი იქვე, ნოქალაქევშია, V ს. შუა წლებით დათარიღებულ ბაზილიკაში[6].

---

[4] ვ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ვ. ლ ე ქ ვ ი ნ ა ძ ე. გუდავაში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში: საქ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, 1974, გვ. 140—141.

[5] დიდი პიტიუნტი, II, თბ., 1977, სურ. 7, 9.

[6] ვ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ვ. ლ ე ქ ვ ი ნ ა ძ ე, გ. გ ვ ი ნ ჩ ი ძ ე, თ. კ ა პ ა ნ ა ძ ე. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VII, თბ., 1980, გვ. 56.

ორ უკანასკნელ ბაზილიკაში დასავლეთის ნავის იატაკშია მოწყობილი სანათლავი აუზები. ხოლო იმავე ადრექრისტიანული პერიოდის ერთ-ერთ ტაძარში, კერძოდ ბოლნისში[7], ცალკეა მოწყობილი.

მეორე უბანი (უბ. III, კვ. F—17,22), რომელიც ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთში მდებარეობს, გაიწმინდა შენობა, ისეა დანგრეული, რომ გარკვევით შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მის მასშტაბზე და კარგ დაგეგმარებაზე.

ამ შენობის საძირკველი მთლიანადაა დარჩენილი, ხოლო საძირკვლის ზემოთ კედლის ნაშთი მხოლოდ ორ ადგილასაა დადასტურებული. კედლების სისქე მცირეა, ამიტომ შენობა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ერთსართულიანი. კედლები ნაგებია შედარებით წვრილი ნატეხი ქვით (ტაბ. XVIII$_1$).

აღწერილი შენობის აგებისას ქალაქის ერთ-ერთი შიდა გალავანი, რომელიც სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზე გადის, უკვე აგებული იყო. შენობის მშენებლებს გამოეყენებიათ ეს გალავანი და მისთვის შენობა ვიწრო მხარით მიუდგამთ. შენობის შუაში დიდი სწორკუთხა დარბაზია, ხოლო მის ვიწრო ბოლოების მთელ სიგანეზე — თითო სწორკუთხა სათავსი. ამ სათავსების ვიწრო ბოლოებთან აგრეთვე თითო კვადრატული სათავსია. დარბაზის სამხრეთით და ჩრდილოეთით, კვადრატულ სათავსებს შორის, აივნები უნდა ყოფილიყო მოწყობილი.

როგორც აღვნიშნეთ, ნაგებობის კედლების სისქის მიხედვით, იგი ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. თუ რა დანიშნულება ჰქონდა ამ შენობას, ამის ზუსტად დადგენა ამჟამად შეუძლებელია — ნანგრევებში რაიმე მიმანიშნებელი დეტალი არ დარჩენილა (შენობა ვაკეზე დგას. ნაქალაქარის ამ მონაკვეთს მომდევნო პერიოდში ყოველთვის გამოიყენებდნენ. კედლების ნანგრევები ადრე თუ არ გადაიტანეს, მას აუცილებლად აიღებდა აქ ამ ბოლო წლებში მცხოვრები[8]). ეს შენობა შეიძლება საცხოვრებელი ყოფილიყო. მაგრამ შესაძლოა იგი ყაზარმად მივიჩნიოთ. საქმე იმაშია, რომ ასეთ დიდ ციხე-ქალაქს გარნიზონი ესაჭიროებოდა, გარნიზონს კი თავისი საცხოვრებელი უნდა ჰქონოდა. ნაქალაქარზე ამ სახის ნაგებობა რადგან ჯერჯერობით სხვა არ ჩანს, ამიტომ ამ შენობას ჩვენ პირობით „ყაზარმას" ვუწოდებთ. მის ტერიტორიაზე მოძიებული არქეოლოგიური მასალაც არ არის ისეთი მეტყველი, რომ შენობის ფუნქცია განსაზღვროს.

მცირე სამუშაოები ჩავატარეთ ჭიშკრის მიდამოებში ეზოს მხრიდან, გზის ჩრდილოეთით (ნაქალაქარის ეს მონაკვეთიც დაკავებული ჰქონდა მოსახლეს. იგი გადავიყვანეთ 1979 წ.). აქ სადაზვერვო სამუშაოები დავიწყეთ 1980 წელს. გვაინტერესებდა, საერთოდ, თუ რა ფენასთან გვქონდა საქმე და იმავე დროს ვარკვევდით, გრძელდებოდა თუ არა ის სამაროვანი, რომელიც გალავნის გარეთ თითქმის ორას მეტრზეა გადაჭიმული.

სადაზვერვო თხრილი მცირე ზომისა იყო (5 × 5 მ). ამიტომ ბოლო კითხვაზე პასუხი არ გაგვცა. მაგრამ სხვა საინტერესო რამ აღმოჩნდა. პარალელურად მიმავალი ორი გალავნიდან შიდას მოსდევს კარგად თლილი ქვით შემოსილი სხვა კედელი. ამ კედლის გაგრძელების მოძებნის დრო 1980 წ. აღარ დაგვრჩა. მომდევნო 1981 წელს სხვა სამუშაოებით ვიყავით დაკავებული და ამ უბანზე მუშაობა ვერ გავაგრძელეთ. სეზონის ბოლოს მცირე სამუშაოები ჩავატარეთ ჭიშკარსა და ზემოაღნიშნულ თხრილს შორის. გამოჩნდა წინა წელს აღმოჩენილი კედლის სამხრეთის ბოლოს რამდენიმე საფეხური. სამუშაოები აქაც მომავალ წელს გაგრძელდება.

---

[7] Г. Чубинашвили, Болниси, 1940, გვ. 128.

[8] ამ ადგილზე მცხოვრები გადაყვანილ იქნა სხვაგან საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1978 წელს.

ნაგებობებთან დაკავშირებული სამუშაოები ნაქალაქარია ქვედა მონაკვეთზე სხვაგან არ ჩატარებულა. საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები ჩატარდა ნაქალაქარის შიდაციხეზე, აკროპოლისზე.

შიდაციხეზე წინა წლებთან შედარებით ყველაზე დიდი მასშტაბის სამუშაოები ჩატარდა 1980—81 წლებში.

შიდაციხე დაახლოებით სამ ჰექტარს მოიცავს. იგი მთის წვერზეა მოქცეული და მოგრძო გეგმა აქვს. გალავანი, დაზიანებული სახით, მთელ პერიმეტრზეა შერჩენილი. კედლები და ეზოც ხეებისა და ჯაგნარისაგან რამდენიმე წლის წინათ სპეციალური მანქანებით სანახევროდ გავწმინდეთ, მაგრამ გალავნისათვის ხელი არ გვიხლია, რადგან ზედა ნაწილი იოლვევა.

როგორც კოლხეთს სჩვევია, ისევ აქაც, ხეები ამოსულია ყველგან და მათი მოცილება მეტად საფრთხილოა. ამჟამად ზოგან ხეების ფესვების მიერ დარღვეული კედლები იმავე ფესვებს უჭირავს. ხეების მოპრას შეიძლება ზოგან მთლიანად კედლებიც მიჰყვეს, ამიტომ მხოლოდ აუცილებელ მონაკვეთებში გავკაფეთ. ასეთმა რთულმა პირობებმა არ მოგვცა საშუალება მთლიანად შეგვესწავლა ციტადელის გალავანი. მომავალში მცირე მონაკვეთებზე გაწმენდა და კონსერვაცია პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს.

ამჟამად, კედლების მთლიანად გაწმენდის გარეშე ირკვევა, რომ გალავანი ძირითადად სამი სამშენებლო ფენისაგან შედგება. თავდაპირველი ფენის კედელი ჩანს გარედან, ისიც ზოგან (შიგნიდან კედლები ფერდობს ჩამოყოლილი მიწითაა დაფარული). პირველი ფენის კედელი შემოსილია საშუალო ზომის თლილი ქვით, მაგრამ ამ კედლების ზედაპირზე ისეთი კარგად თლილი ქვა არაა, როგორც გარე კვადროვან გალავანზე. ასეთი განსხვავება მათ სხვადასხვა დროს აგებაზე მიგვითითებს. გარე კვადროვანი გალავანი ჩვენ *V—VI* საუკუნეთა მიჯნისად მივიჩნიეთ. ციტადელის კედელი კი მასზე გაცილებით ადრეა აგებული. ჯერჯერობით მისი ზუსტი დათარიღება ძნელდება.

როგორც აღვნიშნეთ, ციტადელის გალავანი სამი პერიოდის კედლებს შეიცავს. ზემოაღნიშნული პირველი ფენის კედელი სქელია (120 სმ). მიუხედავად ამისა, მისი სიგანე საშუალებას არ იძლეოდა, რომ კედლის ზემოთ მოეწყოთ საბრძოლო ბილიკი. პირველ მშენებლებს, როგორც ეტყობა, არ გაუთვალისწინებიათ ბილიკის მოწყობა. ან თუ მოაწყვეს, ის ვიწრო იქნებოდა. მომდევნო თაობების მესვეურებს განიერი საბრძოლო ბილიკის მოწყობა აუცილებლად მიუჩნევიათ.

ბილიკის მოსაწყობად არსებობდა ორი გზა. პირველი და მარტივი გზა იყო ბილიკისათვის საჭირო სიგანის ახალი კედლის მოშენება. მეორე გზა იყო პილასტრების მაგვარი შვერილების მიდგმა. პირველ გზას მეტი მასალა და დრო დასჭირდებოდა, ვიდრე მეორეს. ამიტომაც მშენებლებს მეორე გზა აურჩევიათ. ორივეგან 2,10—2,40 მეტრის ინტერვალით 140 სმ ზომების მქონე პილასტრები მიუდგამთ. ეს პილასტრები შიგნიდან კედლებთან ერთად საშუალოდ ორი მეტრის სიმაღლეზეა შერჩენილი. თუ როგორ მთავრდებოდა ისინი, არა ჩანს; მაგრამ გვაქვს ანალოგიები, რომელთა მიხედვით დგინდება საერთო გადაწყვეტა. კერძოდ, ციხისძირის (პეტრას) ციხის ნანგრევებში კიდევაა შერჩენილი ასეთი პილასტრები, რომლებიც ზემოთ, მაღლა, თაღებით ერთდება. ზემოდან ამ თაღებზე გადადის საბრძოლო ბილიკი.

სწორედ ასე უნდა ყოფილიყო აგრეთვე ნოქალაქევის ციტადელზეც. ცხადია, ამ საბრძოლო ბილიკის გარეთ, კედლის გარე შვეულზე, გაყოლებული იქნებოდა სწორკუთხა ფორმის ქონგურები (თავდაცვა ხომ ამ ქონგურებსშორისი ღიობიდან ხდებოდა).

აღწერილი თაღედის ნაშთები ჯერჯერობით გამოვლენილია მხოლოდ ციტადელის სამხრეთის გალავნის ხაზზე, ორ კარს შორის. სხვა მხარეებზე, რამდენადაც დღეს,

კედლების გაწმენდამდე ამის თქმა შეიძლება. პილასტრები არ ჩანს. ეს შეიძლება გასაგებიც იყოს. თუ გავითვალისწინებთ რელიეფს. სამხრეთის მხარეზე მცირე დალმართია, მაშინ როდესაც სხვა მხარეებზე მეტად დამრეცი ფერდობია. ასეთ ფერდობზე გალავანს მტრის ჯარი ადვილად ვერ მიუდგებოდა.

ზემოაღწერილი ორფენიანი გალავანი მტრის რომელიღაც შემოსევისას დანგრეულა. სიმშვიდის ჩამოვარდნის შემდეგ ციხის მეპატრონეს იგი აღუდგენია, მაგრამ სხვა მასშტაბით და განსხვავებული ტექნიკით.

როგორც ეტყობა, ამ აღდგენითი სამუშაოების ავტორი ვერ ყოფილა წინამორბედ ოსტატთა დონეზე. მას არც სწორხაზოვნება დაუცავს და არც კირის ხსნარის ხარისხზე უზრუნვია. კედელი ყოველგვარი წესის დაცვის გარეშე ზემოდან გადადის ქვედა ორფენოვან კედელზე. ახალი კედლის ხაზი არც პირველ კედელს მიჰყვება და არც მეორეს (პილასტრებს). ახალი კედლის კლაკნილი ხაზი, როცა ძველ კედელზე გადადის, მყარადაა. მაგრამ როცა ამ ხაზიდან შიგნითკენ უხვევს, მაშინ პილასტრებს შორის მდებარე ცარიელი ადგილი, ყოველგვარი ხსნარის გარეშე, ამოყორვაზე ეყრდნობა. ეს ახალი კედელი რა სიმაღლისა იყო, არ დგინდება (ზედა ნაწილის მოოღვევის გამო). ისე კი ზოგან სამ მეტრამდეა შერჩენილი: სიგანით საშუალოდ ნახევარი მეტრის სისქისაა.

როგორც აღვნიშნეთ, ციტადელს მხოლოდ ორი კარი აქვს სამხრეთის გალავანში. კარები არაა განიერი (დასავლეთისკენ მდებარე 1.7 მ სიგანისაა, აღმოსავლეთისკენ მდებარე კი 1.9 სიგანისაა). ეტყობა ციტადელში სატრანსპორტო შესასვლელი არ გაუთვალისწინებიათ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ადრეულ საუკუნეებში მთაზე მდგარ ციხეებს კარი არა ჰქონიათ. მით უფრო, თავდაცვის პრინციპებიდან გამომდინარე, ქალაქის ციტადელს ჭიშკარი არა სჭირდებოდა.

ამ ორი კარიდან დასავლეთით მდებარეს შიგნიდან სპეციალურად იცავდნენ. მეორეს კი არა. შეიძლება ეს უკანასკნელი დამხმარედ ითვლებოდა. კარის დაცვა საგანგებოდ იყო მოფიქრებული (უბ. XIII, კვ. Q—8—9). გარედან მოსული, გალავნის კარის გავლის შემდეგ, ხვდებოდა ტალანში. ამ გრძელი ტალანიდან შეიძლებოდა მარცხნივ მდებარე კარით მოხვედრილიყავით საყარაულოში, ხოლო პირდაპირ მდებარე კარით — ეზოში. საყარაულო კარგა მოზრდილი სათავსოა. მას მოკავებული აქვს გალავნის კუთხე და ამიტომ საკუთრად მისთვის ეზოში გამავალი ორი კედელია აგებული. ამ ახლად აგებული კედლებიდან ჩრდილოეთისაში კარია დატანებული. ამ კარით უშუალოდ ციხის ეზოში გადიოდნენ. ყარაულთა მოძრაობა კარგადაა მოფიქრებული.

კარის დაცვითი სათავსის კედლების წყობის ტექნიკა ისეთია, რომ იგი აგებული ჩანს გალავანზე საბრძოლო ბილიკისათვის თაღედის მიშენების დროს. ეს სათავსი და ტალანი გათხრებამდე არ ჩანდა. მიწა ამოღებულ იქნა თითქმის 1.5 მეტრის სიღრმეზე. არქეოლოგიური მასალიდან ბლომად იყო კერამიკული ნამტვრევები. სამწუხაროდ, მათში არ იყო ისეთი მეტყველი მასალა, რომ ზუსტად დაეთარიღებინა ამ სათავსის მიშენება; საერთო ნიშნებით კი *V—VI* სს-აა. სათავსის კედლები დაბალია, ამიტომ არ ვიცით გადახურვის ფორმა და სარკმლის ადგილი (სარკმელი მხოლოდ ჩრდილოეთით შეიძლებოდა ყოფილიყო).

1981 წ. საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები ჩატარდა ციტადელის მთავარ კოშკზე. აქ გასარკვევი იყო, თუ რას წარმოადგენდა ის თაღედი რომელიც პირველ სართულში იყო ჩართული. ორ რიგად მიმავალი კვადროვანი ქვით ნაგები თაღედი იკარგება ჩრდილოეთით გვიან მიშენებულ კოშკში. ეს თაღედი სანახევროდ დაფარულია მიწით და არ ვიცით, თუ რა სიღრმეზეა მისი იატაკი. ძნელი სამუშაო იყო და ერთი თვის მუშაობამ მხოლოდ ცოტა რამ გაარკვია.

ციტადელის ეზო კლდოვანია და მიწის ფენა თხელია. საცდელი თხრილები გავაკეთეთ, მაგრამ არქეოლოგიური მასალა ძალიან ცოტაა. საერთო მონაცემებით კი ციხის ქვედა და ზედა ნაწილებში სურათი ერთია. მასალა მთლიანად თარიღდება IV—VIII სს. ორი წლის განმავლობაში საცდელი თხრილების უმრავლესობა გატარდა სამხრეთის ხაზზე, გალავნის გასწვრივ, და დასავლეთის მონაკვეთში. მომდევნო წლებში ამ ტერიტორიაზეც გაგრძელდება გათხრები, მაგრამ უფრო ინტენსიურად ვიმუშავებთ აღმოსავლეთის მონაკვეთზე.

საანგარიშო წლებში ექსპედიციის მთელი ძალებით ძირითადად ნაქალაქარზე ვმუშაობდით, ამიტომ დაზვერვების ტემპი ცოტათი შენელდა. მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩატარდა ს. ნოჯიხევსა და ნაჯახოვოში.

ციტადელის არქეოლოგიური მასალა უმთავრესად კონცენტრირებულია სამხრეთ გალავნის შიდა მხარეს, სადაც ის ჩამორეცხილია ზევიდან, კლდოვანი ქანებიდან. ეს მასალა წარმოდგენილია ადრეული შუა საუკუნეების ნიმუშებით, რომლებიც მთელი ნაქალაქარისთვისაა დამახასიათებელი (სხვადასხვა ტიპის ამფორითა, საფეხურისებრი ქუსლის მქონე ქვევრების, ლუთერიუმების, ფსკერზე ხვრელის მქონე სასაკმევლების, დიდი ზომის სახურავისათვის საყრდენებიანი ქოთნების, მცირე ზომის დოქებისა და უბრალო სამზარეულო ქოთნების ფრაგმენტებით). მეორე მხრივ, ციტადელზე მრავლად აღმოჩნდა ნაქალაქარის ქვედა ნაწილისაგან განსხვავებული, სხვა ხასიათის კერამიკა. მისი ყველაზე დამახასიათებელი ნიმუშები უხეშია, ცუდადგამომწვარი დიდი ზომის ჭურჭლის ძირებია, ისინი ხშირად საკმაოდ მაღალია და ფსკერზე შეზნექილობა აქვს, ამასთან ჭურჭლის ტანთან შეერთების ადგილზე და მის ქვემოთ ან შეზნექილობის დონეზე დატანილია მოკლე, ან უფრო გრძელი, ვიწრო ან განიერი, ახლოს მიჯრილი ან დაშორებული ღრმა ნაჭდევები, რომლებიც კეთდებოდა გამოწვამდე, როგორც ჩანს იმ მიზნით, რომ თანაბრად გამომწვარიყო ჭურჭლის უფრო მასიური და თხელი ნაწილები. კერამიკული ჭურჭლის ეს თავისებურება პირველად დამოწმებულ იქნა აფხაზეთში, VII—VIII საუკუნეთა ძეგლებში. ნოქალაქევში კი აღნიშნული კერამიკა იმის მოწმობაა, რომ შესაძლოა დროის მოკლე წყვეტილის შემდეგ (რომელიც აქ აისახა მთლიანად შენახული და მიწით სწრაფად დაფარულ VI ს-ის ამფორათა აღმოჩენაში). ციტადელს სულ მალე დაუბრუნდა მისი თავდაცვითი ფუნქციები, იმ დროს, როდესაც არქეოპოლისის ქვედა ნაწილში საქალაქო ცხოვრება ნაწილობრივ დაცემას განიცდის.

ციტადელში გამოვლენილ გვიანდელ კერამიკაში გამოირჩევა ერთი ფრაგმენტი, რომელიც წაბლისფრადაა მოხატული და IX—X სს. თარიღდება; იგი განსხვავდება ამავე ციტადელზე ადრე აღმოჩენილი მრავალფიცხოვანი ფრაგმენტებისაგან, რომლებიც წითლად არის მოხატული.

ქვედა ქალაქის ტერიტორიაზე გათხრებმა მოგვცეს ჩვეულებრივი მასობრივი მასალა. საგანგებოდაა მოსახსენიებელი მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც ნაქალაქარის ამ ნაწილის ცენტრშია მოპოვებული; აქ ადრეც ვპოულობდით ზოგჯერ განვითარებული და გვიანფეოდალური ხანის კერამიკას.

რაც შეეხება II აბანოსთან მიკვლეულ მასალას, აქ აღნიშვნის ღირსია ცუდად შენახული ბიზანტიური სპილენძის მონეტა 40 ნუმის, ღირებულებისა, რომელიც V—VI სს. თარიღდება.

ნოჯიხევის არქეოლოგიური მასალა საერთოდ მეტად მცირერიცხოვანია, მაგრამ მასში მაინც შეიძლება გამოვყოთ პატარა ზომის მეტად თხელი, მაგრამ მაგარი კედლების მქონე ჭურჭლის ფრაგმენტები. ასეთი ჭურჭელი ხშირად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს განვითარებული ფეოდალური ხანის (X—XIII სს.) ნაქალაქარების გათხრებისას. იქაც და აქაც ეს ჭურჭელი, როგორც ჩანს, იმპორტული უნდა იყოს.

ნოჯიხევში აღმოჩნდა აგრეთვე მრგვალი, ჩამოსხმის პროცესში ორნამენტირებული სარკმლის მინის ფრაგმენტები. ასეთი მინა აშკარად აღმოსავლეთქართული წარმოშავლობისაა და თარიღდება XII—XIV სს. დასავლეთ საქართველოსათვის ამ მინის აღმოჩენა მეორე შემთხვევაა, რამდენადაც იგი პირველად მიკვლეული იყო აფხაზეთში მსიგხუას ტაძრის გათხრებისას.

ყველაზე საინტერესო კი იყო აქ ყალიბში გამონაბერი უფერული მინის ჭურჭლის ფრაგმენტების აღმოჩენა. ჭურჭლის კედლები დაფარულია რელიეფური ცერა ბადურით. ასეთი მინა XI—XIII სს. საქართველოს მინის ჭურჭლებში დღესდღეობით ცნობილი არაა.

1981 წ. ნოქალაქევში გათხრები კვლავ გრძელდებოდა ციტადელზე, ნაქალაქარის ქვედა ნაწილის ცენტრში და მის გარეთაც, აღმოსავლეთის გალავნიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით.

თვით ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლინდა ჩვეულებრივი მასიური არქეოლოგიური მასალა, რომელიც IV—VIII სს. შორის ექცევა. მაგრამ აღმოჩნდა აგრეთვე ახალი მონაპოვარიც, რომელიც იშვიათია ნოქალაქევში. ესაა სამზარეულო კერამიკა. კერძოდ ადგილობრივი ჯამების ორი ტიპი: 1) მაღალი, ვიწრო ქუსლის, მომრგვალებული კედლების მქონე ჯამები, შიგნით გადაკეცილი პირით და 2) აშკარად ადგილობრივი მიბაძვა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფართოდ გავრცელებული იმპორტული წითელლაკიანი თეფშებისა, რომლებიც IV—VI სს. თარიღდებიან.

ყველაზე საინტერესო მონაპოვარი კი აქ არის კულტურულ ფენაში ნაპოვნი მასიური, სწორკუთხა განივკვეთიანი და კუბური შესქელებებით სპილენძის სამაჯური, შემკული მოჩარჩოებული წერტილებით. ასეთი სამაჯურები აქამდე ცნობილი იყო სოფის მიდამოების შემთხვევით მონაპოვრიდან, სადაც მათ, მეტად მიახლოებით, II—VII სს. ათარიღებდნენ და სამარხებიდან მიმდინარედ მიიჩნევდნენ[9] (ტაბ. XIX_2).

აღსანიშნავია აგრეთვე არქეოპოლისის კულტურულ ფენაში პირველად მოკვლეული სერდოლიკის წვრილი, მრგვალგანიკვეთიანი ორი ბეჭედი, რომელთაც ოდნავ დაწახნაგებული ფარაკები აქვთ.

1981 წ. ძირითადი მონაპოვარი მაინც ელინისტური ხანის სამაროვანიდან მომდინარეობს. ეს მონაპოვარი აღმოჩნდა არა მარტო ქალაქის აღმოსავლეთის გალავნის წინ; არამედ, პირველად ექსპედიციის მუშაობის მანძილზე, თვით ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ქვედა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში.

სულ 1981 წ. გაითხარა 25 სამარხი: ორმოსამარხები, ქვევრსამარხები. 1 „ნახევრად ქვევრსამარხი" (ორმოსამარხს თავზე ეფარა სიგრძეზე გაპრილი ქვევრის ნახევარი) და 1 კრამიტსამარხი (ადრეფეოდალური ხანისა).

განსაკუთრებით საინტერესო იყო ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრილი ელინისტური ხანის ორმოსამარხი № 1. ამ სამარხის ზემოთ, 1,40 მ სიღრმეზე აღმოჩნდა გროვა ადგილობრივი დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხების. მათ შორის ისეთი ტიპიური კოლხური ქვევრების ფრაგმენტები, როგორშიაც მიცვალებულს მარხავენ. ამ ნატეხებთან ერთად ნაპოვნი იყო სამი ბრინჯაოს ფეხი, რომლებიც მტაცებელი ცხოველის კიდურებს გამოსახავდა (ტაბ. XIX_4). როგორც ჩანს, ისინი ეკუთვნოდა კანდელაბრს. ზუსტად ამ მონაპოვრის ქვეშ, 1,80 მ სიღრმეზე აღმოჩნდა თვით სამარხი ძალზე ცუდად შენახული ჩონჩხით. მიცვალებული ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე იყო დასვენებული, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. სამარხის ინვენტარს შეადგენდა სამი ადგილობრივი რუხკეციანი თიხის ჭურჭელი, რომელთაგან

[9] Ю.Н. Воронов, Материалы по археологии Абазгии и Санигии (II—VII вв.). Материалы по археологии Абхазии, Тб., 1979, рис. $38_{28,33}$, 39_{26}, с.49.

ერთ-ერთში, თავთან მდებარე პატარა ქოთანში ორი კოლხური ნახევარდრაქმიანი მონეტა იდო. სამარხში ნაპოვნი მეოთხე ჭურჭელი იყო შავლაკიანი სამარილე. აქვე იყო სამი ბრინჯაოს ბეჭედი: ორ მათგანს რაღაც გამოსახულებიანი ფარაკი ჰქონდა; აგრეთვე ბრინჯაოს წვრილი სამაჯური და სხვადასხვა მძივი, რომელთა შორის აღსანიშნავია თხელი მინის ოქროსსარჩულიანი მძივები (ტაბ. XIX_1).

ნაქალაქარის გარეთ გახსნილ სამარხთაგან განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა № 18 ორმოსამარხი (ტაბ. XX_2). მიცვალებული აქ ზურგზე გაჭიმული იწვა, თავით აღმოსავლეთისაკენ. ორმოს კედლები ქვებით იყო შემოწყობილი. სამარხეული ინვენტარის შემადგენლობაში შედიოდა: ორი რგოლისებური ოქროს საყურისა თუ სასაფეთქლე რგოლისაგან, რომელთაც ოთხკუთხა განივკვეთი აქვთ, ვერცხლის ორი ჭურჭლის (თასი და ფიალა) ფრაგმენტებისაგან, რომლებიც ომფალოსებით და ნუშისებური ნაჭედი კოპებით არის შემკული; რკინის ცულისა და შუბის პირებისაგან; სამი ბრინჯაოს თავგახსნილი სამაჯურისა და მძივებისაგან (გიშრის, მინის და პასტის); ოთხი ადგილობრივი თიხის ჭურჭლისა და ერთი იმპორტული ამფორისკისაგან. სამარხეული ორმოს გარეთ, მაგრამ იქვე მის გვერდით და ოდნავ მაღლა აღმოჩნდა აგრეთვე შავლაკიანი კილიკი.

უნდა მოვიხსენიოთ აქვე „ქვევრსამარხი" № 6, რომელშიაც ჩონჩხის მაგიერ აღმოჩნდა მხოლოდ ხელის თითის ერთი ფალანგა ზედ წამოცმული ფარაკიანი ბეჭდით.

1981 წ. გათხრილი სხვა ელინისტური ხანის უფრო ღარიბული სამარხების ინვენტარი შედგებოდა უმთავრესად ადგილობრივი თიხის ჭურჭლების, სხვადასხვა მძივების, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლებისა და თავგახსნილი სამაჯურებისაგან, რომელთა ბოლოები ხშირად შემკულია ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებებით, აგრეთვე ფარაკიანი და უფარაკო ბეჭდებისაგან. ფარაკებზე გამოსახულებებია ამოტვიფრული, რომელთაგან ჯერჯერობით მხოლოდ ცხოველთა სურათები შეიძლება დადგინდეს. ცალკე უნდა აღინიშნოს ჯერჯერობით ერთადერთი ვერცხლის ბეჭედი, რომლის ფარაკზე ორი ცხოველია გამოსახული (ცხენები თუ მგლები); ეს ბეჭედი № 3 ორმოსამარხში იყო აღმოჩენილი.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ 1981 წ. გათხრებმა საკმაოდ ზუსტად შემოსაზღვრეს ის ზოლი, რომელშიაც თავმოყრილია ელინისტური ხანის სამარხები და რომელიც მთის კალთის ძირში მიუყვება ნაქალაქარიდან აღმოსავლეთისაკენ.

გათხრების პარალელურად ექსპედიცია აქტიურად ატარებს ნაქალაქარის შენობების საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოებს. კონსერვირებულია „სამეფო აბანო", სამხრეთის ზღუდის ოთხკუთხა კოშკი, ქალაქის აღმოსავლეთის, გარეთა მსხვილკვადრიანი კედელი. ნაწილობრივ რესტავრირებულია აღმოსავლეთის, პარალელურად მიმართული ორი კედლიდან ერთი, რომლის თავზე აღდგენილია ქონგურები. მთლიანად აღდგენილია ციტადელზე არსებული დარბაზული მცირე ეკლესია „მისარონი" (ტაბ. XX).

П. ЗАКАРАЯ, Н. ЛОМОУРИ, В. ЛЕКВИНАДЗЕ, М. ЯШВИЛИ,
М. ЗАМТАРАДЗЕ, Т. КАПАНАДЗЕ

ОТЧЕТ РАБОТЫ НОКАЛАКЕВСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ В 1980—1981 ГГ.

(ТАБЛ.XVIII—XX)

Резюме

В 1980—1981 гг. раскопки в Нокалакеви велись как в нижней части городища, так и в цитадели, а также за пределами городской ограды, к востоку от нее у подножья горного склона.

В нижней части города, западнее церкви «Сорока мучеников» было раскопано небольшое здание четырехугольной формы с полукруглой абсидой в восточной стороне. Можно предполагать, что оно являлось баптистерием.

В юго-западной низменной части городища было раскопано большое строение, состоявшее из нескольких помещений, от которого сохранился лишь фундамент. Скорее всего это развалины казармы, в которой когда-то стоял гарнизон столицы Эгрисского царства.

С внутренней стороны восточной городской стены, к северу от ворот, у подножья внутренней стены, была обнаружена еще одна, выложенная хорошо отесанными средних размеров каменными квадрами стена, скорее всего наиболее древняя.

На цитадели за отчетные два года были проведены весьма трудоемкие работы с внутренней стороны южной крепостной ограды, а также в большой западной башне. У южной ограды были расчищены две калитки, у западной из них выявлены защитные сооружения, а вдоль стены раскопаны пилястрообразные выступы для устройства боевой тропы. Удалось здесь установить и три основных строительных слоя.

В нижней части западной башни была освобождена от земли и завала крупноквадровая аркатура и подготовлена почва для дальнейших раскопок.

Археологический материал в основном состоит из обычных для Нокалакеви образцов керамики IV—VIII вв., однако на цитадели были обнаружены фрагменты керамики эпохи развитого феодализма и позднефеодального периода, что должно свидетельствовать о продолжении здесь жизни и после разорения и упадка города.

Особый интерес представляют материалы из погребений (грунтовых и кувшинных) эллинистической эпохи, которые впервые были обнаружены и в черте самого городища, в центральной части нижнего города. В погребениях были найдены до того не встречающиеся в Нокалакеви бронзовые и серебряные кольца со щитками с изображениями животных, чернолаковые импортные сосуды, бронзовые ножки от канделябра в виде стилизованных конечностей хищного животного, серебряные сосуды с орнаментированной поверхностью, стеклянные бусы с золотой прокладкой и т.д.

Параллельно с раскопками экспедиция активно проводит консервацию и реставрацию сооружений. Консервационные работы были проведены на «царской бане», на четырехугольной башне южной ограды, на крупноквадровой внешней восточной городской стене. Частичной реставрации подверглась одна из двух восточных параллельно идущих стен, на вершине которой были восстановлены зубцы. Полностью реставрирована небольшая зальная церковь «Миссарони» на цитадели.

ლ. ჯილაშვილი, გ. კიკნაძე, ნ. აფხაზავა, ნ. ბახტაძე, კ. გოცაძე

არეშის ექსპედიციის შედეგები
1980—1981 წწ.

არეშის არქეოლოგიური ექსპედიცია საანგარიშო პერიოდშიაც აგრძელებდა ჯერ კიდევ 1973 წ. წამოწყებულ საველე კვლევა-ძიებას არეშის ვრცელ ნაქალაქარზე ყვარლის რაიონის სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე. წინა წლებში ექსპედიციამ, რომლის შემადგენლობაც სტაბილურია (ხელმძღვანელი ლ. ჯილაშვილი: წევრები — ვ. ცისკარიშვილი, გ. კიკნაძე, თ. კერესელიძე, დ. აბჟანდაძე, ნ. აფხაზავა, ნ. ბახტაძე, კ. გოცაძე), არაერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი გამოავლინა. მათ შორისაა ადრექრისტიანული ხანის ეკლესიები: ბაზილიკა, საყდრის ყურის, უსახელო ბორცვის და მდინარისპირის ეკლესიები[1]. არქეოლოგიური გათხრების პარალელურად მიმდინარეობდა სადაზვერვო სამუშაოებიც.

საანგარიშო ორწლიან მონაკვეთში ძირითადი სამუშაოები წარიმართა სამ უბანზე — ბაზილიკის სამეურნეო ზონაში, ხერთვისზე და ე.წ. ტყის უბანში.

I უბანი არეშის ბაზილიკის ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარეობს, სოფლის განაპირას, მთისწინა დაცემულ ველზე, მთიდან გამომავალ ორ მცირე ღელეს შორის. ერთი მათგანი მთების გასწვრივ მიემართება და სოფლის ბოლოში გადის, მეორე კი აღმოსავლეთით ეშვება და უსახელო მდინარეს უერთდება. გასათხრელ ობიექტად ამ მეორე ხევის მარჯვენა მხარე იქნა შერჩეული. ადგილი ინტენსიურად იხვნება, რის გამოც არქეოლოგიური ფენები დაზიანებულია. ეს არის სოფლის ერთ-ერთი მთავარი აგროზონა, რომელსაც „ჩვიდმეტჰექტრიანს" ეძახიან. 1978 წ. აქ სასინჯი თხრილი გავავლეთ, სადაც ქვევრები და სამეურნეო ნაგებობის ნაშთები დადასტურდა. ჩვენ მაშინ მას პირობითად მარანი ვუწოდეთ.

ადრე მიკვლეული მასალებით ეს ადგილები ქალაქის ერთ-ერთი სამეურნეო ზონის კუთვნილებად მივიჩნიეთ; აქამდე მოდიოდა 1974 წ. დაზვერილი ერთ-ერთი სარწყავი, მომცრო არხის შტო. არხი გამოდიოდა უსახელო მდინარიდან; ერთ-ერთ ხევზე შეინიშნებოდა მცირე აკვედუკიც (მიწაყრილით და ხის ნაშთებით), გასდევდა ბაზილიკის ჩრდილოეთით მდებარე მთის კალთებს და გამოდიოდა „ჩვიდმეტჰექტრიანის" ტერიტორიაზე. ამ ადგილებში ექსპედიციამდე წისქვილის ქვაც ყოფილა აღმოჩენილი, რომელიც ამჟამად გრემის მუზეუმში ინახება. ისე რომ, ადგილის გეომორფოლოგიურმა სახემ, არხის დადასტურებამ და ზოგიერთმა არქეოლოგიურმა მინიშნებამ ერთგვარად გვიბიძგა აქ სამეურნეო ზონის არსებობა. თანაც ვუშვებთ, რომ ეს უბანი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც ბაზილიკასთან,

---

[1] წინა წლების გათხრების შესახებ გამოქვეყნებულია ანგარიშები „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების" IV—VII კრებულებში.

იმ უბრალო მიზეზით, რომ ის ეკვროდა მას — ნაქალაქარის ყველაზე მნიშვნელოვან საეკლესიო ნაგებობას (შესაძლოა საკათედრო ტაძარს).

აღნიშნულ უბანზე მუშაობის დაწყება ერთგვარად სასინჯ-საკონტროლო ხასიათს ატარებდა, რამდენადაც ორი წლის წინ ჩატარებული დაზვერვითაც კარგად ჩანდა, რომ ეს ადგილები არქეოლოგიური შესწავლისათვის ძლიერ დაზიანებული იყო და მაინცდამაინც არა გვქონდა იმედი ხელუხლებელი ფენების მიგნებისა. ამდენად, აღნიშნულ უბანზე გათხრების დაწყების ძირითადი მიზანი საკონტროლო საძიებო სამუშაოების ჩატარება იყო ნაქალაქარის საზღვრების და დასახლების გავრცელების ფარგლების დასადგენად.

„ჩვიდმეტჰექტრიანზე" გასათხრელად მონიშნულ იქნა ხევის მარჯვენა მხარეს თავისუფალი ადგილი, უფრო ახლოს ხევთან, იმ იმედით, რომ გუთანი აქ ღრმად ვერ ჩავიდოდა. ადგილი დავაკვადრატეთ (4 × 4 მ; სულ 12 კვადრატი, სურ. 1.). იმედი არ



1. ბაზილიკის სამეურნეო უბანი. I—III ორმოები; IV—V ქვევრები; VI იატაკის ნაწილი.

გამართლდა, ეს ადგილიც სულ გადაბრუნებული დაგვიხვდა და მხოლოდ შიგადაშიგ შეიძლება ძველი ნასახლარის კვალის დაფიქსირება. კულტურული ფენა ზედაპირიდან 20—25 სმ-დან შეინიშნება. ჩვენი დაკვირვებით საქმე უნდა გვქონდეს ორფენიან ნასახლართან. ფენების სიმძლავრე 0,40—0,45 მ-ია. პირველი — ზედა ფენა უკვე 0,2—0,25 მ იწყება, ფენებს შორის დაახლოებით 0,25—0,30 მ სისქის ნაშალი მიწაა. ფენების გამოყოფა შესაძლებელი გახდა მიწატკეპნილების საშუალებით, რომელთა ქრონოლოგიური შრე შეიძლება წარმოვიდგინოთ; ქვედა IX—XI და ზედა XI—XIV სს. ზედა ფენას შეესატყვისება ადრე აღმოჩენილი „მარნის" და ნასახლარის ნაშთი. როდესაც ნასახლარებზეა საუბარი, მხედველობაში გვაქვს კედლის უსახური ფრაგ-

მენტები, კრამიტის (ღარიანი და ბრტყელი) და შელესილობის (ბათქაშის). ხშირად ცეცხლში გამომწვარი წნელის ანაბეჭდიანი ნატეხები. საფიქრებელია, რომ საქმე გვაქვს რიყის ქვის საძირკველზე მდგარ ხის ნაგებობებთან, რომელთა წნული კედლები თიხით იყო შელესილი. ნაგებობები კრამიტით ყოფილა დახურული.

ნასახლარის ორთავე დონეზე აღმოჩნდა მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის მრავალრიცხოვანი ნიმუში. მათ შორის უმეტესობა ტიპიურია IX—XIV სს. ქართული მოჭიქული ჭურჭლისათვის: გვხვდება ფრინველის გამოსახულებიანი, გეომეტრიულ და მცენარეულ ორნამენტიანი, აგრეთვე ნაღვენთებიანი და ანგობით მოხატული. ამავე დროს უნდა შევნიშნოთ, რომ I დონეზე თითქოს უპირატესად IX—X და ზოგჯერ XI საუკუნისათვის დამახასიათებელი ჭურჭელი გვხვდება. ამ უკანასკნელთაგან გამორჩევა მოვარდისფროკეციანი ნაპრიალები ჯამის ნატეხები, ლუთერიის ფრაგმენტები და ყურიანი ქოთნები, რომელთაც ზედაპირზე ჰორიზონტული ხოლები გასდევს. II ფენა უფრო XII—XIV სს. მასალით არის წარმოდგენილი. მათ შორისაა ჭიქურის იმიტაციით შემკული ჭურჭლები. აქა-იქ გვხვდებოდა ბროლის კრისტალები (მცირე რაოდენობით) და მინის სამაჯურის ნატეხები. ამ დონეზე ერთ ადგილას, (კვ. ა—2) კუთრებიატაკზე აღმოჩენილია სარდიონის სფერული მოზრდილი მძივი. ორთავე დონეზე დადასტურებულია ბრტყელი გვერდებაკეცილი და ღარიანი, ხშირად ნიშნიანი, არეშის ნაქალაქარის სხვა უბნებზე აღმოჩენილი კრამიტების ანალოგიური. აქვე ორი საშუალო ზომის ქვევრია ჩადგმული.

ნივთიერი მასალის უმეტესი და საინტერესო ნაწილი მოგვცა ნასახლარზე დადასტურებულმა სამმა ორმომ. პირველი ორმო გაიწმინდა კვადრატ A—1 აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ოვალურია. მეორე ორმო წაგრძელებულია. იგი გაითხარა B—3-ის სამხრეთ ნაწილში. მესამე ორმო გეგმაში ფოთლისებურია. დადასტურდა A—3 ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ორმოების ფორმასა და განლაგებაში არავითარი სისტემა არ შეიმჩნევა. კედლებიც არაბუნებრივი ფორმისაა. ორმოებში დადასტურებულია უსისტემოდ ჩაყრილი სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები, კრამიტის, მინის სამაჯურების, ასევე რკინის დანის ნატეხები. განსაკუთრებით საინტერესო ორმოში აღმოჩენილ ნივთთაგან არის სრულიად თანამედროვე ფორმის ცხენის ნალი (I ორმო), მწვანედ მოჭიქული ნიყარისებრი ჭრაქი (ნაკლულია, II ორმო), ინკრუსტირებული მინის სამაჯურის ნატეხი (II ორმო), ნაკლული ხელადა (III ორმო) და სხვ. საინტერესოა, რომ ორმოებში გვხვდებოდა ნახშირი, მსხვილფეხა საქონლის ძვლები და კარგად მოზელილი თიხის გროვები.

ორმოების დანიშნულების დადგენა ჭირს. შესაძლებელია საქმე გვქონდეს მარტივ კერებთან, რომლებიც შემდგომად საოჯახო ნაგვით ამოავსეს.

სასინჯი თხრილი ღელის მარცხენა მხარესაც გავავლეთ. აქაც კულტურული ფენა დადასტურდა მსგავსივე მასალებით, რაც მთავარია იგივე ფენა გაჭრილია წყლის მიერ — წყალი უშუალოდ მიედინება კულტურულ ფენაში, რითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ აქ ნასახლარების არსებობის დროს ღელე არ ყოფილა.

II „სამხერხაოს“ უბანი (ხერთვისი)

არეშის ნაქალაქარზე გარეგნული იერით მეტად საინტერესოდ გამოიყურება შემაღლებული კონცხი მდინარე არეშის წყლის მარჯვენა მხარეს, რომელიც გარემოსაგან გამოყოფილია მდინარის ფლატე ნაპირებით (აღმოსავლეთიდან) და მომცრო უსახელო მდინარით დასავლეთის მხრიდან. ეს მდინარე, კონცხის ბოლოს უერთდება არეშის წყალს. ადგილის გარარეგნობა ხერთვისის შთაბეჭდილებას ახდენს და ბუნებრივია.

მისი ასეთი კარგი მდებარეობის გამო, იგი ყურადღების ცენტრში მოხვდებოდა აქ დასახლების გაჩენის პირველსავე დღიდან. სამწუხაროდ ადგილის პირველსახე ძლიერ არის შეცვლილი მიწის სამუშაოების შედეგად: უსახელო მდინარის კალაპოტში ხელოვნური წყალსატევის მოწყობის მიზნით კონცხი გადაუსწორებიათ, მდინარე დაუგუბებიათ, რასაც ადგილისათვის სახე შეუცვლია და დაუზიანებია არქეოლოგიური ძეგლები. როგორც ადგილობრივნი გადმოგვცემენ, აქ ქვაყუთები და ნაგებობების ნაშთები ყოფილა; მასიურკედლებიანი ძველი ნაგებობა თურმე კარგად ჩანდა. იგი დაუნგრევიათ აუზის მშენებლობის დროს. ერთი ქვაყუთი ჩვენც გავთხარეთ 1978 წ. ამავე წელს ექსპედიციამ აქ გამოავლინა რომელიღაც დიდი ნაგებობის კედლები და სხვა არქეოლოგიური მასალა, მათ შორის, XI—XIII სს. კერამიკა.

ძველი ნაგებობების კვალი გადიოდა მომიჯნავე სანერგე მეურნეობის ეზოშიაც, რომელიც ინტენსიურად იხვნება: ზედაპირულად აქ ინიშნებოდა ნაგებობათა კედლის ზოლი, რომელზედაც მცენარეული საფარი სუსტია და შეუმჩნეველი თვალიც ადვილად შეამჩნევს გაყვითლებული ბალახის მიხედვით. ღრმა ხვნის დროს გუთანს კედლის ქვები ერთ ხაზზე მიუხვეტია ისე რომ, ნაგებობის არც გეგმარება და არც სხვა კომპონენტი არ ირკვევა. საქმე გვაქვს ქვის, კრამიტის, კერამიკის უსისტემო გროვებთან, რის მიხედვითაც თარიღი შეიძლება XI—XIV საუკუნეებით განვსაზღვროთ. ერთი ასეთი გროვის გათხრისას აღმოჩნდა კრამიტები, თიხატკეპნილი, ასევე მოჭიქული ჯამი ფრინველის გამოსახულებით. მასალა ძალიან მიაგავს „ჩვიდმეტჰექტრიანისას". აქაც მსგავსივე კრამიტები და კერამიკაა. „ხერთვისის" ნაგებობანი უფრო მასიურია (ადრე გაწმენდილი ნაგებობების კედლები 1 მ სისქისაა). აღნიშნულ უბანზე გათხრების გაგრძელებას არავითარი აზრი აღარა აქვს და უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რაც სადაზვერვო სამუშაოებმა მოგვცეს; არეშის ხერთვისი ნაქალაქარის ერთ-ერთი უბანი ჩანს, სადაც გარკვეული ხნიდან იწყება დასახლების არსებობა. აქვე ყოფილა სამაროვანიც, განიერკედლიანი დიდი ნაგებობა, ჩვენი ვარაუდით, ეკლესიის ან სასახლის ნაწილი₅უნდა₅იყოს.₅მისი ფუნქციონირება XIV ს. შეწყვეტილია.

III ტიპის უბანი

1. ეკლესია № 1

უბნის სახელი პირობითადაა ჩვენს მიერ შერქმეული ადგილმდებარეობის გამო; იგი განლაგებულია სოფლის ჩრდილოეთით 1,5 კმ-ზე, მდ. არეშის წყლის მარჯვენა მხარეს. აქ, მდინარეს მარჯვენა მხრიდან პატარა ღელე უერთდება. ღელესა და მდინარეს შორის მაღალი და ვიწრო ქედი გასდევს, რომელზედაც რამდენიმე წლის წინ ეკლესიის ნაშთი გვაჩვენეს სოფლელებმა. ადგილი ხერთვისია და როგორც ასეთი ადგილებისათვის არის დამახასიათებელი, ის ძველი ადამიანის ყურადღების ქვეშ მოქცეულა და თავშესაფარად გაუხდია იგი როგორც გარემოსაგან გამოყოფილი და სტრატეგიული ადგილი. კონცხი ხერთვისიდან მოყოლებული ნასახლართა ნანგრევებით არის მოფენილი. ხერთვისის თითქმის ქიმზე, ზემოთ აღნიშნული ნაეკლესიარია, რომლის ეზოც განივი კედლით არის გამოყოფილი. ეკლესიის ზოგი ნაწილი კარგად ჩანდა, თუმცა გეგმარების გარკვევისათვის ეს არ იყო საკმარისი. ძეგლი გაიწმინდა ეკალ-ბარდებისაგან და შემდეგ კი დავიწყეთ ფენა-ფენა ნაყარი მიწის მოხსნა ნაგებობის მთელ ფართობზე. ასე თანდათანობით გასუფთავდა ცენტრალური ეკლესია, ჩრდილოეთის და სამხრეთის ეკლესიები, გარსშემოსავლელი და გამოიკვეთა სამეკლესიანი ბაზილიკის სრული სახე.

ეკლესია ნაგებია რიყის მსხვილი ქვებით კირხსნარზე, აგური არ არის გამოყენებული, ქვის ბრტყელი ზედაპირები კარგად არის მორგებული კედლის პირთან. ზოგი ქვა დამუშავებულია. ქვების ზომები მერყეობს 0,5—0,7 მ შორის. ნაგებობა სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპისაა (ერთი სამშენებლო პერიოდისა).

ეკლესიის გეგმარება გაწმენდის შემდეგ, მცირეოდენ ხარვეზებს თუ არ ჩავთვლით, თითქმის მთლიანად გამოჩნდა — სამივე ეკლესია, გარსშემოსავლელი, შესასვლელები და სხვა (სურ. 2).

ტაძრის არქიტექტურული მთლიანობის შემკვრელია ცენტრალური ეკლესია, რომელსაც ჩრდილოეთით და სამხრეთით ებჯინება მომცრო ეკლესიები ურთიერთდამაკავშირებელი გარშემოსავლელით. ცენტრალური ეკლესიის სიგრძეა (კედლის სისქის გარეშე) 9 მ. სიგანე — 3,65 მ. აბსიდა ნალისებურია, შემორჩენილია აღმოსავლეთის კედელი 2,1 მ სიმაღლისა.

ჩრდილოეთის ეკლესია ცენტრალურზე გაცილებით ვიწროა (სიგანე 1,2 მ), მოგრძო აბსიდა მკვეთრადაა გამოყოფილი. იგი კარით უკავშირდება ცენტრალურ ეკლესიას და გარსშემოსასვლელს, რომელიც შემდგომ ამოუქოლავთ.

სამხრეთის ეკლესიაც კარით უკავშირდება ცენტრალურს, გარსშემოსასვლელიდან კი არ არის გამოყოფილი და მთლიანად კორიდორს ჰქმნის. აბსიდა არაპროპორციული ნალისებური აქვს. საინტერესო სურათი ჩანს აღნიშნული ეკლესიის გარსშემოსასვლელის მშენებლობაში: აბსიდის ჩრდილოეთ კედელში, ცენტრალურ ეკლესიასთან გადაბმის ადგილას ერთი მეტრის სიმაღლეზე აშკარად ჩანს, რომ ის არ ყოფილა გადაბმული ცენტრალური ეკლესიის კედელთან და იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამხრეთის ეკლესიის გარსშემოსასვლელი მხოლოდ ერთ მეტრამდე იყო ნაშენი და რომ ის სანახევროდ ღია სტოას ჰქმნიდა. თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ნაწილში სტოა მხოლოდ სანახევროდ უნდა ყოფილიყო ამოყვანილი.

სამხრეთის ეკლესიის გარსშემოსასვლელი ძლიერ არის დაზიანებული; ქვების წყობის მხოლოდ ერთი ან ორი ფენაა შემორჩენილი; არ ჩანს კარის ღიობები. ცენტრალურ ეკლესიას სამი შესასვლელი ჰქონია — სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილოეთ მხარეს, კედლების სისქე — 0,6—0,65 მ-ია.

ეკლესიის წმენდისას არქეოლოგიური მასალა თითქმის არ არის დადასტურებული. განათხარი მასალა გვავარაუდებინებს, რომ ეკლესია დახურული ყოფილა კრამიტით.

ეკლესიის წმენდა ძირითადად დამთავრდა, ამასთანავე სადაზვერვო შურფებით შევამოწმეთ ეკლესიის ინტერიერიც. არქეოლოგიური მასალები ან სამარხი ნაგებობები არ დადასტურდა.

ჩვენ მიერ გაწმენდილი ძეგლის ანალოგიური ბევრია ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, არეშის ნაქალაქარზედაც მსგავსი გეგმარების რამდენიმე ეკლესია არის გათხრილი. ვფიქრობთ, წინასწარულად, ისიც ადრექრისტიანული ხანის სამეკლესიანი ბაზილიკების რიცხვში უნდა მოექცეს.

ეკლესია №2

ტყის უბნის სამეკლესიანი ბაზილიკიდან (ეკლესია № 1) სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 მ-ზე, ქვების საკმაოდ მოზრდილი გორა იქცევდა ყურადღებას, რომლის შესწავლაც გადაწყვიტა ექსპედიციამ ეკლესიის წმენდის პარალელურად. ქვების გროვის აღება დავიწყეთ ჩრდილოეთის მხრიდან, თანდათანობით, ისე, რომ მივიწევდით გროვის ცენტრისაკენ. სულ მალე მივადექით მშრალი წყობით ამოყვანილ კედელს და შემდეგ კი კედლის მიმართულების მიხედვით გავაგრძელეთ წმენდა. აღმოსავლეთის მხარეს აბსიდის კონტურების გამოჩენის შემდეგ, აშკარა გახდა, რომ საქმე უნდა გვქონო-





2. ეკლესია № 1, გეგმა და ჭრილები.
3. ეკლესია № 2, გეგმა და ჭრილები.

და ეკლესიასთან. საბოლოოდ, ნაგებობა მთლიანად გაიწმინდა ნანგრევებისაგან და გაირკვა, რომ ქვების გროვა მშრალი წყობით ნაგები ეკლესიის დანგრევის შედეგად გაჩენილა. ეკლესია მარტივად არის ნაგები მცირე ზომის რიყის და ნატეხი ქვებით. დიდი ქვები იშვიათად გვხვდება, ისიც ქვედა წყობაში. ქვები ნაწყობია მშრალად; კედლები მცირედ დეფორმირებულია; აღმოსავლეთის კედელი შემორჩენილია 1,2 მ სიმაღლეზე; სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლები — 0,5 — 0,6 მ-ზე; დასავლეთის კედლის კარიდან ჩრდილოეთის ნაწილი — 0,8 მ-ზე; სამხრეთის — 0,5 მ-ზე (სურ. 3).

ეკლესია დარბაზულია, აქვს ორი შესასვლელი დასავლეთიდან (სიგანე — 0,75 მ) და სამხრეთიდან (სიგანე — 0,9 მ). კედლების სისქე 1,0—1,05 მ-ია; ეკლესიის სიგრძეა — 7,8; სიგანე — 3,2 მ (კედლის სისქის გარეშე). აბსიდა ჩვეულებრივი, ნახევარწრიულია. საკურთხევლის იატაკი მთლიანად მსხვილი ქვებით არის მოკირწყლული. კედელთან, მსხვილი ქვებით ტრაპეციის ფორმის ტრაპეზია მოწყობილი, ისევე როგორც მდინარისპირის ეკლესიაში. ქვაფენილი შესაძლოა თიხატკეპნილით იყო მოლესილი; ასეთი გუნდები გამოჩნდა წმენდის დროს. საკურთხეველი მცირედ ყოფილა აწეული საერთო იატაკიდან და ასვლა შეიძლებოდა შუაში დატანებული ქვის საფეხურით.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იატაკი ჩაწეული იყო, სადაც დიდრონი ქვები ელაგა. ჩვენი ეჭვი, რომ აქ შეიძლებოდა სამარხი ყოფილიყო, არ გამართლდა. თხრილში აღმოჩნდა კრამიტის ნატეხები და ადრეული შუა საუკუნეების პატარა ფიალის ნატეხი (მეორე ნატეხი იატაკზე ეგდო). წმენდის დროს ამოდიოდა ღარიანი და გვერდებაკეცილი კრამიტის ნატეხები, აღსანიშნავია, რომ კერამიკულ მასალაში არც ერთი მოჭიქული ნატეხი არ აღმოჩენილა.

აღწერილი ეკლესიის თარიღის განსაზღვრისათვის გათვალისწინებულია რამდენიმე მომენტი — შენობის ორიგინალური და იშვიათი, ამავე დროს პრიმიტიული ტექნიკა: მარტივი გეგმარება, რაც დამახასიათებელია ძველი ეკლესიებისათვის; აქ ნაპოვნი არ არის მოჭიქული კერამიკა, მაშინ როცა დადასტურებულია ადრეული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ვარდისფერკეციანი ზედაპირნაპრიალები ფიალის ნატეხები, რაც IX ს-ზე უფრო ადრეულ ხანაზე მიგვითითებს და რომ აქვე 10-იოდე მეტრში სამეკლესიანი ბაზილიკაა. აღნიშნული მომენტების გათვალისწინებით, წინასწარული დასკვნით, აღნიშნული ეკლესია უნდა ჩავთვალოთ ერთ-ერთ უძველეს ძეგლად არეშის ნაქალაქარზე — შესაძლოა უსახელო ბორცვის ეკლესიის სინქრონულად (ისიც ხომ პრიმიტიულად იყო ნაგები ტალახის ხსნარზე).

ეკლესიის მწყობრიდან გამოსვლის, თუ ახალი და ვრცელი ეკლესიის აშენების მოთხოვნილების გაჩენის შემდეგ, მის გვერდიდვე აუშენებიათ სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელმაც ფუნქციონალურად სრულიად შეცვალა მშრალი წყობით ნაგები ბოლო დრომდე ტაბუირებული ეკლესია.

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ორთავე ეკლესია ხერთვისის კონცხზე მდებარეობს, ეკლესიის ეზო შემოზღუდული ყოფილა. სამეკლესიანის ჩრდილოეთით, დაახლოებით ათი მეტრის სიგრძის ქვის ზღუდის ნაშთია შემორჩენილი (კედლის სისქე — 1,2მ), რომელიც განივად ჰკვეთდა ქედს მდინარიდან ღელემდე; ზღუდის ფრაგმენტები მთელ სიგრძეზეა დადასტურებული. ქვის კედლის ნაშთები უშუალოდ კონცხის ქიმზედაც არის შემორჩენილი. ისე, რომ, გამაგრების რაღაც სისტემის არსებობა შეიძლება ვივარაუდოთ.

ეკლესია №3

ტყის უბანზე, ზევით აღწერილი ორი ეკლესიის ჩრდილოეთით, არეშის წყლისა და უსახელო ღელის წყალგამყოფ ქედზე, მიწის ზედაპირზე ალაგ-ალაგ შეიმჩნევა

ნასახლარების კვალი, რომელიც ბუჩქნარითა და დიდრონი ხეებით არის დაბურული. იმის შემდეგ, რაც შევისწავლეთ ხერთვისის კონცხზე ორი ნაეკლესიარი, გადაწყდა სხვა ნაგებობის მოსინჯვაც, რაც ნაწილობრივ იქნა განხორციელებული 1981 წ.

არჩევანი შეჩერდა ეკლესიების ჩრდილოეთით, 300მ არსებულ ქვაყრილზე. ქვების უსისტემო გროვების მოხსნის და თხელი მიწანარევი ღორღის აღების შემდეგ გამოჩნდა შენობის კედლები, რომელთა მიმართულების ღერძიც აშკარად აღმოსავლეთ-დასავლეთით იყო დამხრობილი. სულ მალე, აღმოსავლეთის მხარეს გამოიკვეთა მორკალული კედლის წყობა, რაც აშკარად მიგვანიშნებდა საეკლესიო ნაგებობაზე. 1981 წ. საველე სამუშაოების სეზონის ძირითადი დრო მოვანდომეთ აღნიშნული ნაეკლესიარის შესწავლას, რომელიც მეტად საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს როგორც არქიტექტურული ნიშნებით, ისე ფუნქციონალური დანიშნულების მხრივ (სურ. 4).



4. ეკლესია № 3. გეგმა და ჭრილები.

ეკლესიის მშენებლობის დროს გამოყენებულია ფლეთილი. ასევე რიყის ქვა. ნაგებია მოზელილი თიხის ხსნარით. მშენებლობისას არსად აგური არ ყოფილა გამოყენებული. ნაგებობა სამეკლესიანი ბაზილიკაა. ეკლესიის არქიტექტურული სახე განვითარებულია პირველადი დარბაზული ეკლესიის ბაზაზე, ჩრდილოეთით და სამხრეთით მიშენებული დამოუკიდებელი ეკლესიების მეორადი ფუნქციონალური სიახლით, ასეთი ტიპის ნაგებობისათვის დამახასიათებელი გარშემოსასვლელით. შედარებით უკეთ არის შემორჩენილი ცენტრალური ეკლესია (პირველადი დარბაზული ნაგებობა), აღმოსავლეთის მხარეს ეკლესიის ძირითადი დარბაზის მართკუთხედში ჩაწერილი აბსიდით. მისი სიგრძე 10,15 მ-ია (კედლების სისქის ჩათვლით): სიგანე — 5,5მ. შემორჩენილი ღიობების მიხედვით ცენტრალურ ეკლესიას სამი კარი ჰქონდა: სამხრეთის (სიგანე — 1,2მ), დასავლეთის (სიგანე — 1მ) და ჩრდილოეთის (სიგანე — 0,9მ) მხრიდან.

აბსიდა გადაღობილია რიყის ქვების სამრიგა წყობით. აქ თიხატკეპნილით შემაღლებაა საკურთხეველში შესასვლელად. კედლების სიგანე არათანაბარია, მერ-

ყელობს 0.9—1.05მ შორის; ასევე არათანაბარია შემორჩენილი სიმაღლეებიც (0.6—1.2მ); შემორჩენილია 4—8 წყობა, იატაკი თიხატკეპნილი ყოფილა.

ცენტრალური ეკლესიის შუაში შემორჩენილია ქვითკირის, გაბიჯკვეთში თითქმის კვადრატული (1.00 X 1.10მ) ნიში. იგი ქვევიდან ზევით მცირედ შევიწროვებულია



5. ნიში

(ქვედა ნაწილის ზომებია 1.0 X 1.1მ; ზედა ნაწილისა 0.9 X 1.02მ). აღმოსავლეთის მხარეს დატანებული აქვს ნიშა, რომელიც სიღრმეში მცირედ არის შევიწროვებული: ნიშის გარეთა ზომებია 0.4 X 0.36მ; შიგნითა — 0.3 X 0.3მ; ნიშის სიღრმეა 0.56მ. როგორც ჩანს, აქ მდგარა ნიში — სამლოცველო (არ არის გამორიცხული წარმართული), რომელზედაც დარბაზული ეკლესია დაუშენებიათ, ისე რომ ნიში ეკლესიის ცენტრში მოხვდა და არსებობდა ეკლესიის ფუნქციონირების დროსაც. ნიშის ზედა ნაწილი არ არის შემორჩენილი.

სამხრეთის და ჩრდილოეთის ეკლესიები, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან გარსშემოსასვლელით, მშენებლობის მეორე ეტაპია, რის შედეგადაც სამეკლესიანი ბაზილიკის კარგად ჩამოყალიბებული და ცნობილი არქიტექტურული ტიპი მივიღეთ. ჩრდილოეთის ეკლესიაში, ცენტრალურ ეკლესიაში შესასვლელთანვე დასავლეთის მხარე გადაუტიხრიათ და ახალი აბსიდა მოუწყიათ, რითაც ფაქტიურად ოთხეკლესიანი ნაგებობა მივიღეთ. ასეთი სიახლის შემდეგ ჩრდილოეთის ეკლესიაში მოხვედრა შეიძლებოდა უშუალოდ ცენტრალური ეკლესიიდან. რაც შეეხება სამხრეთის ეკლესიას, მის სამხრეთის კედელში ერთ-ერთი მთავარი შესასვლელი ყოფილა მოწყობილი; აქ შემორჩენილია ორი ღიობი შუაში ოთხკუთხა სვეტით. სამწუხაროდ, ეს ნაწილი ძლიერაა დაზიანებული და კედლის წყობის მხოლოდ ერთი რიგიღაა შემორჩენილი. ეკლესიას მეორე მთავარი შესასვლელი დასავლეთის მხრიდან ჰქონდა, როგორც ზევითაც ითქვა, შენობის კედლების მცირე ნაწილებია შემორჩენილი. არსად არ ჩანს პილასტრების ნაშთები, არც კონსოლები, ისე რომ გადახურვა ხის კონსტრუქციებზე უნდა ვივარაუდოთ. ეკლესია დაბურული იქნებოდა ბრტყელი და ღარიანი კრამიტებით.

ეკლესიის წმენდისას შეიმჩნეოდა ხანძრის კვალი, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ ნაწილში. ნგრევისას კედლებს ძლიერი დეფორმაცია განუცდია. ეჭვს არ იწვევს, რომ ეკლესია მტრის ხელით არის დანგრეული.

ეკლესიის წმენდისას არქეოლოგიური მასალა ძლიერ ცოტაა დადასტურებული. ძირითადია ღარიანი და ბრტყელი კრამიტის პატარა-პატარა ნატეხები, რის მიხედვითაც ზომების აღდგენა ვერ მოხერხდა. ბორტების სიმაღლე 4—5,5 სმ-ია. არც ერთ მათგანზე ნიშანი არ ყოფილა შემორჩენილი. ეკლესიის თხრისას შეგვხვდა წითელკეციანი კერამიკის ნატეხები, რომელთა შიდაპირზე თხელი, შავი საღებავია შერჩენილი.

მოჭიქული კერამიკა ეკლესიის თხრისას არ ყოფილა დადასტურებული, რაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ძეგლის დათარიღებისათვის. მსგავსად ტყის უბნის პირველი და მეორე ეკლესიებისა, ესეც IX—X საუკუნემდე წყვეტს თავის არსებობას. რაც შეეხება მის მშენებლობას, აქ სამი ფენა მაინც შეიძლება გამოიყოს:

1. ყველაზე უძველესია ქვიტკირის ნიში, რომლის ნაწილიც შემორჩენილი იყო ცენტრალურ ეკლესიაში. ნიშის ფუნქცია ორნაირად შეიძლება განისაზღვროს; რომ ის იყო პირვანდელი სამლოცველო, ანდა არ არის გამოსარიცხი, ის იყო წარმართული სალოცავი, რომელიც ქრისტიანობის შემოსვლის ჟამსაც პატივისცემისა და მოკრძალების გამო ადაპტირებული იქნა ახალი, ქრისტიანული რელიგიის ყაიდაზე.

2. მეორე ფენა მკვეთრად არის განსაზღვრული დარბაზული ეკლესიით, რომელიც დააშენეს ნიშს, ისე რომ ეს უკანასკნელი მის შუაგულში მოხვდა. ეს შემთხვევითობას არ შეიძლება მიეწეროს. ჩვენ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ ნიში მოეწყოთ ეკლესიის მშენებლობის შემდეგ. მსგავსი შემთხვევა ჩვენთვის უცნობია.

3. დარბაზული ეკლესიის მწყობრიდან გამოსვლის თუ სამეკლესიანი ტაძრების გავრცელებისა და დამკვიდრების ჟამს დარბაზულ ეკლესიას სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მიაშენეს ეკლესიები, მოაწყეს გარსშემოსასვლელი და გადააკეთეს არსებული დარბაზული ეკლესიის აბსიდა — შეამაღლეს იგი და გამოყვეს ქვების წყობით. ცოტა მოგვიანებით ჩრდილოეთის ეკლესია გადაიტიხრა და მოეწყო დამოუკიდებელი სამლოცველო.

აი ასეთი ძირითადი საფეხურები შეიძლება ვივარაუდოთ ეკლესიის მშენებლობაში, რომელიც ქრონოლოგიურად, სავარაუდოა მოთავსდეს რამდენიმე საუკუნეში — IV საუკუნიდან ვიდრე IX—X საუკუნემდე. არქიტექტურულად თუ ქრონოლოგიურად ის იმეორებს არეშის სხვა ტაძრების სქემას, განსაკუთრებით კი უსახელო ბორცვის ეკლესიისას და ვფიქრობთ, ეს ორივე ძეგლი ყველაზე ძველი საეკლესიო ნაგებობებია არეშის ნაქალაქარზე.

ნ ა ს ა ხ ლ ა რ ე ბ ი

ტყის უბანში, გარდა სამი ნაეკლესიარისა, ნასახლარებიც არის დაზვერილი, რომელთაგანაც ექსპედიციამ მოახერხა სამი მათგანის გათხრა.

პირველი და მეორე ეკლესიების გასწვრივ, ღელის მარჯვენა მაღალ ნაპირზე, რამდენიმე ნასახლარი შეიმჩნევა, რითაც ჩანს, რომ ნაქალაქარის ეს უბანი ათვისებული ყოფილა მოსახლეობის მიერ. აქ, არასინქრონული ორი ნაგებობა იქნა გათხრილი,

პირველი ნაგებობა გეგმაში ტრაპეციის ფორმისაა, დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე, კარით დასავლეთის კედელში (სიგანე — 1,1 მ). ზღურბლის ქვეშ ქვების 3—4 რიგია შემორჩენილი, რაც საძირკვლის ნაწილად შეიძლება ვიგულისხმოთ. შენობა ნაგებია დიდი ზომის რიყის ქვებით კირხსნარზე. კედლების სიგანე 0,7—0,8 მ-ია. შემორჩენილია დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლების 7—8 ქვის წყობა, სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლების 2—3 რიგი. აღმოსავლეთ კედლის სიგრძე 7,25 მ-ია (კედლის სისქის გარეშე); სამხრეთის კედლისა — 11,55 მ; დასავლეთის კედლისა — 7,0 მ; ჩრდილო კედლისა — 11,5 მ.

იატაკის ნაწილები კარგად არის შემორჩენილი ცენტრალურ ნაწილში და აღმოსავლეთ კედელთან. იატაკი თიხატკეპნილია, რომელიც დაფარული იყო კედლების ნანგრევებით და კრამიტის ნატეხებით. ნაგებობის იატაკი განსხვავებული ნიშნულებით ხასიათდება: დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ სხვაობა 0,50 მ აღწევს, რაც არაბუნებრივად გვეჩვენება. შესაძლოა ნაგებობა გამოყოფილი იყო მსუბუქი ტიხრით და იატაკის დონეთა სხვაობა შეეფარდება სათავსოთა განსხვავებულ იატაკებს.

ნაგებობა დახურული ყოფილა წითლად გამომწვარი ბრტყელი და ღარიანი კრამიტით. კრამიტები ნატეხების სახითაა წარმოდგენილი. ორი, შედარებით სრულად შემორჩენილი გვერდებაკეცილი კრამიტის მიხედვით შეიძლება სიგრძე განისაზღვროს 39—40 სმ-ით. სიგანე შუაში 30 სმ-ია. თითქმის ყველა ბრტყელ კრამიტზე რელიეფურ ორნამენტებს ვხვდებით. ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ბრტყელ კრამიტზე ქართული ასომთავრული წარწერის ნაშთია. ორნამენტული სახეები, როგორც ითქვა, ყველა რელიეფურია; გვხვდება ჯვრები, მათ შორის გახსნილი ბოლოებით; წერტილწრეები; წყვილპარალელურ ხაზებს შორის ჩასმული სამკუთხედები; ზიგზაგები და სხვა.

შენობის ცენტრალურ ნაწილში იატაკის პრეპარაციის დროს აღმოჩნდა მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები, რომლებიც შეიძლება IX—XI საუკუნეებით დავათარიღოთ. წმენდის დროს აღმოჩნდა ბადრიჯნისფრად მოჭიქული სქელკედლიანი ჯამის პირის ნატეხი, რომელიც ძლიერ მიემსგავსება სამარულ. IX ს. ნაწარმს.

სათანადო მონაცემების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნაგებობის კედლების გარკვეული ნაწილი ალიზით იქნებოდა ნაშენი. იატაკზე, კრამიტის ნატეხებთან ერთად ალიზის აგურებიც იყო დადასტურებული, რომლებიც ხანძრის შედეგად სანახევროდ იყო გამომწვარი (21 X 20 X 6 სმ). ალიზის ნატეხებზე შეიმჩნევა ძელების ანაბეჭდებიც. დამწვარი ძელების ნატეხები იატაკზედაც ეყარა. ჩალეწილი სახურავის, კრამიტების და ალიზის აგურების ნატეხები, იატაკზე დაახლოებით 0,4 მ სისქის ფენას ქმნიდა. აშკარად ჩანს ნგრევისა და ხანძრის კვალი, რასაც ეს ნაგებობა შეეწირა.

მეორე ნაგებობა აღმოსავლეთიდან ეკვრის პირველს. მათ შორის მანძილი არათანაბარია — 0,4—0,7 მ. კედლები ნაგებია უფრო მარტივად, ვიდრე პირველი — ქვიშაქვით და ფლეთილი ქვით, ტალახის ხსნარზე (ზომები: 3,85 X 4,25 მ კედლის სისქის გარეშე). კედლების სიგანეა 0,90—0,95 მ. შემორჩენილია 4—6 რიგი. ნაგებობაზე ზევიდან გზა გადიოდა და მხოლოდ ზედა რიგის ქვები ჩანდა. სათავსოს იატაკი კედლის ქვების წყობის ქვედა რიგის დონეზეა, რაც გვავარაუდებინებს, რომ შენობას საძირკველი არა ჰქონდა. იატაკის ცოტა ზევით, დაახლოებით 0,2 მ-ზე, ორივე ნაგებობის კედლებს შორის ჩამტვრეული კრამიტის ნატეხები ყრია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს მომცრო ნაგებობა უფრო ძველია, რომლის დანგრევის შემდეგაც აუგიათ მის გვერდითვე სხვა ნაგებობა (ნაგებობა №1). მათი ერთად ფუნქციონირება გამორიცხულია: მეორე ნაგებობის კარი, რომელიც დასავლეთ კედელშია დატანებული (სიგანე — 1.25 მ), პირველი ნაგებობის აღმოსავლეთის კედლისაგან დაცილებულია 0,6 მ-ით. ამავე დროს საგულისხმოა, რომ მეორე ნაგებობის იატაკის დონეზე მოჭიქული კერამიკა არ არის.

ნაგებობის პრეპარაციის დროს გამოჩნდა ალიზის აგურების და დამწვარი ძელების ფენა. ალიზის აგურებზე შეიმჩნეოდა ძელების ანაბეჭდები. ეს ფენა დაახლოებით 0,3 მ-ია. ნაგებობა დახურული ყოფილა ჩალისფრად გამომწვარი ბრტყელი და ღარიანი კრამიტით. სხვა ნივთიერი მასალა არ არის დადასტურებული. ამავე ნაგებობაში, თითქმის ცენტრში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან ბრტყელი ქვებით შემოწყობილი ბავშვის სამარხის ნაშთი დადასტურდა. იგი მოწყობილი იყო დალეწილი კრამიტის ფენაში; სამარხი უინვენტარო იყო. ჩონჩხის მხოლოდ მცირე ნაწილია შე-

მორჩენილი. სამარხი მოუწყვიათ № 2 ნაგებობის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ და № 1 ნაგებობის აგებამდე.

მაშასადამე, წინასწარულად შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული ნაგებობებით საქმე უნდა გვქონდეს ორ სხვადასხვადროულ საცხოვრებელ კომპლექსთან. № 1 ნაგებობის ქვედა განმსაზღვრელ თარიღად შეიძლება მივიღოთ IX ს. როდესაც დანგრეული ძნელი დასადგენია. კერამიკულ მასალაში გვხვდება XII—XIV სს. ნაწარმიც. რაც შეეხება № 2 ნაგებობას, ის გაცილებით ძველია. იმის გამო, რომ № 1 ნაგებობა აუშენებიათ მეორის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ, პირობითად მისი თარიღი შეიძლება VII—VIII საუკუნეებით განვსაზღვროთ.



6. ნაგებობები № 1 და 2. 1 იატაკის ნაწილები; 2 სამარხის ნაშთი;
3. ბათქაშის ნატეხები; 4. დამწვარი ხის ძელები.

მესამე ნაგებობა გაითხარა № 3 ეკლესიის მახლობლად, მისგან 30—35 მ-ზე, აღმოსავლეთით. ნაგებობა ერთი, იზოლირებული სათავსოა. იგი ძლიერაა დაზიანებული. ნაგებობის გეგმა ოთკუთხაა. კედლები ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით ტალახის ხსნარზე; შემორჩენილია დასავლეთის კედლის ქვის წყობის მხოლოდ ერთი რიგი; სამხრეთის კედლის 5 რიგი; აღმოსავლეთის კედლის 4—5 ქვის წყობა და ჩრდილოეთის კედლის 2—3 წყობა. (სურ. 7). კარის ღიობი დატანებულია აღმოსავლეთით. ნაგებობის ზომებია: 6,6 × 5,5 მ (კედლის სისქით); შიდა სივრცის ზომებია 4,6 × 3,15 მ.; სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლების სისქეა 1,0 მ, ორი დანარჩენის — 1,1 მ. კარის ღიობის სიგანე 1,2 მ-ია. ოთახის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ქვევრი მდგარა, რომლის ნატეხებიც აქვე იყო ნაშალ მიწაში. ქვევრი ბრტყელძირიანი და სქელკედლიანი ყოფილა. აქვე უფრო მომცრო ქვევრის პირის ნატეხებიც იყო დადასტურებული. ქვევრის კედლებზე შემორჩენილია თოკის ორნამენტი, მსგავსი ურბნისის ქვევრე-

ბისა. გარდა ქვევრის ნატეხებისა, დადასტურებულია წითელკეციანი ლანგრის და ნისკარტიანი ჭურჭლის ნატეხები, ასევე ადრეშუასაუკუნეთა ხანისა. მოჭიქული კერამიკა არ არის დადასტურებული.

ნივთიერი მასალის მეტად მცირე მონაპოვრის მიხედვით, ნაგებობა შეიძლება დავაკავშიროთ № 3 ეკლესიასთან, უფრო სწორად მისი არსებობის ბოლო პერიოდთან (VI—VIII სს).



7. ნაგებობა № 3, გეგმა და ჭრილები.

* *
*

საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც ადრე, ექსპედიცია აწარმოებდა დაზვერვებს როგორც უშუალოდ ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლების გარეთ, ძირითადად ყვარელ-ლაგოდეხის რაიონებში. საინტერესო მასალები მოგვცა ნაქალაქარის ქვემო წელის დაზვერვებმა: სოფლის თანამედროვე ხიდის ჩრდილოეთით, დაახლოებით ერთ კილომეტრზე,მდინარის კალაპოტის ჭრილში დაფიქსირებულია ნაარხალი, რომლის პროფილიც შესანიშნავად ჩანს არეშის წყლის მარჯვენა ნაპირზე. ამჟამად, აქ არხის კვალი სრულიად გამქრალია. აღნიშნულით მტკიცდება სარწყავი სისტემის არსებობა მდინარის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეს. მდინარის თანამედროვე დონე და არხის კვეთი ძლიერაა განსხვავებული; არხის პროფილი მდინარის დონეზე ორიოდე მეტრით მაღლაა, რაც მდინარის კალაპოტის ცვლილების შედეგი უნდა იყოს.

ექსპედიცია, როგორც წინა წლებში, მოსახლეობიდან აგროვებდა შემთხვევით აღმოჩენილ მასალებს. ამ გზით, 1980 წ. მიღებულ იქნა ვერცხლის ერთი მონეტა მთის ძირში მცხოვრებ აკაკი ახვლედიანისაგან (შესაძლოა ე.წ. „მთისძირის განძის“ ნაწილი იყოს) და „ჩვიდმეტჰექტრიანში“ შემთხვევით აღმოჩენილი ორი, ცენტრში ამობურცული სპილენძის აჟურული, ყუნწიანი მოსართავი.

ექსპედიციის მიერ 1981 წ. ჩატარებული სადაზვერვო სამუშაოებიდან ყველაზე

მნიშვნელოვანია ადრეული შუა საუკუნეების სასახლისა და ეკლესიების მიკვლევა ყვარლის რაიონის სოფ. შაქრიანთან. აღნიშნული კომპლექსის შესწავლას ექსპედიცია აპირებს მომავალი სეზონიდანვე.

Л. ЧИЛАШВИЛИ, Г. КИКНАДЗЕ, Н. АПХАЗАВА, Н. БАХТАДЗЕ, К. ГОЦАДЗЕ

ИТОГИ АРЕШСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ 1980—1981 ГГ.

Резюме

В отчетных годах экспедиция продолжала работу на территории сел. Мтиедзири Кварельского р-на, на трех участках обширного Арешского городища — в аграрной зоне городища, около базилики, в Хертвиси и на т.н. лесном участке.

На первом участке, северо-западнее базилики, сильно потревоженном систематической вспашкой, был заложен разведочный раскоп площадью 4×4 м (рис. 1); по небольшим обрывкам культурных остатков здесь удалось выделить два слоя — нижний, относящийся к IX—XI вв. и верхний — XI—XVI вв., представленные главным образом хозяйственной глиняной посудой как простой, так и поливной.

Разведочный характер носили также работы на втором участке, где по-видимому некогда находился один из кварталов города; раскопы, заложенные здесь, выявили многочисленные, но очень плохо сохранившиеся остатки разных сооружений и культурных слоев XI—XIV вв.

На «лесном участке» экспедиция расчистила и раскопала остатки трех церквей. Одна из них — крупное сооружение из булыжника на известковом растворе — представляла собой т.н. трехцерковную базилику (рис. 2) некогда перекрытую черепицей. Ни в церкви, ни около нее следов погребений нет; нет также поливной керамики. Это говорит о том, что церковь относится ко времени до IX в.

Вторая церковь, раскопанная экспедицией, находится рядом с первой. Это простое зальное сооружение, возведенное из булыжника сухой кладкой (рис. 3), что является беспрецедентным случаем. Примитивность форм и строительных приемов позволяют причислить данную церковь к самым ранним сооружениям Ареши, что подтверждается находками фрагментов керамики раннего средневековья; по-видимому она простояла недолго и вышла из строя в конце V или в VI в.

Третья церковь, от которой сохранились лишь нижние части стен, находится в 300 м севернее первой и носит следы насильственного разрушения и пожара. Выстроена была она из булыжника, на глиняном растворе и содержит остатки трех строительных периодов (рис. 4). Первоначально на месте церкви находилось столбообразное сооружение с нишей — языческ[illegible] или раннехристианская молельня (рис. 5); в определенное время над н[illegible]й была возведена зальная церковь, переделанная впоследствии в трехце[illegible]ковную базилику. В целом, части данного сооружения умещаются в пред[illegible]лах IV—IX вв.

Помимо церквей на «лесном участке», экспедиция раскопала остатки трех жилых сооружений из булыжника (рис. 6 и 7), относящихся к VII—VIII и XII—XIV вв.

ტაბულების აღწერილობა

ქვემოქართლი

ტაბ. I. ხრამის დიდი გორა, 1981 წ. HB,HC კვადრატების საერთო ხედი W-დან.
ტაბ. II. ხრამის დიდი გორა. HB კვადრატის ცენტრალური ნაწილი, ხედი N-დან.
ტაბ. III. სიონი, „ფარეხები". 1. სამარხი № 16; 2. სამარხი № 17.
ტაბ. IV. სიონი, „ფარეხები". 1. სამარხი № 18; 2. სამარხი № 20.

მარტყოფი

ტაბ. V. მარტყოფი, „შინდათხევი", ყორღანი № 3. 1. სამარხი ორმოს ხედი SO კუთხიდან; 2. ძირითადი სამარხის ორმოს ძირის NO კუთხე.

ბერიკლდეები

ტაბ. VI. 1. ქვის ზღუდის ნაშთი ნასოფლარის N ნაპირზე, ხედი O-დან; 2. ალიზის კედლის ნაწყვეტი CE კვადრატის SO სექტორში, ხედი W-დან; 3. ალიზის ზღუდის ნარჩენი ნასოფლარის N ნაპირზე, ხედი S-დან.
ტაბ. VII. 1. სამარხი № 1, ხედი O-დან; 2. სამარხი № 2 (ენოტაფი ?), ხედი S-დან; 3. სამარხი № 3, ხედი O-დან.
ტაბ. VIII. 1. ხისკარკასიანი თიხალესილი შენობის კედლის ნაკვალევი CE — 87 კვადრატში (ჩანს სარის 4 ფოსო), ხედი W-დან; 2. თიხალესილი ბაქნის ნაშთი CE—77 კვ-ში, ხედი W-დან.
ტაბ. IX. 1. ორივე ფენაში მოპოვებული წვრილი მასალა — ობსიდიანის ისრის წვერი, კაჟის ნამგლისპირი, ძვლის სახვრეტები; 2. 5,6 — №3 სამარხის ჭურჭელი; 3. №2 სამარხის ქილა; 4. №1 სამარხის ჯამი.

ნოსირი—მუხურჩა

ტაბ. X. „კეკელური ზუგა". NW—სექტორი. 1. N—W ტრანშეა (მარჯვნივ) და II კულტურული ფენა (X) N—S ვერტიკალურ ჭრილზე, ხედი დასავლეთიდან; 2. II კულტურული ფენის ნახშირიანი ძირი CE — 89—80, 09—90 კვ-ში, ხედი სამხრეთიდან.
ტაბ. XI. „ნაჭვის ზუგა", N—W სექტორი. 1. NS 1—3 ტრანშეები, ხედი W-დან; 2. N—S_1 ტრანშეის N ჭრილი ნაწილში, თიხნარში ჩაღრმავებული კულტურული ფენის ძირით, ხედი S-დან.
ტაბ. XII. „კეკელური ზუგა". 1—17—7 (ზედა) I ფენის კერამიკა; 18—22, 24—II ფენის კერამიკა; 23 — ქვის „საწაფი" II ფენიდან.
ტაბ. XIII. 1—13 — კერამიკა „ნაჭვის ზუგადან"; 14—19 — კერამიკა ადგილ „ნაწისქვილარის" ანტიკური ხანის კულტურული ფენიდან სოფ. მუხურჩაში.

კაზრეთი

ტაბ. XIV. კაზრეთი I. სამარხი № 5, ხედი N-დან; 2. სამარხი № 1, ხედიდან.
ტაბ. XV. I. კაზრეთი, სამარხი № 3, ხედი S-დან; 2. რატევანი, მარნის ნაშთი.

ქვემოალევი

ტაბ. XVI. ქვემო ალევის სამაროვანი. I. საერთო ხედი SW-დან; 2. № 10 და 15 ქვის სამარხები გახსნამდე. ხედი S-დან.
ტაბ. XVII. ქვემო ალევის სამაროვანი. 1. ქვისსამარხი №28; 2. ქვისსამარხი № 17; 3. ქვისსამარხი № 13.

ნოქალაქევი

ტაბ. XVIII. ნოქალაქევი. I. ნაქალაქარის მონაკვეთში 1980—1981 წწ. გათხრილი ნაგებობა; 2. ნაქალაქარის SO მონაკვეთი; 3. „მისარონის" ეკლესია რესტავრაციის შემდეგ.
ტაბ. XIX. I. შავლაკიანი სამარილე; 2. სამაჯური კუბური გამსხვილებებით; 3. ფარაკიანი ბეჭედი. მე-9 სამარხიდან; 4. კანდელაბრის ფეხები.
ტაბ. XX. ქვისსამარხები № 10 და № 11; 2. ორმოსამარხი № 18.

ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ

Квемо Картли

Табл. I. Храмис диди гора, 1981 г. Общий вид кв. кв. НВ, НС с запада.
Табл. II. Храмис диди гора. Центральная часть кв. НВ с севера.
Табл. III. Сиони, «Парехеби». I. Погребение №16; 2. Погребение №17.
Табл. IV. Сиони, «Парехеби». I. Погребение №18; 2. Погребение №20.

Марткопи

Табл. V. Марткопи, «Шиндатхеви», курган №3. I. Вид погребальной ямы с юго-восточного угла; 2. S угол ямы основного погребения.

Бериклдееби

Табл. VI. I. Остатки каменной ограды у северного края селища, вид с востока;
2. Фрагмент сырцовой стены в юго-восточной части
кв. СЕ, вид с запада.
3. Остатки сырцовой ограды вдоль северного края селища, вид с юга.
Табл. VII. I. Погребение №1, с востока; 2. Погребение №2 (кенотаф?), с юга; 3. Погребение №3, вид с востока.
Табл. VIII. I. Следы глиняного с деревянным каркассом строения в кв. СЕ 87 (видны основания четырёх кольев), вид с запада; 2. Остаток платформы с глиняной обмазкой в кв. СЕ 77, вид с запада.
Табл. IX. I. Мелкие предметы с обоих слоев — обсидиановой наконечник стрелы, кремневый вкладыш серпа, костяные проколки; 2,5,6 — керамика из погребения №3; 3. Сосуд из погребения №2; 4. Миска из погребения №1.

Носири—Мухурча

Табл. X. «Кекелури Зуга», сектор NW — I. Траншея O — W (справа) и II культурный слой (X) на вертикальном разрезе NS, вид с запада; 2. Дно II культурного слоя с прослойкой угля в кв. кв. СЕ 89—80, 99—90, вид с юга.
Табл. XI. «Начвис зуга», сектор I. Траншеи 1—3, вид с севера; 2. Северный разрез траншей I в южной части, с углубленным в глиняной укладке дном культурного слоя, вид с юга.
Табл. XII. «Кекелури Зуга», 1—17 — керамика из I (верхного) культурного слоя; 18—22, 24 — керамика из II слоя; 23 — каменное «грузило» из II слоя.
Табл. XIII. 1—13 — керамика из «Начвис зуга»; 14—19 — керамика из предантичного культурного слоя в местечке «Нацисквилари» в сел. Мухурча.

Казрети

Табл. XIV. Казрети. 1. Погребение №5, вид с севера; 2. Погребение №1, вид с севера.
Табл. XV. 1. Казрети, погребение №3, вид с юга; 2. Ратевани, остатки винного погреба.

Квемо Алеви

Табл. XVI. Могильник, 1. Общий вид с юго-запада; 2. Погребения №10 и №15 до вскрытия, вид с юга.
Табл. XVII. Могильник, 1. Каменное погребение №28; 2. Каменное погребение №17; 3. Каменное погребение №13.

Нокалакеви

Табл. XVIII. Нокалакеви. 1. Остатки здания, раскопанные в 1980—1981 гг. в юго-восточной части городища; 2. Юго-восточная часть городища; 3. Церковь «Мисарони» после реставрации, вид с юго-востока.
Табл. XIX. 1. Чернолаковая солонка; 2. Браслет с кубическими утолщениями; 3. Перстень со щитком из погребения №9; 4. Ножки от канделябра.
Табл. XX. 1. Кувшинные погребения № 10 и № 11; Грунтовое погребение № 18.

I





15. საქ. სახ. მუზეუმის არქ. ექსპედიციები, VIII

V












0 5 10 15


0 5


0 20


0 20

0 10 20

X



1

2

1

2


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
23
21
28
22
24


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19





16. საქ. სახ. მუზეუმის არქ. ექსპედიციები, VIII

XVII















1

2

შინაარსი

СОДЕРЖАНИЕ

დ. თუშაბრამიშვილი, გ. ჯავახიშვილი. ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1980—1981 წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგები 5

Д. Тушабрамишвили, Г. Джавахишвили. Отчет работ Квирильской археологической экспедиции за 1980—1981 гг (резюме) 16

მ. მენაბდე, თ. კიღურაძე. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1980—1981 წლების მუშაობის შედეგები 17

М. Менабде, Т. Кигурадзе. Результаты работ Квемокартлийской археологической экспедиции (1980—1981 гг.) (резюме) 28

ო. ჯაფარიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი. კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980—1981 წლების მუშაობის ანგარიში 29

О. Джапаридзе, Г. Авалишвили, А. Церетели. Отчет работы Кахетской (Марткопской) археологической экспедиции за 1980—1981 гг (резюме) 35

ლ. ღლონტი, გ. ნემსაძე, ა. ჯავახიშვილი. ქარელის რაიონში, ბერიკლდეებზე, 1979—1981 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში. 36

Л. Глонти, Г. Немсадзе, А. Джавахишвили. Отчет работ, проведенных в Бериклдееби Карельского района 1979—1981 годах (резюме) 44

ე. გოგაძე, ც. დავლიანიძე, ლ. ფანცხავა, რ. რამიშვილი. ნოსირი-მუხურჩის ექსპედიციის 1980—1981 წწ. მუშაობის შედეგები 45

Э. Гогадзе, Ц. Давлианидзе, Л. Панцхава, Р. Рамишвили. Результаты работ Носири-Мухурчской экспедиции за 1980—1981 гг (резюме) 53

ი. გაგოშიძე, ე. ქორიძე, ა. გოგიჩაიშვილი. შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979—1981 წლების საველე მუშაობის ანგარიში 56

Ю. Гагошидзе, И. Коридзе, А. Гогичаишвили. Отчет полевых работ Шидакартлийской археологической экспедиции за 1979—1981 гг 66

მ. სინაურიძე, ლ. გვრიტიშვილი. 1980—1981 წწ. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში 68

М. Синауридзе, Л. Гвритишвили. Отчет Казретской археологической экспедиции 1980—1981 гг (резюме) 75

ნ. აფხაზავა, ი. გაგოშიძე, კ. გოცაძე. შიდაქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ქსნის ხეობის რაზმის 1981 წ. მუშაობის შედეგები 76

Н. Апхазава, Ю. Гагошидзе, К. Гоцадзе. Отчет полевых работ Ксанского отряда Шидакартлийской экспедиции за 1981 г 81

პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლეკვინაძე, მ. იაშვილი, მ. ზამთარაძე, თ. კაპანაძე. ნოქალაქევის ექსპედიციის 1980—1981 წწ. მუშაობის ანგარიში 83

П. Закарая, Н. Ломоури, В. Леквинадзе, М. Яшвили, М. Замтарадзе, Т. Капанадзе. Отчет работы Нокалакевской экспедиции в 1980—1981 гг, (резюме) . . 91

ლ. ჭილაშვილი, გ. კიკნაძე, ნ. აფხავა, ნ. ბახტაძე, კ. გოცაძე. არეშის ექსპედიციის შედეგები (1980—1981 წწ) 92

Л. Чилашвили, Г. Кикнадзе, Н. Апхазава, Н. Бахтадзе, К. Гоцадзе. Результаты Арешской экспедиции (1980—1981 гг.) (резюме) 105

ცხრილების აღწერილობა 106

Описание таблиц 108

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 2261

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კ ო ტ რ ი კ ა ძ ე
მხატვრული რედაქტორი გ. ლ ო მ ი ძ ე
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
კორექტორი ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

გადაეცა წარმოებას 7.4.1983; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.5.1985
ქაღალდის ზომა 70×108[1]/16; ქაღალდი ოფს.; ბეჭდვა ოფსეტური;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 8,25;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,25;

უე 01548; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 2056;

ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19.
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

საქ.სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის, ქ., 19
Типография АН ГССР, Тбилиси, ул. Кутузова, 19.

ACCELERATED PROJECT
PHOTOGRAPHIC SERVICES
LOS ALAMOS, N.M.